


1950  
1950



ზ. ნინოუბუპი

განერაპის  
აკრემატის  
კულტურულ-საგრანტ  
ფანრიკა



„ფაბრიკა-ქარხნების ისტორია — ეს ჩვენი მუშაობის ისტორია წარსულსა და აწყობიში“.

მ. გორგო

გ. სინთიზი

# მახარაძის აბაშევის ქაფსაღებ-საგრენი ფაბრიკა

საქართველოს სსრ ფაბრიკა-ქარხნების ისტორია (№ 6)



ნაშრომში გამუქებულია საქართველოს საფეიქრო მრეწველობის ერთ-ერთი უძველესი საწარმოს — მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის ნახევარი საუკუნის ისტორია, მოთხოვნილია ამ საწარმოს მუშათა ყველა თაობის, წარმოების ნოვატორების შრომითი აქტივობა სოცი-ალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ნაჩვენებია ფაბრიკის წელილი რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის განვითარებაში.

ნაშრომი ეძღვნება საწარმოს 50 წლისთავს.

რედაქტორი პროფ. მ. ჯიჯევიშვილი

K246.270

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ საქართველოში და-  
საბამი მისცა მკვეთრ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს. ქართვე-  
ლი ხალხის ცხოვრებაში, საბჭოთა ხელისუფლებამ მოიტანა ნამდვი-  
ლი გაზაფხული, მატერიალური და სულიერი გაფურჩქვნის არნახუ-  
ლი პირობები შეუქმნა ნიჭიერ და შრომისმოყვარე ქართველ ერს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ბრძნული  
პოლიტიკის ერთ-ერთი შეაფიო გამოხატულება იყო რესპუბლიკაში  
ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობის ფართოდ გაშლა. ამ მიშართულე-  
ბით თანმიმდევრულად ხორციელდებოდა ღონისძიებათა მთელი  
კომპლექსი, სწორედ ამ კომპლექსის შემადგენელი ნაწილი-იყო მსუ-  
ბუქი მრეწველობის, კერძოდ, მეაბრეშუმეობის მკვეთრად განვითა-  
რება: რევოლუციამდელ საქართველოშიამ დარგს არ ექცეოდა სათა-  
ნადო ყურადღება, თუმცა აბრეშუმის პარკის დამზადება ჩვენში სოფ-  
ლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დაწევი იყო და მისი წარმოე-  
ბის დიდი ტრადიცია გაგვაჩნდა.

საქართველოს აბრეშუმის დამმუშავებელი მრეწველობა მთლი-  
ანად საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა. რევოლუციამდე არსე-  
ბობდა ოთხიოდე კუსტარულად მოწყობილი, პატარა ძაფსალები  
ფაბრიკა, რომლებსაც სულ რამდენიმე პრიმიტიული, მწყობრიდან  
გამოსული ძაფსალები აუზი გააჩნდა. ეს იყო სამტრედიის, თელავის,  
ხონისა და ოზურგეთის ფაბრიკები.

1923 წელს მოხდა სამტრედიის ძაფსალები ფაბრიკის აღდგენა-  
გაფართოება, 1926 წელს კი ამუშავდა მახარაძის (ოზურგეთის) ძაფ-  
სალები ფაბრიკა. ამავე წლებში შევიდა ექსპლუატაციაში წულუკი-  
ძისა და სხვა ფაბრიკები, ძაფსალები აუზების რაოდენობა მთელ რეს-  
პუბლიკაში შვიდჭერ გადიდდა.<sup>1</sup> დიდი რეკონსტრუქცია განიცადა ამ

<sup>1</sup> გ. ბახ ტაძე, აბრეშუმის მრეწველობის განვითარება საქართველოს საბ-  
ჭოთა რესპუბლიკაში, თბ., 1953. გვ. 6.

ჭაბრიკებშია პირველ ხუთწლედში. მკვეთრად გაიზარდა ხამი აბრეშუ-  
მის ძაფის გამოშვების რაოდენობა და ხარისხი.

აბრეშუმის ძაფსალებ წარმოებასთან ერთად უმჯობესდებოდა აბ-  
რეშუმის ძაფსაგრეხი წარმოებაც. 1926 წლის 12 დეკემბერს ამუშავ-  
და მახარაძის აბრეშუმის ძაფსაგრეხი ფაბრიკა. მის განკარგულებაში  
იყო 400 საგრეხი თითისტარი... ამ პერიოდში ეს ფაბრიკა ერთად-  
ერთი აბრეშუმის ძაფსაგრეხი საწარმო იყო რესპუბლიკაში, რომელ-  
მაც პირველი პროდუქცია გამოუშვა 1927 წელს 6,8 ტონის ოდენო-  
ბით. სამრეწველო პერსონალი 95 კაცისაგან შედგებოდა.

1927 წელს ძაფსალებ საწარმოში დამატებით დაიდგა 54 დაზგა,  
მომდევნო წელს მეორე საამქროში ამუშავდა 36 დაზგა. 1929 წელს  
იმავე საამქროში დაზგების რაოდენობა 72-მდე გადიდდა. ფაბრიკის  
საერთო სიმძლავრე გახდა 144 ძაფსალები დაზგა 1368 თვითწამლებით.  
1927 წელს მახარაძის ძაფსალებ და ძაფსაგრეხ წარმოებას ემსახურე-  
ბოდა 500-მდე კაცი, გამოშვებულ იქნა 11,4 ათასი კგ ხამი აბრეშუ-  
მის ძაფი<sup>1</sup>. 1937 წელს პროდუქციის რაოდენობა გადიდდა 52,5 ტო-  
ნამდე, ხოლო 1950 წლისათვის—71,1 ტონამდე. 1937 წელს სამრეწ-  
ველო პერსონალის რიცხვი უკვე აღწევდა 1145 კაცს. ამჟამად ფაბ-  
რიკა უშვებს სამი ასორტიმენტის (№№ 643, 429, 310) ხამი აბრე-  
შუმის ძაფს და სხვა მრავალი სახის პროდუქციას<sup>2</sup>.

ამრიგად, მახარაძის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკა საქართველოს  
მონათესავე საწარმოებთან შედარებით ყველაზე დიდი სამრეწველო  
ობიექტი იყო; მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სანედლეულო  
ბაზის გაფართოებასა და მშრომელი გლეხობის მატერიალური კე-  
თილდღეობის ამაღლების, მთლიანად რესპუბლიკაში საფეიქრო მრე-  
წველობის განვითარების საქმეში.

1 «История индустриализации Грузинской ССР», Тб., 1968, стр. 71.

2 მახარაძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის ტექნიკური კონტროლის განყო-  
ფილების შესალებიდან.

## განარაღის აგრძელების ძაფსაღებ-საგრეჩი ფაზრიგა

1926—1941 წლებში

1924 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტში შემუშავდა წინადაღება აბრეშუმის პარკის ფაბრიკული წესით დამუშავების (ამოხვევის) შესახებ. ამ წინადაღებას მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. გადაწყდა აბრეშუმის ფაბრიკის მშენებლობა, უწინარეს ყოვლისა, დაეწყოთ ოზურგეთში, თელავში, სამტრედიასა და ხონში. ფაბრიკების მშენებლობის დაწყება დაევალა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს. იტალიიდან საგანგებოდ გამოითხოვეს ძაფის ამოსახვევი დაზგები, შეარჩიეს კადრები, რომლებიც გაიგზავნა იტალიაში აბრეშუმის ტექნოლოგიის უკეთ დაუფლებისათვის. მახარაძინ იყვნენ სპირიდონ ჩომახიძე, ლაზარე ბაბაევი, ბენიამინ კალანდაძე<sup>1</sup>.

საკ. კპ(ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შესაბამისად გურიის სამაზრო კომიტეტის ხელმძღვანელობით ფართოდ გაჩაღდა მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრები ფაბრიკის მშენებლობა. ამ საქმის დიდი ენთუზიასტი იყო ქველი ბოლშევიკი კირილე უჯამაჯურიძე, რომელსაც სამაზრო კომიტეტმა მიანდო ფაბრიკის მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობა. საწარმოს მშენებლობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მიხეილ ჭოხონელიძე, რომელიც იმ დროს ოზურგეთის რაიალმასკომის თავმჯდომარედ მუშაობდა, სოლომონ ანდოლულაძე (ფაბრიკის მშენებლობის უფროსი), ინეინრები დავით თოხაძე, ვალერიან ჩეხოვი და გერმანელი ბალკი, აგრეთვე ჩათახის ქარხნის მშენებელ სპეციალისტთა ორკაციანი ბრიგადა. აქვე შუშაობდნენ იტალიელი სპეციალისტი მატაველი, კრეპი და სხვები.

პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტმა ფაბრიკის მშენებლობაზე

<sup>1</sup> გაზ. „ლენინის დროშა“, 1977 წლის 25 აგვისტო.

გაგზავნა კომუნისტი ბესარიონ რუსიქე, უფრო გვიან იგი ცვლის ბრი-  
გადირი გახდა, ხოლო მისი ძმა მელენტი ექსპედიტორად მუშაობდა.  
კომერციის გურიის სამაზრო კომიტეტმა ფაბრიკის მშენებლობის  
კომერციული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა შრომისმოყვარე  
და ენერგიულ ახალგაზრდას აკ. დოლიძეს მიანდო. საწარმოს მშენე-  
ბლობის ვადამდე დამთავრებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით  
ყოფილ მუშებს ამირან კვაჭაძეს, სერგო სიამაშვილს, ალექსანდრე  
დარჩიას; შველ ბოლშევიკებს—მაკარ ქილიფთარს, იაკინთე კობა-  
ლიას, ანდრო ოსიპოვს, სიმონ ჩხაიძეს, რაფენ დოლიძეს, ალისტ-  
არს წილოსანს; ვეტერან კომერციულებს—შალვა შარაშენიძეს,  
გიგო ჩავლეიშვილს, მამა-შვილს ბესარიონ და ივანე კვაშალებს, ვა-  
ლერიან სალუქვაძეს; ეკონომისტებს—კირილე ჭელიძეს, ვალერიან  
ლომნტსა და სხვებს.

• ის ადგილი, სადაც ახლა ფაბრიკაა აშენებული, გაუვალი ჭაობი  
იყო. ჭირდა მშენებლობა, საშენ მასალას ოცდაათამდე ულელი ხარ-  
კამეჩით, ცხენებითა და ფურგონებით ეზიდებოდნენ, ხშირად ურემ-  
ისე ჩაფლობოდა ჭაობში, რომ მესა ამოსაყვანად ათი-თხუთმეტი კაცი  
იყო საჭირო. მაშინ მანქანა რაიონში არ იყო, თუნდაც რომ ყოფი-  
ლიყო, ასეთ ჭაობში ვერაფერს გახდებოდა. მშენებლობის ბრიგადი-  
რად მუშაობდა ბოხვაურელი გიგო ჩავლეიშვილი—მაღალი, ომახიანი  
და საქმის მოყვარული კაცი. მეურმები—ივანე ძიძიგური და ივანე  
სკამკაიშვილი გვიან სალამომდე ეზიდებოდნენ საშენ მასალას—  
სილას, ქვიშასა და ცემენტს. ფაბრიკის მშენებლობაზე ყოველდღი-  
ურად 50-დან 200-მდე კაცი მუშაობდა.

ხალხის ენთუზიაზმა და შემოქმედებითმა შრომამ. შედეგი გა-  
მოიღო და მწყობრში ჩადგა რესპუბლიკის აბრეშუმის მრეწველობის  
ერთ-ერთი დიდი საწარმო. მისი მშენებლობა 1925 წლის 22 დეკემ-  
ბერს დაიწყო და ცხრა თვეში დამთავრდა. 1926 წლის 4 ოქტომბერს  
დილით მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის ძაფსაღები საამქროს პირ-  
ველი კორპუსი ამუშავდა. ეს დღე, წერდა ფ. მახარაძე, გურული გლე-  
ხებისათვის მართლაც საზეიმო დღედ უნდა ჩაითვალოს. არ იქნება  
გაზვიადებული თუ ვიტყვით, რომ ეს ფაბრიკა დიდი შენაძენია შრო-  
მელი ხალხისათვის და ხალხი ამსა შესაფერისად დააფიქსებსო!

ფაბრიკის გახსნისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას ესწრებოდ-

1 ფ. მახარაძის პირადი არქივი. მლისთა, ფ. 2914, საქ. 558, ფურც. 4.

ნენ არა მარტო რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფესიული და კუმუნისტული ორგანიზაციების წარმომადგენლები, არამედ მეზობელი ქალაქებისა და სოფლების მშრომელთა დელეგაციები. მისასამართებელი დეპეშები გამოგზავნეს საკ. კპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანმა გ. ორგონიკიძემ და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარებ ფ. მახარაძემ. ისინი გულწრფელად ულოცავდნენ გურიის მშრომელებს ამ ახალ შენაძენს და უსურვებდნენ წარმატებებს მუშაობაში! ზეიმი გვიან საღამომდე გაგრძელდა.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღები ფაბრიკის პირველ დირექტორად დაინიშნა ილარიონ კალანდაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივნად ძველი ბოლშევიკი ბესარიონ რუსიძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარედ — მაკარ ქილიფარი, კუმუნისტის ორგანიზაციის მდივნად — აკაკი ლოლიძე. საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის ტრესტმა ფაბრიკის დირექტორად ტექნიკურ ნაწილში დანიშნა ამ დარგის ნიჭიერი სპეციალისტი ლაზარე ბაბავი, რომელიც ფაბრიკაში 1926 — 1937 წლებში მუშაობდა. იგი ფაბრიკის მთავარ ინჟინერ სპირიდონ ჩიმახიძესთან ერთად ცხოვრობდა ფაბრიკის ეზოში ორსართულიან ხის შენობაში, იქვე იყვნენ იტალიელი მუშებიც. ორივე სპეციალისტი კარგად ფლობდნენ ჩტალიურ ენსა და ყველა გაურკვეველ საკითხს ისინი დროულად არკვევდნენ; რითაც თავიდან იცილებდნენ კონფლიქტს იტალიელ და ქართველ მუშებს შორის.

აბრეშუმის ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვებისათვის საჭირო იყო 200-მდე მუშა, მსურველი კი აღმოჩნდა 2 ათასამდე კაცი. ამიტომ მკაცრად მოხდა მუშების შერჩევა. ძირითადი ნაწილი იყო ქალები, რომლის 80 პროცენტს ჰქონდა საშუალო განათლება. ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვებისას დაზგის პირველი მუშები იყვნენ სონია ჭიჭია, ონორა დოლიძე, თეოლინა, სოლომონიდა და მარიამ მენაბდეები, თამარ კონტრიძე, სონია ფიფია, ქიონია და მარიამ ვარდაშვილები, ქეთევან გირელიძე, ელენე თავართვილაძე, ბაბორა ჭაველი, აკვილინა სიმონიშვილი, მარიამ მგალობლიშვილი, ნინო ბერიძე, თეოლინა გირგაძე, ვერა წერეთელი, უენია ორმოცაძე,

1 გზ. „მუშა“, 1926 წლის 4 ოქტომბერი.

ტადია ქვაშალი, ოლია ჩიტაიშვილი, თამარ სიხარულიძე, ეკოტერინე  
ბერძენიშვილი, ქსენია მსხალაძე, შუშანა ლლონტი, მარიამ გრიგორი-  
ძე, გისასი ბურჭულაძე, გოგუცა ნაკაიძე, დარეჯან ჭანიშვილი, თამარ  
კოტრიკაძე, მელინქი ჭანიშვილი, დომნა თოხაძე, ნინო თოთიბაძე,  
ნატალია არობელიძე, ნინო პატარავა, ქიონია მამულაიშვილი, მარგა-  
რიტა კობალავა, ნადია კოპლატაძე, ელენე მოსსწრაფიშვილი, ლიდა  
ჩავლეიშვილი, ვერა ქველაია, ფედოსი ზურაბიშვილი, ლოლა სიხა-  
რულიძე, ქსენია სურგულაძე, ალექსანდრე, თინა, ეთერ და თამარ  
ჩანტლაძეები, ჟუჟუნა ნაკაიძე, ნინო ბარამიძე, ოლია გოგიბერიძე,  
მაგდანა ჩხაიძე და სხვები, რომლებიც პირდაპირ სკოლის მერხები-  
დან მოვიდნენ აბრეშუმის ფაბრიკაში სამუშაოდ.

დაზგის პირველი მუშა ვაჟები იყვნენ ანდრო ლომინაძე, ვასო  
დოლიძე, სანდრო დარჩია, რომლებიც ადრე ფაბრიკის მშენებლობა-  
ზე მუშაობდნენ.

ფაბრიკის დაზგა-დანადგარების მოწყობაში, ელექტროგაუგანი-  
ლობის დამონტაჟებაში, ელექტროსადგურის საორთქსლე ქვაბებისა  
და სხვა ტექნიკური მოწყობილობების შეუფერხებელ მუშაობაში  
განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის სამექანიკო-ტექნიკური სა-  
ამქროების პირველ მუშებს: დავით ჭეიშვილს, ბენო გოგიბერიძეს,  
გიორგი ასათიანს, ივანე კალანდარიშვილს, პეტრე, ალექსანდრე და  
ესე კალანდადებს, ამბროსი მიქაშავიძეს, ვალერიან სალუქვაძეს, გე-  
რასიმე მამრიკაშვილს, ანდრო კილაძეს, მიხეილ ცენტრერაძეს, შალვა  
ინწყიოველს, გივი წულაძეს, მიხეილ კუტუბიძეს, არქიტო დარჩიას,  
ილია და ვასილ ქავერაძებს, სევერიან კოტრიკაძეს, სევერიან ურუ-  
შაძეს, ვასილ ხავთასს, გერონტი ორაგველიძეს, ილია გაბედავას, გი-  
ორგი სიხარულიძესა და სხვებს.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდ ყურად-  
ღებას აქცევდნენ აბრეშუმის ფაბრიკის შემდგომი განვითრების საქ-  
მეს. ძაფსაღები საამქროს მშენებლობასთან ერთად მიმდინარეობდა  
საგრეხი საამქროს მშენებლობაც. ფაბრიკის ხელმძღვანელები და მუ-  
შები არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ საგრეხი საამქროს სამ-  
შენებლო სამუშაოები შეუფერხებლად წარმართულიყო. სწრაფი ტემ-  
პით საგრეხი საამქროს მშენებლობამ შედეგი გამოიღო. მისი მშენე-  
ბლობა დამთავრდა 1926 წლის 12 დეკემბერს. იმ წელს საწარმოს  
პროდუქცია არ მიუცია. იგი 1927 წლიდან შევიდა ექსპლუატა-  
ციაში.

საგრეხ სამქროში შუშები უმთავრესად კომკავშირის ოაღონული კომიტეტის საგზურებით გაიგზავნა. საამქროს პირველი შუშები იყვნენ ნინო ჭახუა, ლუბა შარაშიძე, გალინა ვადაჭკორია, დომინა გოგიჩაიშვილი, ოლია გობრონიძე, ნინო მეგრელაძე, ნიკოლოზ თავაძე, ნინო და თამარ მახარაძები, დარეჯან მიქელაშვილი, თამარ სამსონია; თამარ ბერეჯიანი, კაკალა ჭახუა, ფაცია და ნინო კობიძეები, ზინა ბერიძე და სხვები!

1928 წლის 15 ივნისს მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში ამუშავდა ძაფსალები საამქროს მეორე კორპუსი. საზეიმო შეკრებაზე თავი მოიყარეს მუშებმა, მშენებლებმა, ინუინრებმა, პარტიული და კომკავშირული კომიტეტების წარმომადგენლებმა, აბრეშუმის მრეწველობის ტრესტის ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა. საზეიმო სხდომა გახსნა საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარებ მაკარ ქილიფთარმა, ორატორებმა ფაბრიკის კოლექტივს მიულოცეს მეორე კორპუსის ამუშავება. ახალი კორპუსის 72 დაზგა დამზადებული იყო თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენ ქარხანაში. პირველი კორპუსის დაზგები (72) კი იტალიიდან იყო შემოტანილი. ამრიგად, ძაფსალები საამქროს ორივე განყოფილებაში (კორპუსში) დადგმულ და გაწყობილ იქნა 144 ძაფსალები აუზი.

ძაფსალები საამქროს მეორე კორპუსის დაზგასთან პირველნი დადგნენ ვალერიან თუთაიშვილი, თამარ და შუშანა ხუხუნაიშვილები, უენია და მარგარიტა თოთიბაძეები, დარეჯან და თამარ კილურაძეები, ივანე უქმაჯურიძე, ივანე მუჯირი, მართა მენაბდე, ვასილ და აკაკი დოლიძეები, სერგო და თამარ მეგრელიშვილები, ნინო მეგრელიძე, ილია სამსონია, ვანო გობრონიძე, მიხეილ სკამკოჩაიშვილი, მიხეილ კალანდაძე, შოთა და კოტე კველიძეები, სოსო თუმანიშვილი, ივანე და ქეთევან ყარეგაიშვილები, შალვა ლომაძე, დიმიტრი ბურაკოვი, ვლადიმერ ლომაძე, კარლო აფხაზავა, ქეთევან კოტრიკაძე, ნინო რუსიეშვილი, გალინა კალანდაძე, გრიგოლ დარჩა, გიორგ სალუქვაძე, მიხეილ დოლიძე, ალექსი ჭეიშვილი, ელენე და აკაკი მუავანაძეები, გრიგოლ და ალფესი კილურაძეები, დომენტი ვასაძე,

1 მახარაძის აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკამ დიდი ინტერესი გამოიწვია აჭარის

მშრომელებში. მის სანახავად მოვიდა აჭარელ ქალთა დელეგაცია. გაიმართა მიტინგი. აჭარელ ქალებს მოყვნენ პარტიული კომიტეტისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

ლავრენტი ჭეფხოძე, დიმიტრი სურგულაძე, კლავდია საბაშვილი, პროკოფი და დავით სურგულაძები, დარეჯან თოთიბაძე, საბა და ლავრენტი მგალობლიშვილები, აგრაფინა შარაშიძე, დიმიტრი კვერდელიძე, კუკუნია ცინცაძე, ვლადიმერ ალექსეევი, რონა შათირიშვილი, ელენე და ოლია დარჩიები, ანდრო, ნინო და თამარ კვაშალები, ილია დოლიძე, პლატონ ჭყონია, ჩიტო ქვეტინიძე, ჭეთევან პაპუნაშვილი, ელენე ჩავლეიშვილი, თამარ კუკულაძე, მელო და დავით კალანდაძები, მიხეილ იობიშვილი, მირიან კილაძე, შუქრი შარაშიძე, სერაპიონ სეფერთელაძე, ემელანე ულერია, ლილა ქავერაძე, მეტა და ონია კვაშალები, თამარ და ლილა ლომაძები, დარია და ლეო ტრაპაიძები და სხვები. როგორც გხედავთ, ახალ სამქროში მამაკაცები შეადგენდნენ 50 პროცენტს.

ფაბრიკის უქსალუატაციაში გაშვების დროს ლაზარე ბაბაევის გარდა ძაღის ამოხვევა არცერთმა მუშამ არ იცოდა. მუშები მისი ხელმძღვანელობით გააწილეს ბრიგადებში, თითოეულ მათგანს ძაფის ამოხვევა უშუალოდ ლაზარემ შეასწავლა. იმ დროს ფაბრიკა მუშაობდა 3 ცვლად, ხოლო უფრო გვიან კი 2 ცვლად.

საწარმოს მუშები გადიოდნენ ტექნიკურ მინიჭუმს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ ისინი, რჩებოდნენ და სპეციულურ წრეებში სწავლობდნენ მუშაობის მეთოდებს. ფაბრიკა ამზადებდა საექსპორტო ასორტიმენტის ძაფს, რომელიც იგზავნებოდა საზღვრებარეთ. ასეთი ძაფის დამზადება შეეძლო მხოლოდ ძაფის ამოხვევის მეთოდის მცოდნე მუშებს, ამიტომ დიდი იყო კონტროლი სწავლებასა და ტექნიკოლოგიის დაუფლებაზე. უნდა ითქვას, რომ საწარმოს კოლექტივი მაღალი ხარისხის ძაფს ამზადებდა. ნაგრეხი ძაფი იგზავნებოდა ქუთაისსა და თბილისში, აგრეთვე მოსკოვში.

ამავე დროს წარმატებით შიმდინარეობდა მასების პოლიტიკური აღზრდა შრომით და პოლიტიკური აქტივობის გამოსავლინებლად. ხშირად ეწყობოდა შაბათობები, იქმნებოდა დამკვრელური ბრიგადები.

კომკავშირის აზურგეთის სამაზრო კომიტეტის საგზურით 1929 წლიდან ძაფსალებ ფაბრიკაში მუშად მუშაობდა თამარ კილურაძე, რომელიც 1931 წელს პარტიის წევრობის კანდიდატი, ხოლო 1932 წელს პარტიის წევრი გახდა. 1931 წლის დასაწყისში იგრ გადაიყვანეს ფაბრიკის პარტიული ბიუროს ქალთა სექტორის გამგები. ამ სექტორის მოვალეობას შეადგენდა ხელმძღვანელობა გაეწია ქალთა სა-

დელეგატო კრებების მუშაობისათვის. სადელეგატო კრებები განიხილავდნენ მუშა ქალების მონაწილეობას საწარმოო საქმიანობასა და სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია თავისი ორგანიზებულობით, დისციპლინითა და აქტიურობით ერთ-ერთი მოწინავე იყო ობინის ახალგაზრდულ ორგანიზაციებს შორის. აქტიური წევრები — დარია კილურაძე, ოლია პაკატელოვა, აკაკი დოლიძე, კარლო აფხაზავა, ვასილ ხავთასი, ზინა ბერიძე, ანა ართილაყვა, და-ძმა დარეკან და ივანე მიქელიშვილები, შალვა ლომაძე, დარეჯან ჭანიშვილი, გიორგი ჭაველი, კაკალა ჭახუა და სხვები გაერთიანებული იყვნენ რაიონის მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან არსებულ „მსუბუქ კავალერიაში“. აქ ისინი ლებულობდნენ დავალებებს, ამოწებდნენ ორგანიზაციებში სხვადასხვა საკითხს. გადაწყვეტის დონეს, შემოწმების შედეგებს განიხილავდნენ „მუშალენინის“ სხდომებზე, „მსუბუქი კავალერიის“ წევრები კრიტიკისა და თვითკრიტიკის საფუძველზე ნაკლოვანებებს განიხილავდნენ მუშაობაში, ლებულობდნენ ზომებს მათ გამოსასწორებლად.

ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციას მუშაობაში დიდ დახმარებას უწევდა პარტიული ბიურო. პარტიულოს საქმიანობას ახასიათებდა მტკიცე ბრძოლისუნარიანობა. იგი სათავეში ედგა ფაბრიკის შრომისმოყვარე კოლექტივს და წარმატებებს აღწევდა საწარმოს დავალებათ შესრულებაში, ფაბრიკის აქტივის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებაში. პარტიული ორგანიზაციისა და საერთოდ ფაბრიკის ხელმძღვანელობის ენერგიული მუშაობის მაჩვენებელი იყო ისიც, რომ ადგილი თითქმის არ ჰქონია წუნს, საწარმოო უაღრესად რიტუალად მუშაობდა.

ფაბრიკის დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები მეგობრულ დახმარებას უწევდნენ ახალშექმნილ ლაიტურისა და ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობებს. ეს დახმარება, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატებოდა ტყე-ბუჩქარის ამონირებებისა და ჩაის პლანტაციების გაშენებაში. იმ დროს საბჭოთა მეურნეობებს არ გააჩნდათ სათანადო სასოფლო-სამეურნეო-ტექნიკა. მძიმე ფიზიკური სამუშაოს, შესრულება მუშებს უმთავრესად უხდებოდათ ხელით, შრომის ანაზღაურების გარეშე. მიუხედავად ამისა, ფაბრიკის კოლექტივი ამ საზოგადოებრივ საქმეს დიდი მონდომებითა და სიყვა-

რულით ასრულებდა. საწარმოს ხელმძღვანელობა ამაყობდა შერომის-  
მოყვარე ადამიანებით.

აბრეშუმის ფაბრიკის მუშების დიდი ნაწილი იყო კვალიფიციუ-  
რი, შრომისმოყვარე და დამკვრელი, თითქმის ყველა მათგანი ასრუ-  
ლებდა საწარმოო დავლებებს. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯ-  
ვებულებს ენიჭებოდათ დამკვრელი ბრიგადების, დამკვრელი მუშე-  
ბის საპატიო წოდებები.

საგეგმო დავალების შესრულებისა და ხარისხობრივი მაჩვენებ-  
ლების ამაღლების საკითხი მუდამ იყო ყურადღების ცენტრში, უბრა-  
ლო დარღვევაც კი საწარმოო თათბირების მსჯელობის საგანს წარ-  
მოადგენდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შრომის დის-  
ციალინის განმტკიცების საკითხს. ბრძოლა იყო გამოცხადებული  
ეგრეთ წოდებული „ფრენიების“ წინააღმდეგ.

მუშათა მასების აღზრდის, წარმოების საქმიანობაში მათი ცხო-  
ველი მონაწილეობის ერთ-ერთი ქმედითი ფორმა იყო საწარმოო თა-  
თბირები. ფაბრიკის საწარმოო თათბირებს ხელმძღვანელობდა ზინა-  
იდა ბერიძე. ოვეში ერთხელ მაინც ეწყობოდა საწარმოო თათბირი,  
სადაც იხილავდნენ წარმოების საჭიროობობრივ საკითხებს, იმართებო-  
და საქმიანი საუბარი, მუშები აქტიურად მონაწილეობდნენ საკით-  
ხების გადაწყვეტაში, ლებულობდნენ პრაქტიკულ ღონისძიებებს, ახ-  
დენდნენ მათი შესრულების შემოწმებას. საწარმოო თათბირების  
საქმიანობა სრულად გამოხატავდა ფაბრიკის მუშების მონაწილეო-  
ბას წარმოების განვითარების, მუშაობის გაუმჯობესების, საწარმოო  
დავალების შესრულების საქმეში. იგი წარმოადგენდა მუშათა მასე-  
ბის აღზრდის საუკეთესო ფორმას.

ადმინისტრაციის საქმიანობაში მუშათა მასების მონაწილეობის  
მძლავრი საშუალება იყო კოლექტიური ხელშეკრულება. ამ ხელშეკ-  
რულების საფუძველზე მუშები იღებდნენ ვალდებულებას საწარ-  
მოო გეგმის შესრულებისა და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრული  
დაცვისათვის, ხოლო ფაბრიკის დირექციის მოვალეობას შეადგენდა  
მუშებისათვის შეექმნა შრომის ხელსაყრელი პირობები, ეზრუნა მა-  
თი საყოფაცხოვრებო მდგომარეობის გაუმჯობესების, ტექნიკური  
უშიშროების უზრუნველყოფისათვის. ყოველი წლის ბოლოს მოწმ-  
დებოდა კოლექტიური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების  
შესრულების შედეგები. რომელთაც იხილავდა მუშა-მოსამსახურეთა  
საერთო კრება.

1928 წლის დეკემბერში გადაისინა კოლექტიური ხელშეკრულებანი და მასში შეტანილ იქნა საჭირო ცვლილებები. ფაბრიკის პარტიულმა ბიურომ საგანგებოდ იმსჯელა იმის თაობაზე, რომ კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეეტანათ მუშა-მოსამსახურეთათვის სტაციალური ტანსაცმელით უზრუნველყოფის, შვებულების გადიდების, სამანქანო საამქროსთვის სსეციალური ტანსაცმელების შესანახი სათავსოების გაკეთების, მუშების პურეულით უზრუნველყოფის, აბანოსი და სასაღილოს შენობის, გათბობის, საფაბრიკო კომიტეტიან შეთანხმებით განთავისუფლებულ ადგილზე მუშების მიღების, ბინის მშენებლობის, საკლუბო მუშაობის საკითხები<sup>1</sup>.

წარმოების განვითარების საჭმეში გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა მონათესავე საწარმოების ურთიერთლახმარებას, გამოცდილების გაზიარებას. ამ მიზნით ქუთაისის აბრეშუმის ფაბრიკაში გაიგზავნა მახარაძის აბრეშუმის ძაფსალები ფაბრიკის სამი უფროსი მუშა (სერგო გოგატიაძე, თამარ კალანდაძე, შუშანა ჭაში), ხოლო ნორმადარის და ქრონომეტრაჟისტის კურსებზე ორი ასისტენტი — ალექსანდრე დარჩია და გენო ქურიძე<sup>2</sup>.

1929 წლის მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივი ღებულობს სოციალისტურ შეჯიბრებაში მოსკოვის წითელი აბრეშუმის საგრეხი ქარხნის კოლექტივის გამოწვევას. ამ მეგობრული მომართვის საპასუხოდ მოსკოვში გაიგზავნა დავით სურგულაძე და ნატალია იმნაძე<sup>3</sup>. იმავე წლის ივნისში პარტიული ბიუროს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის აბრეშუმის ტრესტში გამართულ თათბირზე ფაბრიკიდან მიავლინეს 6 ამხანაგი (კალანდაძე, ბაბაევი, შვილობაძე, ცინცაძე, ალ. დარჩია და სოლომონიდა მენაბდე). 26 ნოემბერს ფაბრიკის დირექტორი და პარტიულმა ბიურომ განიხილეს საკითხი რესპუბლიკის ერთ-ერთ დიდ სამრეწველო ორგანიზაციასთან პარტიული ხაზით კავშირის დამყარება-განმტკიცების შესახებ. გადაწყდა, რომ კავშირი დაემყარებინათ თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის მთავარსახელოსნოსა და ქუთაისის ძაფსალები ქარხნის კოლექტივებთან. წერილობითი მიმართვის შედგენა დაევალა პარტიული ბიუროს მდრევანს აფრასიონ ჭიბუტს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მლისფა. ფ. 824, საქ. 2, ფურც. 3,4.

<sup>2</sup> იქ ვე, ფურც. 15.

<sup>3</sup> იქ ვე, ფ. 824, საქ. 2, ფურც. 15.

<sup>4</sup> იქ ვე, ფურც. 35.

ფაშისტიკის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მუშა-მოსამსახურეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხს. პარტიული ბიუროს სხდომებზე საფუძვლით ითხოვდნენ. სოციალისტური შეჯიბრების მასალებსა და შეჯიბრების გეგმის პროექტებს. საფარისტური კომიტეტის მონაცემებით, 1929 წლის სექტემბრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში უკვე ჩაბმული იყო 65 მუშა<sup>1</sup>. სოციალისტური შეჯიბრება და სხვა ღონისძიებანი ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების ზრდას, მასების შრომითი აქტივობის ამაღლებას. მაგრამ ფაბრიკის კოლექტივი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა. იგი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნორმა ჯერ კიდევ არ იყო მიღწეული, საჭირო იყო კულტურულ-მასობრივი და ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი გაფართოება<sup>2</sup>.

ფაბრიკის პარტიული ბიურო ყურადღებას ამახვილებდა დამკვრელური ბრიგადების ჩამოყალიბებაზე. 1929 წლის 30 ნოემბრის ბიუროს დადგენილებაში ნათქვამია: „ძაფის ამომღებ კორპუსებში ორივე ცვლაზე ჩამოყალიბებულ იქნას 12 ბრიგადა, ე. ი. ძაფის ამომღებაში — 4, ხარშვაში — 4 და მსკვნელებში — 4, თითოეული ბრიგადის წევრების რაოდენობა განისაზღვროს 5 კაცით“<sup>3</sup>.

1930 წლისათვის სოციალისტურმა შეჯიბრებამ ფართო ხასიათი მიიღო. საერთო შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 856 მუშა, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში — 359, მოქმედებდა 32 დამკვრელური ბრიგადა, რომელიც აერთიანებდა 320 მუშას. ხშირად მოწმდებოდა ჩატარებული მუშაობა, სახავდნენ საჭირო ღონისძიებებსაც. უმჯობესდებოდა აგრეთვე საწარმოო თათბირების მუშაობაც. ყველა სექტორს შედგენილი ჰქონდა სამუშაო გეგმა, ტარდებოდა თათბირები, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. საჭირო იყო, რომ მუშა არ დარჩენილიყო ინდივიდუალური შეჯიბრების გარეშე, ეზრუნათ ხარისხიანი პროდუქციის დამზადებაზე, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. უნდა გაძლიერებულიყო პრაქტიკული ხელმძღვანელობა ჩამორჩენილი ბრიგადების „ბუქსირზე ასაყვანად“, ყოველი თვის ბოლოს უნდა მომხდარიყო დადებული ხელშეკრულების შემო-

<sup>1</sup> 1929 წლის დასაწყისისათვის მახარაძის აპრეშუმის ძაფსალებ-საგრეს ფაბრიკში დასაქმებული იყო 929 მუშა-მოსამსახურე, მუშა იყო 873, ქალი — 658.

<sup>2</sup> მლისფა. ფ. 8240, საქ. 3, ფურც. 22.

<sup>3</sup> ი ქ ვ ე, ფ. 8240, საქ. 11, ფურც. 5—7.

წმება და გამარჯვებული ბრიგადების წითელ დაფაზე გამოქვეყნება. ამ ღონისძიებათა გატარება ფაბრიკას შესაძლებლობას მისცემდა მუშათა კონტიგენტის ზრდის შესაბამისად მეტი წარმატებანი მოჰკვდის პოვებინა საწარმოო გეგმების შესრულებაში.

წახალისების ფორმებად გამოყენებული იყო ფულადი და მატერიალური პრემია (მაგალითად, საკერავი მანქანა, მზა ტანსაცმელი, ქსოვილები, საოჯახო ინვენტარი და სხვ.). მოწინავე მუშები და შრომითი შინაგანაწესის სანიმუშო დამცველები მონაწილეობდნენ საწარმოო თათბირებში, მათი წინადადებები საჭმიანი იყო და მიზნად ისახვდა ფაბრიკის მუშაობის მეთოდებისა და ხალხის მატერიალურ-კულტურული დონის გაუმჯობესებას.

სწორედ ამ პერიოდში გამოიყო სამეცნიერო პარტიუროები, მიმდინარეობდა დასაწინაურებელი მუშა ქალების ოღრიცხვა, ეწყობოდა კულტურული ლაშქრობა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდა-ციისათვის.

1929 წლის 7 დეკემბერს მახარაძის აბრეშუმის ძალსალებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა საკითხი მუშა ქალების შესახებ. აღინიშნა, რომ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა საწარმოს ეზოში კლუბის აგება. ეს საკითხი ადრეც იყო დასმული. ასეუბული პროექტის შესაბამისად ფეიქართა საკავშირო პროფკავშირს გამოყოფილ პქნნდა 40 ათასი მანეთი, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჭი მშენებლობის მიმართულებით არ გადადგმულა, ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია აყენებდა საკითხს პარტიის გურიის სამაზრო კომიტეტის წინაშე და სთხოვდა მიეღოთ სათანადო გადაწყვეტილებანი<sup>1</sup>.

კლუბის მშენებლობის საკითხი ფაბრიკის დირექციისა და პარტიული ბიუროს სხდომაზე განხილულ იქნა 1930 წლის 17 ნოემბერს. ინფორმაციით გამოვიდა რესპუბლიკის აბრეშუმის ტრესტის წარმომადგენელი შ. ჩხეიძე. მიღებულ დადგენილებაში საწარმოს ადმინისტრაციას, პარტიულ ბიუროსა და საფაბრიკო კომიტეტს დაევალა პარტიის რაიონმისა და აბრეშუმის ტრესტის მეშვეობით წარმატებით გადაწყვეტათ კლუბის მშენებლობის საკითხი.

შესწავლილ იქნა აგრეთვე საკითხი მუშების საყოფაცხოვრებო პირობებისა და ბინათმშენებლობის შესახებ. გამოირკვა, რომ სასა-

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 9, ფურც. 51.

დილოები სათანადოდ ვერ ემსახურებოდა მუშების დიდ რაოდენობას, რაც მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევდა. ფაბრიკის დირექტორის წინადადება მიეცა დაუყოვნებლივ გაეფართოებინა არსებული სასადილოს გამტარუნარიანობა. სამომხმარებლო კონძერატივის წინაშე დაისვა საკითხი პარტიის რაიონული კომიტეტის დადგენილების შესაბამისად გაეფართოებინა პირველ მოთხოვნილების საგნებით მუშათა მომარაგება. პარტიულმა ბიურომ მიუთითა, რომ „ემს“ ეკონომიკურ მომსახურებათა საზოგადოება) გამგეობასთან ერთად ეზრუნათ ზემოაღნიშნული საკითხების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული შენობის შეძენა, რომელშიც მოთავსდებოდა პარტიული ბიურო, საფაზჩიკო და კომკავშირული კომიტეტები, ამბულატორია, საპარიქმახერო და ფეხსაცმელების შემკეთებელი სახელოსნო. ფაბრიკის ადმინისტრაციას დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო კონძერატივის შენობის აგება ტრესტის მიერ დამტკიცებული პროექტის საფუძველზე; ყურადღება უნდა გაემახვილებინა საორთქლე ქვაბებისა და სახანძრო დაცვის საქმის მოწესრიგებისათვის<sup>1</sup>.

საწარმოს კოლექტივი აქტიურად მონაშილეობდა პირველი ხუთწლიანი გეგმის შედეგენასა და განხორციელებისათვის ბრძოლაში. ფაბრიკის შრომისმოყვარე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი (ლაზარებაბაევი, დიმიტრი (კუჭულა) ლოლიძე, ელენე თავართქილაძე, ონორა დოლიძე, სოლომონიძა მენაბდე, ემელიანე ულერია, სერგო სარიშვილი, თამარ სიხარულიძე, ქეთო აბაშიძე და სხვ.) დიდ ყურადღებას უთმობდნენ წარმოებაში შრომის ორგანიზაციას, სამუშაო უბნებზე მუშების პროფესიისა და კვალიფიკაციის მიხედვით განაწილებას, მასების შრომით და პოლიტიკურ აღზრდას<sup>2</sup>.

შეიქმნა ერთწლიანი სადელეგატო პუნქტი, ხელმძღვანელებად გამოიყენენ ე. თავართქილაძე და თ. გიორგაძე, ორგანიზატორებად — მ. ჩხეიძე და ს. ფიფიძე. სათანადო ყურადღება ექცეოდა უურნალ-გაზეთების გავრცელებას. განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა უურნალი „მშრომელი ქალი“, რომელშიც ხშირად ქვეყნდებოდა ინფორმციები მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის მოწინავე ქალების შესახებ.

<sup>1</sup> მლისფპა, ფ. 8240. საქ. 11, ფურც. 1—2.

<sup>2</sup> იქვე, საქ. 3, ფურც. 42.

პარტიული მუშაობის, პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარა-  
წყვეტილებათა პროპაგანდის მაღალ დონეზე დაყენებას მოწმობდა  
ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის რიგების ზრდა მოწინავე მუშა-  
ბით, რომელთაც სისხლხორცეულად აინტერესებდათ ლენინური პარ-  
ტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გამარჯვება და საბჭოთა  
ხელისუფლების შემდგომი განმტკიცება.

პარტიაში ლენინური გაწვევის შედეგად მასობრივად ხდებოდა  
მოწინავე მუშათა მიღება საკ. კპ (ბ) წევრობის კანდიდატებად და  
წევრებად. პარტიის რიგებში იღებდნენ შერჩევით წარმოების მოწი-  
ნავეებას და აქტივისტებს. იყო შემთხვევა, როცა წევრად ან კანდიდა-  
ტად ერთდღროულად მიიღეს 20—25 მუშაკი, იყო ისეთი შემთხვევე-  
ბიც, როცა მათ განცხადებებზე უარს ეუბნებოდნენ, როგორც დეზორ-  
განიზარორებს საწარმოო დავალებების შეუსრულებლობის, ან შრო-  
მის დისციპლინის დარღვევისათვის.

ფაბრიკის პარტიული ბიუროსა და მთელი შრომითი კოლექტი-  
ვის ყურადღების ცენტრში იყო საბავშვო ბალისა და სხვა ორგანიზა-  
ციების მუშაობის საკითხები, ფაბრიკის ადმინისტრაციამ მიიღო ბი-  
ნათმშენებლობის საკითხის მოსავარებრლად ფეიქართა საკავშირო  
პროფკავშირის მიერ გამოყოფილი სახსრები—40 ათასი მანეთი. პარ-  
ტიის მახარაძის რაიკომის წინაშე აღიძრა საკითხი ფეიქარ მუშათა  
ბინების გარშემო ტერიტორიის გასაფართოებლად. მიზანშეწონილად  
იქნა მიჩნეული აგრეთვე ფაბრიკის შენობისათვის მეორე სართულის  
დაშენება, სადაც მოთავსებული იქნებოდა სასადილო, პარტიული და  
კომკავშირული ბიუროები, სამკითხველო და სხვ.

გაძლიერდა ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანე-  
ლობა კომკავშირული ორგანიზაციისაღმი. დიდი ოქტომბრის სოცია-  
ლისტური რევოლუციის დღესასწაულთან დაკავშირებით მოეწყო  
კომკავშირული შპათობა, რომელმაც ხელი შეუწყო საბჭოთა სკოლე-  
ბის განმტკიცებას. ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის ბიურო  
პერიოდულად იხილავდა სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვ-  
რელობის საკითხებს, რომ არც ერთი კომკავშირელი არ დარჩენი-  
ლიყო დამკვრელობის გარეშე. ფაბრიკის პარტიული ბიურო იხილავ-  
და კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობის ანგარიშებს და სახავდა  
პრაქტიკულ ღონისძიებებს მუშაობის უკეთ წარმართვისათვის

2. ზ. ხინთიბიძე

საკუთრებული ყურადღება ექცეოდა პოლიტსკოლებში ახალგაზრდების ჩაბმის საკითხს<sup>1</sup>.

იყო დრო, როდესაც ფაბრიკის კორპუსების ირგვლივ ცოლები მოუწესრიგებელი იყო. ფაბრიკის ეზოში, კვლავ დიდი ჭაობი იღა: საჭირო იყო მისი ამოშრობა. ამაში დიდი წვლილი შეიტანეს კომქავ-შირელებმა. მათ გააშენეს ბალი, დარგეს ნაძვები, ფაბრიკის ირგვლივ გაჩნდა მწვანე ზოლი. გამწვანების ოსტატი იყო იულონ ვადაჭიორია. ფაბრიკის ბალიც მისი დაკოურილი ხელებით გაშენდა.

გზა, რომელიც დიდი ქართველი პოეტის დაცით გურამიშვილის სახელს ატარებს, გაკეთებულია ფაბრიკის კოლექტივის, უწინარეს ყოვლისა, ახალგაზრდა მუშების თავდადებული შრომით. სამ თვეს მუშაობდა მის გაკეთება-გამწვანებაზე ფაბრიკის მოწინავე მუშა ახალგაზრდობა.

ყურადღების ცენტრში იდგა მუშების მიერ წამოყენებული წინა-დადების საკითხები. საქმე იმაში იყო, რომ 1930 წლის ნოემბრისათვის საწარმოო-საფინანსო ვეგმა ფაბრიკამ გადაჭირებით შეასრულა, მაგრამ საგრეხ სამქროში გაეგმა ვერ შესრულდა. ამის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი იყო მანქანების ორასაკმაო რაოდენობა. მუშებმა წამოყენეს წინადადება ოთხი ახალი მანქანის დაღვენის შესახებ, რითაც ანაზღაურებული იქნებოდა წარსული ოვეების დანაკლისი. საჭირო იყო აგრეთვე შეძენილი საორთქლე ქვაბის დროულად დაღვენის მაფის მოლების ტექნიკის შემსწავლელ წრეზე თანხის გადიდება. შედგა შესაბამისი ხარჯთაღრიცხვა, ფაბრიკის აღმინისტრაციამ იკისრა ამ ღონისძიებათა განხორციელება.

აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიული ბიუროს ინიციატივით 1930 წლის დეკემბერი დამკვრელურ თვედ გამოცხადდა. რაციონალიზატორთა წინადადებების პრაქტიკულად დახერგვის საქმეში გარევეული ნაბიჯები გადაიდგა. შეინიშნებოდა ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი წინადადება წარმოებაში არ ინერგებოდა, ან ფაბრიკის დირექციის მითითებით იცვლებოდა, რაც მუშათა უკმაყოფილებას იწვევდა. მაგალითად, წინადადებანი 150 ც/დალიანი ღიზელის შეძენის, ამოსაღებსა და სახარისხებელში ვენტილაციის მოწყობის, სამანქანოში სახელოსნოს გახსნის, სახანძრო რაზმისათვის ბინის აგების, პარკის დამხარისხებელი მანქანის შეძენისა და სხვათა შესახებ.

<sup>1</sup> მლისცა, ფ. 8240, საქ. 15. ფურ. 4.

ამ საკითხებზე იმსჯელა პარტბიურომ, სადაც გამომგონებელთა ხელ-  
შემწყობ კომისიასა და რაციონალიზატორთა ბიუროს მუშაობაზე უფლება  
ინფორმაცია გააკეთა გ. ქურიძემ. ჩატარებული მუშაობა, მარტლაპიროვანი  
დამტკიცილებლად შეფასდა, მაგრამ დაისახა სათანადო ღონისძი-  
ებანი მისი უკეთ წარმართვისათვის, ეს პირველ რიგში იმით გამოი-  
ხატა, რომ მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა მუშების მიერ წა-  
მოყენებული წინადაღებების დროულად შესწავლას და დაუგვიანე-  
ბლივ გაგზავნას ცენტრში, საქმიანი რაციონალური წინადაღები-  
სათვის მუშების დაგილდოებას!

ყურადღება იყო გამახვილებული მშრომელთა ინტერნაციონა-  
ლურ და რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდისათვის. ამიერკავკასიი-  
ს კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაიგზავნა ივანე უჯ-  
მაჯურიძე. პირველ საკავშირო დამკარელ დღესთან დაკავშირებით სა-  
უკეთესო მუშები დააჯილდოეს ფასიანი საჩუქრებით, ხოლო დამკა-  
რელ მუშათა ერთი ჯგუფი გაიგზავნა ამიერკავკასიის დამკარელ ფეი-  
ქართა კონფერენციაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა 1931 წელს.

დიდი მუშაობა ჩატარდა ქალთა საერთაშორისო ღლის 8 მარტის  
აღსანიშნავად, შეიქმნა კომისია, რომლის სამუშაო გეგმის შესაბამი-  
სად ჩატარდა კრებები, წაკითხულ იქნა მოხსენებები, გამოვიდა კედ-  
ლის გაზეთის სპეციალური ნომერი. ქალთა ღლისა და საბჭოების არ-  
ჩევნების აღსანიშნავად საზემოდ გაიხსნა ბავშვთა ბალი. გადაწყდა  
მუშათა ბინებში ბავშვიანი ქალების მოთავსების, კინოდანდგარების  
შესაძენად ერთი თვის ხელფასის გაღების, უქმე დღეებში გამომუშა-  
ვებული ხელფასის ნაწილის პიონერთა სამაზრო ბიუროსათვის გადა-  
ცემისა და 1905 წლის რევოლუციის 25 წლისთავის იუბილესათვის  
შზადების საკითხები<sup>2</sup>.

ფაბრიკის მუშები არ უშინდებოდნენ სიძნელეებს 1930—1932  
წლებში ჩვენი ქვეყანა განიცდიდა სოფლის მეურნეობის პროდუქ-  
ტების, მათ შორის პურის ნაკლებობას, მაგრამ მუშებს არ გამოუთ-  
ქვამთ უქმაყოფილება. ისინი მუშური შეგნებულობით იტანდნენ ამ  
სიძნელეებს. ფაბრიკის არ ჰქონდა მუშათა საცხოვრებელი ბინები. მუ-  
შათა ძირითადი ნაწილი იყო ლიხაურის, მაკვანეთის, ექადიის, ბოხ-  
ვაურისა და სხვა მახლობელი სოფლების მცვიდრი. ისინი მოდიოდნენ

<sup>1</sup> მღისფერა, ფ. 8240, საქ. 11, ფურც. 12—13, 19—24.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, საქ. 12; ფურც. 2; საქ. 15, ფურც. 3.

ფაბრიკაში ყოველგვარ ამინდში, ტრანსპორტის გარეშე. მეშაობა იყო ცვლების მიხედვით. მუშაობა იწყებოდა დიღის 5 საათზე და მთავრდებოდა ლამის 11 საათზე.

ფაბრიკას გარევეულ დახმარებას უწევდნენ უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა წარმომადგენლები უშუალოდ მონაწილეობდნენ საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში. მაგალითად, 1931 წელს ფაბრიკაში სამუშაოდ გაგზავნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეა სტუდენტი—დღეს კარგად ცნობილი სპეციალისტები ფილოლოგიურ მეცნიერებათა ღოქტორი პროფესორი ან. ტონ ხინთიძიე, მასწავლებლები: თამარ მაზმანაშვილი, ანეტა აფხაზავა, ელენე რობაქიძე, ნიკოლოზ დარახველიძე, თომა ღოლიძე, სოფიო მერაბიშვილი და ეკატერინე ბენაშვილი.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივი აქცევდა რა განსაკუთრებულ ყურადღებას ახალი ტექნიკის დანერგვას, ტექნიკის დაუფლებას, გამომუშავების ნორმების შესრულებას და წარმოების რაციონალიზაციას, ცდილობდა შემხვედრი გეგმების გადაჭარბებით შესრულების საფუძველზე წარმატებით შეესრულებინა ხუთწლიანი გეგმები. ამასთან დაკავშირებით პარტიული ბიუროს სხდომაზე საწარმოო-საფინანსო გეგმის მიმდინარეობის საკითხის განხილვისას ფაბრიკის დირექტორი ტექნიკურ ნაწილში დიმიტრი ღოლიძე აღნიშნავდა, რომ საწარმოის ზოგიერთ უბანზე გეგმა ვერ შესრულდა, დირექციისა და ტექნიკური პერსონალის დაუდევრობის, ქარხნის საჭირო დეტალებით მოუმარავებლობის გამო, მაგალითად, უმოქმედოდ იყო ოთხი ახალი გადასახვევი დაზღა; ძაფსალებ სამექროში მუშაობა ორი აუზის მართვიდან ოთხის მართვაზე გადაიყვანეს წინასწარი ცდებისა და დაკვირვებების გარეშე. სათანადო ყურადღება დაეთმო იგრძელებულ მუშათა მასების ამოქმედებასა და მათ წარმოებაზე მიმაგრებას!

ფაბრიკის მუშებით ნაკლებობა საწარმოო გეგმის შესრულებას საფრთხეს უქმნიდა, ამიტომ ხშირად იქმნებოდა ბრძოლა შვეგულებაში წასული და დაუბრუნებელი მუშების მოსაყვანად. ამ საქმეში საჭირო ხდებოდა რაიონული კომიტეტის ჩარევა, რათა მას სათანადო განკარგულება გაეცა კოლმეურნეობებზე ფაბრიკის მუშა-ხელით უზრუნველყოფისათვის. ზოგჯერ ეს საკითხი პარტიის რაიკომის შუა-

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 9, ფურც. 27—31.

მდგომლობით საქართველოს სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტშიც აღძრულა ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონებიდან მუშახელის მოსაყავანად. მაგალითად, ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციას 1933 წლის 2 ივნისის კრების დადგენილებაში ნათქვამია, რომ კოლხეურნეობებიდან 120 კაცისა და ჩოხატაურისა და ლანჩხუთის რაიონებიდან 150 კაცის შერჩევასთან დაკავშირებით ფაბრიკის დირექტორ მცენაძეს დაევალა ზომები მიეღო ახალმოყვანილი მუშების ბინებით უზრუნველყოფისათვის!

საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების საკითხი ყოველთვის იყო ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციისა და შრომითი კოლექტივის ყურადღების ცენტრში, ამიტომ ხშირად ახდენდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოქმებას. ამის შედეგად გადაჭრებით შესრულდა 1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმის ძირითადი მონაცემები, დამაკაციულებელი იყო ხარისხობრივი მაჩვენებლებიც. ეს წარმატება მიღწეულ იქნა კულტურულ-მასობრივი მუშაობის ფართოდ გაშლის, მუშათა შემოქმედებითი ინიციატივის გაფართოების, ადგილობრივი რესურსების მობილიზაციისა და მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების სისტემატური გაუმჯობესების შედეგად, ამავე დროს ყურადღება გამახვილდა ნაკლოვანებებზეც, კერძოდ იმაზე, რომ ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მობილიზებული ზოგიერთი მუშაის სამუშაოზე გამოუცხადებლობას, ძირეული პარტიული ჯუფების არაოპერატიულ ხელმძღვანელობას ცალკეულ ბრიგადებზე. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლის პირობებში ფაბრიკის კოლექტივმა აიღო ვალდებულება პირველი ხუთწლედის ვადამდეოთ წელიწადში შესრულების შესახებ, რაც მიღწეულ იქნა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა თავდადებული და მუყაითი შრომით.

ფაბრიკამ პირველ ხუთწლედში გამოუშვა 12,976 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია (1955 წლის პირველი იანვრის ფასებით), მათ შორის ხამი აბრეშუმის ძაფი იყო 200,7, ტონა, ნაგრეხი—85,5 ტონა, სასაქონლო ხამი აბრეშუმის ძაფი—114,2 ტონა<sup>2</sup>.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულების შემდეგ შედგა მეორე ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაში სათანადო

<sup>1</sup> მლისფპა, ფ. 8240, საქ. 12, ფურც. 10.

<sup>2</sup> იბ. მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის საერთო მაჩვენებლები ომამდელ ხუთწლედებში.

ჭვლი ეკუთვნით მუშა-რაციონალიზატორებს, ისინი ახალ წინაშადება დებებს აყენებდნენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მაგრამ რაციონალიზატორებით წინადაღების დანერგვას ზოგჯერ ხელს უშლიდა საკითხოს გაუსამუშავება, რაც იწვევდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დაუმთავრებლიბას. ამ მაგალითის საილუსტრაციოდ საქმარისია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტები: 1933 წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკის აბრეშუმის ტრესტს დასახული გეგმით მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში უნდა დაენერგა 210 რაციონალური წინადაღება, რომელიც მოგვცემდა 100 ათასი მანეთის ეკონომიას. შეტანილ იქნა 57 საქმიანი წინადაღება, რომელმაც ფაბრიკას მისცა 97 ათასი მანეთის წლიური ეკონომია. ეს ეკონომია მიღებულ იქნა მხოლოდ 47 წინადაღების დანერგვის ხარჯზე. მაგრამ ამ მიღწევებთან ერთად შეინიშნებოდა ნაკლოვანებებიც: სათანადო ყურადღება არ ექცეოდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების დროულად დამთავრებას, ადგილი ჰქონდა რაციონალიზატორული ბიუროს დადგენილებათა გაჭიანურებას დირექციის მიერ. მაგალითად, მუშების მ. დარჩიასა და გ. ქურიძის წინადაღება 6 თვის განმავლობაში გააჭიანურა ადმინისტრაციამ, რამაც გამოიწვია ავტორების კანონიერი უკამაყოფილება. ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მიღებული დადგენილებების შეცვლას, რაც ზარალს იძლეოდა. ამიტომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა მუშა-რაციონალიზატორთა წინადაღებების დანერგვის საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხერისათვის ბრძოლა, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება.

1933 წლის სექტემბერში მახარაძის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ თავი გამოაცხადა დამკერელად და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ქუთაისის, ხონის, სამტრედიისა და თელავის აბრეშუმის ფაბრიკები! ამის შედეგად წარმატებით შესრულდა 1934 წლის იანვრისა და მომდევნო თვეების საწარმოო გეგმები, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. პარტო იანვრის თვეში ფაბრიკებმ გამოიმუშავა 4,2 ათასი კვ საერთო პროდუქცია.

ამ წარმატებებზე იმსჯელეს ფაბრიკის ადმინისტრაციისა და პარტიული ორგანიზაციის ბიუროს სხდომებზე. პარტიის მახარაძის რაიკომის მდივანმა მამია კილაძემ აღნიშნა, რომ პარტიულმა ორგანიზაციამ და ფაბრიკის სამკუთხედმა გაღაჭარბებით შეასრულეს დაკისრე-

1 მლისფა, ფ. 8240, საქ. 12, ფურც. 22—24.

ბული ამოცანები, გამარჯვების პატაკით წარსდგნენ საქ. კპ (ბ) XVII ყრილობის წინაშე და შეძლეს იმ ვალდებულებათა განაღდებაც, რომელიც ფაბრიკამ აიღო მესამე რაიონული პარტიული კონფერენციის უზენაული სათვის<sup>1</sup>. XVII პარტყრილობის საპატიო წითელ დაფაზე საქ. კპ ტერიტორია მახარაძის რაიონის წარდგენით გამოქვეყნებული იყო აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის შრომითი კოლექტივის უმთავრესი მიღწევები.

ფაბრიკის მუშებმა ვალდებულება იკისრეს იანგრის გეგმა შეესრულებინათ XVII პარტიული ყრილობის გახსნის დღისათვის — 25 იანვრისათვის. ვალდებულებებს ხელს აწერდნენ ფაბრიკის დირექტორი ვ. მეგრელიშვილი, პარტიული ბიუროს მდივანი %. ბერიძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე გ. მიქაბერიძე, ტექნოლოგები ო. დოლიძე, და ს. სარიშვილი, დამკვრელი მუშები სოფიო ჭიქია, მაშოთოთიბაძე, გალინა კალანდაძე, სოფიო იმაიშვილი, უენია ორაგველიძე, ლუბა დოლიძე, მარიამ გირელიძე, სოფიო კალანდაძე, შუშანა ღლონტი, ქეთევან სარჯველიძე და სხვ.

ფაბრიკის მუშაობას სისტემატურად ეცნობოდნენ ხელმძღვანელი ბარტიული საბჭოთა მუშაკები. 1934 წლის აპრილში ფაბრიკის წარმატებებს გაეცნო სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი გ. ლუარსაბოვი. მან შეამოწმა გეგმების შესრულების შედეგები და ინფორმაციით წარსდგა საწარმოს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, რომელსაც აგრეთვე ესწრებოდნენ პარტიის მახარაძის რაიონის მდივანი ე. წიქარიძე და მდივნის მოადგილე შ. ჭანუკვაძე. კრებაზე წარმატებებთან ერთად აღინიშნა ნაკლოვანებანი, დასახულ იქნა მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზები.

ფაბრიკის პარტიულმა კრებამ აღძრა შუამდგომლობა საქართველოს კომპარტიის კომიტეტის წინაშე, რათა დახმარებოდა ფაბრიკისათვის სხვადასხვა რაიონებიდან ჭარბი მუშახელის შეგროვებაში<sup>2</sup>.

დიდი ყურადღება ექცევოდა მუშათა კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალი კადრების მომზადებას. მშენებელი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ტექნიკური პროპაგანდის წრეები, რომელთა მუშაობას პერიოდულად იხილავდა ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრება.

<sup>1</sup> მლისფპა, ფ. 8240, საქ. 16, ფურც. 16—17.

<sup>2</sup> აქვე. საქ. 16, ფურც. 16—17.

საფაბრიკო კომიტეტშია მოაწყო ტექნიკური ბიბლიოთეკა, ხელი შეუწყო საჭირო ლიტერატურის ფონდის შექმნას!

საკ. კპ (ბ) XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მასარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის პარტიულ თრუნიზაციაში განხორციელდა სტრუქტურული ცელილებანი: აღრინდელი ეგრეთ წოდებული პარტიულოს კოლექტივის ნაცვლად შეიქმნა პარტიული კომიტეტი, წევრებად აირჩიეს საწარმოს მოწინავე მუშები. 1934 წლისათვის ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში უკვე ითვლებოდა 153 წევრი და კანდიდატი. ნაცვლად პარტიული უჯრედებისა ფაბრიკაში შეიქმნა პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივნები, ბრიგადებში ჩამოყალიბდა პარტიული ჯგუფები. გადანაწილდა პარტიული ძალები, პარტიულ მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ ფაბრიკის მოწინავე მუშები, ამაღლდა პერსონალური პასუხისმგებლობა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისადმი.

გამოცოცხლდა ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. 1934 წელს შეიქმნა ხუთი კომკავშირული პოლიტსკოლა, რომელშიც გაერთიანდა 180 მსმენელი. სოციალისტურ შეჯიბრში ჩაბმული 80 კომკავშირელიდან დამკვრელი იყო 40, ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია შეჯიბრებაში იყო ჩაბმული ქუთაისის ძაფსალები ფაბრიკის კომკავშირლებთან. კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის სხდომებზე ხშირად ისმენდნენ სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს, კომკავშირელთა თვითანგარიშებს საწარმოო გეგმების შესრულების შესახებ<sup>2</sup>.

საკ. კპ(ბ) XVII ყრილობის შემდეგ ფაბრიკაში გარდატეხა მოხდა. ამიერიდან თათბირებს იწვევდნენ საამქროებისა და ბრიგადების მიხედვით. თათბირები გახდა სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ბერკეტები. ამ დროისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო ფაბრიკის 420 მოწინავე მუშა, დამკვრელთა რაოდენობა აღწევდა 143 კაცს. სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იქნა 12 ბრიგადა. გაძლიერდა მუშაობა სოციალისტური შეჯიბრების გარეშე მყოფ მუშებს შორის, რის გამოც კიდევ უფრო ამაღლდა შრომისნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

<sup>1</sup> მლისფა, საქ. 12, ფურც. 53—55.

<sup>2</sup> იქვე, ფ. 8240, საქ. 13, ფურც. 28—80.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია და საფამიტო კოშიტეტი  
დაიდი მზრუნველობით ეკიდებოდა მუშა-მოსამსახურეთა შრომითი  
აქტივობის ამაღლებისა და ხუთწლიანი გეგმების გადაჭარბებით შესავალი  
რულებისათვის ბრძოლის მიმღინარეობის საკითხებს. ხელს უწოდეს როგორი  
დნენ საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას. სამრეწველო პროდუ-  
ქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

ფაბრიკის პროფესიული ორგანიზაცია აუმჯობესებდა მშრო-  
მელთა საყოფაცხოვრებო პირობებს. იცავდა მათ ინტერესების. პროფ-  
ორგანიზაციის მუშაობის წარმატების საფუნქველი იყო მის საქმიანო-  
ბაში მოსამსახურეთა მასების ცხოველი მონაწილეობა, კრიტიკისა და  
თვითკრიტიკის — საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალის—  
ფართოდ გაშლა, საბოლოო ანგარიშში პირველი ხუთწლედის ვადა-  
მდე და გადაჭარბებით შესრულება.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მუშებმა ფართოდ დაუჭირეს  
მხარი ცნობილი ფეიქარი ქალის ეთერ მაზანაშვილის გამოცდილე-  
ბას ორ დაზგაზე მუშაობის შესახებ. ეს თაოსნობა საქართველოს აბ-  
რეშუმსაქსოვ ფაბრიკაში იშვა და მალე მრავალდაზგოსანთა მოძრაო-  
ბად იქცა!

სტახანოვური მოძრაობა მახარაძის რაიონში აბრეშუმის ფაბრიკა-  
ში დაიწყო. ფაბრიკის პირველი სტახანოველი ქალები იყვნენ ს. ჯი-  
ქია<sup>2</sup>, ს. იმნაიშვილი, თ. ხუხუნაიშვილი, ნ. ანთაძე, ფ. სოკორსკაია,  
ც. ლლონტი და ლ. სირაძე, რომლებმაც ნოვატორული საქმიანობით  
საბჭოთა მუშის საპატიო სახელი დაიმკვიდრეს.

1937 წლის იანვრისათვის ფაბრიკაში ითვლებოდა 1145 სამრე-  
წველო პერსონალი, აქედან მუშა იყო 961, მათ შორის სტახანოვე-  
ლი—32. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ტარდებოდა  
სტახანოველთა თათბირები მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების  
გასაზიარებლად. 1938 წელს ფაბრიკის სტახანოველებმა მოიპოვეს

<sup>1</sup> „სტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოში“, თბ., 1975.

<sup>2</sup> ს. ლ. ჯიქია—საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დე-  
პუტატი. 1926—1958 წლებში ძაფის ამომხვევ მუშად მუშაობდა და აქტიურ  
მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მუშების დახელოვნებაში, ნერგავდა მუ-  
შაობის მოწინავე მეთოდებს. იგი იყო მრავალდაზგოსანთა მოძრაობის ერთ-  
ერთი ინიციატორი. დაჯილდოებულია საპატიო სიგლებით, სოციალისტური შე-  
ზიბრების მოწინავის სამკერდე ნიშნით, შეტანილია ფაბრიკის საპატიო წიგნში.

მაღალი მაჩვენებლები. განსაკუთრებით გამოიჩეოდნენ ს. კიქია და ს. იმნაიშვილი, რომელთაც დიდი გადაჭარბებით გაანადდეს საწარმოო დავალებები. პრილში პარტიულმა კრებამ იმსჯელა სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხებზე და სარატორი მრავალ საბჭოს შესაბამისად მშრომელთა ყურადღება გაამახვილა ამ მოძრაობის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობაზე.

ფაბრიკის სტაბანოველი მუშები პირველი გამოეხმაურნენ ცნობილი ოელაველი მებაბრეშუმის ო. აიგაზაშვილის მიმართვას საქართველოს ყველა მებაბრეშუმე ქალებისადმი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. ფაბრიკის მუშებმა წარმოებაში დანერგეს ო. აიგაზაშვილის მუშაობის მეთოდი, რომელიც აჩქრებდა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს და ამაღლებდა წარმოების ეფექტიანობას. 1941 წლის პპრილისათვის ფაბრიკაში იყო 189 სტაბანოველი. ორდაზომანთა რიცხვი 10-მდე გადიდდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა სამ დაწევაზე მომუშავე მუშების პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

ფაბრიკის მუშებს განსაკუთრებულ სტიმულს აძლევდა ის, რომ მათ მიერ დამზადებული პროდუქცია იგზავნებოდა საზღვარგარეთის სახელმწიფოებსა და ჩვენი ქვეყნის ბევრ რაიონში. მათ ახალისებდათ ისიც, რომ მშობლოურ საწარმოს სოციალისტურ შეჯიბრში გამოწვეული ჰყავდა რესპუბლიკის სხვა მონათესავე ფაბრიკები. ეს კიდევ უფრო აძლიერებდა საქმისადმი ინტერესს, პასუხისმგებლობის გრძნობას.

ფაბრიკის შრომითმა კოლექტივმა მეორე ხუთწლედში დიდი მუშაობა ჩაატარა. დღის წესრიგში კვლავ იდგა მუშახელით ფაბრიკის უზრუნველყოფის საკითხი. ფაბრიკის აღმინისტრაციამ ამ მიმართულებით თუმცა დროულად მიიღო სათანადო ზომები, მაგრამ საწარმოო გეგმის შესრულებაში 1937 წლის პირველ-მესამე კვარტალში ადგილი ჰქონდა ჩამორჩენას, რომლის გამოსწორებაც მეოთხე კვარტალში, მიუხედავად მთელი ძალების ორგანიზებისა, არ მოხერხდა!. 1937 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა შესრულდა 98,9 პროცენტით ძაფსაღებში, ხოლო 93,8 პროცენტით — ძაფსაგრეხში. სულ მეორე ხუთწლედში საერთო პროდუქცია შეადგენდა 1499 მანეთს, ნატურალური პროდუქციიდან ხაში აბრეშუმის ძაფი — 230,9 ტონას,

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 32, ფურც. 2—9.



ნატურალური აბრეშუმის ძაფი — 142,6 ტონას, სასაქოხლო ხაზი აბრეშუმის ძაფი — 88,3 ტონას. პირველხარისხით ხამი აბრეშუმის ხედითი წონა შეადგენდა 7,66 პროცენტს.

მესამე ხუთწლედში ფაბრიკის წინაშე ისევ მკვეთრად იდგა მუშაობის შახელით უზრუნველყოფის საკითხი, ფაბრიკაში ნაკლები რაოდენობით ხდებოდა მუშახელის მიღება, სამუშაოდან განთავისუფლების შემთხვევები კი უფრო ხშირი იყო. მაგალითად, 1940 წლის იანვარში ძაფსაღებ სამქროში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 710 მუშისა, ფაქტიურად მუშაობდა 542. ამიტომ ფაბრიკამ იანვრის გეგმე შემოლოდ 80,2 პროცენტით შეასრულა. ასეთ ვითარებას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სხვა სამქროებშიც, რომლის გამოსასწორებლად ფაბრიკის პარტიულმა, პროფესიონულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის დარსების დღიდან საწარმოს მომარაგებას ხელმძღვანელობდა (რაიბო) საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ქრისტეფორე ვასაძე, ფაბრიკის მუშაობათა მომარაგების განკოფილების (ორსი) ხელმძღვანელი მუშაკები ი. ცისკარიძე, ფ. კონტრიძე, შ. შარაშიძე, გ. კილაძე, ვ. ცერცეაძე, შ. ჩხარტიშვილი, გ. ებრალიძე, გ. ჭანიშვილი, ბ. ბედინებიშვილი, ლ. დარჩია და სხვები ენერგიას არ იშურებდნენ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შეუფერხებელი მომარაგებისათვის.

ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია თავის მხრივ ყურადღებას ამახვილებდნენ მუშათა სასადილოს მუშაობის გაუმჯობესების საკითხებზე. მოსაგვარებელი იყო აგრეთვე მუშების ბინებით უზრუნველყოფის საქმე. ორი საერთო საცხოვრებელი ბინავერ აქმაყოფილებდა ფაბრიკის მუშათა მოთხოვნილებას.

1938 წლის 17 ავგვისტოს პარტიული ორგანიზაციის კრებაზე აღინიშნა, რომ სათანადო სიმაღლეზე არ იდგა პარტიაში ახალ წევრთა მიღების საკითხი, ნაკლები ყურადღება ექცეოდა მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მოუწესრიგებელი იყო მუშათა კვების საქმე. მიუხედავათ 1933 წლის დადგენილებისა, ჭერ კიდევ არ იყო გადმოცემული დირექციის განკარგულებაში მუშათა დახურული კონკრეტულივით.

ფაბრიკის მუშათა კოლექტივი შეუნელებელი ყურადღებით ეკიდებოდა ხუთწლედების სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერას, რითაც

სათანადო წელილი შეპქონდა ხუთწლედის დაგალებათა შესრულება—ში. გაიშალა მესამე ხუთწლედის სახელიბის სოციალისტური შეჯიბრება, მიღებულ იქნა გაღაწყვეტილება ხუთწლედის მასშტაბით სესხის აბლიგაციების რეალიზაციის შესახებ. მა უკიდისად უკეთა ფაქტა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მთელი შემაღენლობა, მოხდა სესხზე მასობრივი ხელმოწერა! ფაბრიკის კოლექტივი შეუნელებლად იბრძოდა საკ. კპ(ბ) XVIII ყრილობისა და კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გატარებისათვის.

### მაჩარაძის აპრეზიტის ქაფსაღებ-საგრეჩი ფაბრიკა დიზი სამამულო ოში პერიოდზე (1941—1945 წლ.)

საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა დროებით შეწყვიტა ფაშისტური გერმანიის მუსანათურმა თავდასხმამ 1941 წლის 22 ივნისს. დაიწყო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი. სოციალისტური სამშობლოს დაცვა, ფაშიზმის განადგურება საბჭოთა ხალხისაგან მთელი ძალების მობილიზაციას მოითხოვდა.

მტერზე გამარჯვებას ჰედდნენ ზურგის მშრომელებიც. სამამულო ომის უმძიმეს წლებში მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივი ენერგიულად და თავდადებულად მუშაობდა. ფაბრიკის დირექტორი, პატიული, პროფესიონალული და კომპაგნირული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ პირნათლად და მაღალხარისხოვნად შეესრულებინათ ფრონტისათვის საჭირო დაკვეთები.

ომის სიძნელეებშა, ცხადია, ფაბრიკის ყოველდღიურ ცხოვრებაზეც იქონია გავლენა. მკვეთრად გაუარესდა მუშაობა სურსათით მომარაგება, შემოიღეს საბარათო სისტემა, ორცვლიანი სამუშაოდან მუშები გადაიყვანეს ერთ ცვლაზე. ისინი ნაცვლად 8 საათისა, 16 საათს მუშაობდნენ. სამუშაო დროის ხანგრძლივობის გადიდება, უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ მუშა-მამაკაცების უმრავლესობა ფრონტზე იბრძოდა, დაზებთან ძირითადად ქალები და მოზარდები დარჩენენ, გეგმა კი კვლავინდებური იყო, რომელიც ხარისხოვნად და გადაჭარებით უნდა შესრულებულიყო.

აი, რას იგონებს სამქროს მექანიკოსი სერგო გობრონიძე: „1939

<sup>1</sup> მლისფპა, ფ. 8240, საქ. 34, ფურც. 14—18.

წელს, როცა მეშვიდე კლასში ესწავლობდი. მუშაობა დავიწყე ფაბრიკაში ზეინკლის მოწაფედ, ზეინკალი იყო შოთა მგელაძე (ამავე დროს ესწავლობდი მუშფაში). ომის დაწყებისთანავე შ. მგელაძე გაიწვიეს ჯარში მოწინავე ხაზზე. მე ზეინკლად მუშაობის დაწყება მომიხდა. 1942 წელს მეც ჯარში გამიწვიეს, დაბრუნდი 1947 წელს. ომის დროს ფაბრიკიდან ბევრი მოხალისედ მიღიოდა ფრონტზე, მათ შორის იყო ძაფსაღები სამქროს № 3 ბრიგადის ბრიგადირი კომუნისტი ვალერიან სირაძე, რომელმაც თავი შესწირა სამშობლოს დაცას. ფრონტზე წასულთა ნაცვლად ფაბრიკაში მუშაობდნენ ქალები და მოხარები“.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში, ისე როგორც რესპუბლიკის სხვა საწარმო-დაწესებულებებში, აგროვებდნენ საჩუქრებს ფრონტისათვის დასახმარებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდნენ კომკავშირელები და ახალგაზრდები. აბრეშუმის ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაცია პარტიისა და მთავრობის მითითებათა შესაბამისად მუშაობის ყველა მხარეს უქვემდებარებდა ომის საჭიროებებს, მტერზე გამარჯვების მოპოვებას. ახალგაზრდები არასამუშაო სამოწმო მუშაობდნენ საკოლეგიურნეო მინდვრებსა და ჩაის პლანტაციებში. თეატრები მარცვლეულსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურას, კრეფიდნენ სეულ ტონობით „მწვანე ოქროს“, როთაც მნიშვნელოვანი წვლილი შექმნდათ სატანკო კოლონისა და საპარტო ესკადრილის შექმნის საქმეში.

აბრეშუმის ფაბრიკას წლების მანძილზე ჰქონდა დამხმარე მეურნეობა. აქ დასვენებისა და არასამუშაო დღეებში მუშები ისუფთავებდნენ ნაკვეთებს, მოპყავდათ ძირითადად სიმინდი და ლობიო. მოსავალს უნაწილებდნენ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებს, უფრო მეტად, ომში წასულთა და მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს.

1936 წელს სამოქალაქო ომის გამო ესპანეთიდან ევაკუირებული ბავშვები ლენინგრადში იყვნენ. ლენინგრადის ბლოკადის დღეებში კი ისინი ღრმა ზურგში გადმოიყვანეს. ასი ესპანელი ბავშვი მოხვდა მახარაძის. ისინი ძირითადად ფაბრიკაში მუშაობდნენ, ეულებოდნენ ძაფის ამოხვევისა და გაინძვის ხელოვნებას.

ფაბრიკის კოლექტივი დიდ დახმარებას უწევდა ევაკუირებულებს, რომელიც დიდი რაოდენობით მოვიდნენ გერმანელი ფაშისტების

შიერ საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსისა და ჩვენი ქვეყნის  
სხვა დროებით ევაკუირებულ რაიონებიდან. ფაბრიკებს მოუწოდია  
სათანადო ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდა მათთვის მატერიალის  
საყოფაცხოვრებო პირობების მოწესრიგებისათვის. ამ დროს მახარა-  
ძის აბრეშუმის ფაბრიკას თავის განკარგულებაში ჰქონდა ორი  
ოთხსართულიანი და ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი სახლი  
სტალინის ქუჩაზე და სამიც — გურამიშვილის ქუჩაზე.

მაგრამ ეს საქმარისი არ იყო ევაკუირებულ მუშათა დასაცმაყო-  
ფილებლად. ფაბრიკის დირექტორმა შ. ვასაძემ, რომელიც ნიჭიერი  
და კარგი სამეურნეო მუშაკი იყო, წარმატებით გაართვა თავი სამა-  
მულო ომის პერიოდში შექმნილ რთულ ვითარებას. მნიშვნელოვანი  
წვლილი შეიტანა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი  
პირობების გაუმჯობესებაში.

ომის პირობებში მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის, ისე როგორც  
რესპუბლიკის ყველა სხვა საწარმოს, მთელი მუშაობა ფრთხოის ინ-  
ტერესებისაღმი იყო დაჭვემდებარებული. ფაბრიკის მუშა-მოსამსა-  
ხურებმა თავდაცვის სახელმწიფო ფონდში შეიტანეს 35 ათასი მა-  
ნეთის ობლიგაცია, იმავე ფონდის განსამტკიცებლად გადარიცხეს  
ათასობით მანეთი. წითელარმიელთათვის შეგროვდა თბილი ტანსაც-  
მელები და ამანათები, ომში წასულთა ოჯახებს ეწეოდა დახმარება.  
ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით მუშა-მოსამსახუ-  
რებმა მოწოდებით მიმართეს რაიონის მშრომელებს ტანკმშენებ-  
ლობის ფონდის შექმნის შესახებ. საწარმოს კოლექტივის გადაწყვე-  
ტილებით ომის დამთავრებამდე თითო დღის ხელფასი თავდაცვის  
ფონდში გადაიტაცხებოდა.

1942 წლის 30 მარტს საქართველოს კპ(ბ) მახარაძის რაიკომის  
ბიურომ განიხილა საკითხი სახელმწიფო სესხის გავრცელების  
ორგანიზაციის შესახებ. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციის  
საწარმოს თანამშრომლებს გააცნო ამ ღონისძიების სამხედრო და  
პოლიტიკური მნიშვნელობა, რის შედეგადაც მასში ჩაება ფაბრიკის  
ყველა მუშა-მოსამსახურე.

აბრეშუმის ფაბრიკის დირექციამ, პარტიულმა და კომკავშირულ-  
მა ორგანიზაციებმა საქართველოს კპ(ბ) მახარაძის რაიკომის 1942  
წლის 12 მარტის დადგენილების შესაბამისად დიდი მუშაობა გას-  
წიეს 1923—1924 წლებში დაბადებულთა მოსამზადებლად წითელ-  
არმიაში გასაწვევად. პარტიული ბიუროს მდივან თ. მუავიასა და ექიმ

6. ქინქლაძეს დაევალათ კონტროლი არმიაში გასაწვევთა მომზადებასა და ჯანმრთელობაზე.

საქართველოს კპ(გ) მახარაძის რაიკომის პლენუმის 1941 წლის 20 სექტემბრის დადგენილება—პარტიის რიგებში ახალი წევრების მიღების შესახებ—გახდა ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის სამიკმედო პროგრამა. ომის პერიოდში პარტიის რიგების ზრდა და ახალწევრებთან მუშაობა უმთავრესად მიმდინარეობდა ფაბრიკის მოწინავე მუშების ხარჯზე. პარტიაში შესვლის შესახებ განცხადებები შემოჰკონდათ მოწინავე მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დაკისრებულ ვალდებულებას გადაჭრობებით ასრულებდნენ და ამით თავიანთი წვლილი შეჰკონდათ მტერზე გამარჯვების საქმეში.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა პარტიაში შემსვლელთა იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონეს და მისი ამაღლებისათვის ბრძოლის ღონისძიებებს, პარტიული განათლების ქსელში მუშაობას, პროპაგანდისტთა საქმიანობას.

კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება და მათი ავანგარდული როლის განმტკიცება სამამულო ომის დროს მტერზე გამარჯვების ჩრდების აღზრდის ერთ-ერთი პირობა იყო. ასევე ყურადღების ცენტრში იდგა თვალსაჩინო აგიტაცია და საგაზეოო ვიტრინების მოწყობა, წითელი არმიის მიერ გერმანელ ფაშისტებისაგან განთავისუფლებული რაიონების პარტიული კაბინეტებისათვის ლიტერატურის შეგროვება, ესკადრილია „საბჭოთა საქართველოს“ მშენებლობის ფონდში მშრომელთა დანაზოვების შეტანა, რომელმაც დიდი გამოხმაურება პოვა ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა შორის. ისინი ნათლად გრძნობდნენ იმ მნიშვნელობას, რომელიც ჰქონდა სატანკო და საავიაციო მშენებლობისათვის სახსრების შეგროვებას ვერაგ მტერზე წითელი არმიისა და სამხედრო-საზოგაო ფლოტის გამარჯვების საქმეში. აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა ესკადრილიის მშენებლობის ფონდში გადარიცხა 15 დღის ხელფასი.

ფაბრიკის კოლექტივის ყურადღების ცენტრში იყო აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება საპარტო თავდაცვისათვის მოსახლეობის მომზადების შესახებ. ამ მიმართულებით აბრეშუმის ფაბრიკაში ჩამოყალიბდა რამდენიმე ქვეგანაყოფი 108 კაცის შემადგენლობით. გამოყოფილი ყავდათ მეთაურები და პოლიტიკელები.

მუშათა საცხოვრებელ ბინებში ჩამოყალიბდა თავდაცვის ჯგუ-

ფები 5—16 კაცის შემადგენლობით. გამოცოცხლდა ზორეთვე თავ-  
დაცვა-ავიაქიმიის ორგანიზაციის მუშაობა, სათანადო ყურადღება  
ეტმობლივა საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის ჩატრონის  
დამხმარე მეურნეობაში, სადაც ვამოყოფილი იყო მუშაჩელი, სატეს-  
ლე მასალა, სამუშაო იარალი.

მიუხედავად ომით გამოწვეული სიძნელეებისა, მახარაძის აბრე-  
შუმის ფაბრიკა გადაჭირებით ასრულებდა საწარმოო-საფინანსო  
გეგმებს. მაგალითად, 1943 წლის პირველი-მეორე კვარტალის გეგმა  
102 პროცენტით შესრულდა. ნათლად ჩანდა კომუნისტებისა და  
კომკავშირელების ავანგარდული როლი, მაგრამ ზოგჯერ მაინც პქონ-  
და ადგილი შეფერხებებს—შრომის დისკიპლინის შესუსტებას, რის-  
თვისაც საჭირო იყო ყურადღების გამახვილება. სექტემბრის თვის  
სამუშაო გეგმის შესრულება შეფერხდა, რაც ომის დროს ყოვლად  
დაუშვებელი იყო. მიღებულ იქნა ზომები ჩამორჩენის სალიკვიდა-  
ციონი.

სრვ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 26 ივნისის  
ბრძანებულების შესაბამისად პარტიის მახარაძის რაიონმის ბიურომ  
1943 წლის 7 თებერვალს მიიღო დადგენილება ომის დროს რიგითი  
და უმცროსი შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახებისა-  
თვის დახმარების აღმოჩენის შესახებ. ამ საკითხზე იმსჯელა ფაბრი-  
კის პარტიულმა ორგანიზაციამ და დაავალა საფაბრიკო კომიტეტს  
განსაკუთრებული ყურადღება მიეკცია წითელი არმიის შემომართა  
ოჯახების მიერ შემოტანილი განცახდებისათვის, დახმარებოდა სა-  
ბოსტნე მიწების შერჩევაში, კომუნალურ მომსახურებაში. ფაბრიკის  
დირექციასა და პარტბიუროს დაევალოთ შეესწავლათ მათი საყო-  
ფაცხოვრებო პირობები და აღმოეჩინათ სათანადო დახმარება. კომ-  
კავშირის კომიტეტს წინადადება მიეცა ადგილობრივი ძალებით მო-  
ემზადებინა საღამო-წარმოდგენა და მთელი შემოსავალი გამოეყენე-  
ბინა წითელი არმიის ოჯახების დასახმარებლად.

ფაბრიკაში წარმატებით მიღინარეობდა მეორე სახელმწიფო  
სესხის რეალიზაცია. გამოიყო სესხის გავრცელების დამხმარე  
კომისია, საამქროთა მიხედვით შეიქმნა სესხზე ხელისმომწერთა დამ-  
ხმარე ბრიგადები, გაფართოვდა სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუ-  
შაობა. ფაბრიკის მუშა-მოსამსახურებმა ერთსულოვნად დაუჭირეს  
მხარი სახელმწიფო სესხის გავრცელებას.

ომა სიძნელეები წარმოშვა აგრეთვე საყოველთაო-სავალდებუ-  
ლების 32

ლო სწავლების კანონების გატარებაში. ომით გამოწვეული ექონომიკური სიძნელეებისა და ოჯახიდან მარჩენალი მამაკაცის ფრინტზე წასვლის გამო ახალგაზრდები მასპინვად ებმებოდნენ შრომით, საქმიანობაში. ამიტომ ისინი თანდათან ჩამოშორდნენ სკოლას. ამ სკიოთზე პარტიის მახარაძის რაიკომის დადგენილებათა საფუძველზე აბრეშუმის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებამ აღნიშნა, რომ ფაბრიკასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში სწავლება ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე. ფაბრიკაში მომუშავე ახალგაზრდების დიდი ნაწილი სავალდებულო სწავლების გარეშე დარჩა. ნაცვლად 80 მსმენელისა, სკოლაში გაერთიანებული იყო 29. კრების გადაწყვეტილებით ფაბრიკის მუშათა კომიტეტს (თავ-რე ა. კვაჭანტირაძე) და ევალა 15 დღის ვადაში დაეზუსტებინა სკოლის გარეთ დარჩენილი მუშა ახალგაზრდების სია, სათანადო ზომები მიეღო მათ ჩასაბმელად სავალდებულო სწავლებაში; რაიონის განათლების განყოფილებას (გამგე ლ. ჩხაიძე) ეთხოვა მეტი კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება აღმოჩენისა მოზრდილთა სკოლის მოსწავლეებში დისციპლინის განმტკიცების საქმეში. ფაბრიკის დირექციის განკარგულებით მოსწავლეები სამუშაოდან თავისუფალი იყვნენ ერთი საათით ადრე, სკოლა უზრუნველყოფილ იქნა გათბობაზანათებით. ამ ონისძიებათა გამო განმტკიცდა სასკოლო დისციპლინა, ბრძოლა გამოეცხადა უმიზეზოდ გაკვეთილების გაცდენებს. სკოლას ჩამოცილებული ბევრი ახალგაზრდა სწავლას დაუბრუნდა და ფაბრიკაში მუშაობასთან ერთად ეუფლებოდა ცოდნასაც. მოწინავე ახალგაზრდების ხარჯზე იზრდებოდა კომერციურის აღანიშაციის რიგები.

სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის ისტორიულმა მოხსენებამ 1943 წლის 6 ნოემბერს ქ. მოსკოვის პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საზემო სხდომაზე მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინაშე თავაყენა ამოცანა—გადაესინჯათ როგორ ასრულებონენ ისინი საწარმოო დავალებებს და თავისი წელილი შეეტანათ მტრის საბოლოო განადგურებაში. ფაბრიკაში მიიღეს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კიდევ უფრო აემაღლებინათ კომუნისტის ავანგარდული როლი, არ დაეშვათ ნედლეულის გადახარჯვა, ზუსტად შეესრულებინათ ტექნიკური წესები, ახალი ვალდებულებანი აიღეს ფაბრიკის. სტანციონელებმა. სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ტექნიკური აღჭურვილობის

ჭესრიგში მოყვანას, რადგანაც ტექნიკური შეფერხებანი გავლენას ახდენდა გეგმების შესრულებაზე.

ღიდ სამამულო ოში წარმატებების მოპოვებას ხელს უწყობდა მძლავრი სოციალისტური შეჯიბრება, რომელშიც ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურებები. მათ მხარი დაუჭირეს მოსკოვის ი. ბ. სტალინის სახელობის ავტოსაშენი ქარხნის კოლექტივის მომართვას ღიდ აქტომბრის სოციალისტური რევოლუციის XXVII წლისთავის სახელობის სოციალისტური შეჯიბრის გაშლის შესახებ და ღიდ ენთუზიაზმით ჩაბმულნი ამ შეჯიბრებაში. მახარაძის რაიონის მშრომელებმა, კერძოდ, აბრეშუმის ფაბრიკის თანამშრომლებმა აიღეს გადიდებული ვალდებულებანი.

1943 წლის 22 სექტემბერს ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა საქაბე განყოფილებისა და ელსადგურის მუშაობის საკითხები. აღნიშნა, რომ გაჭიანურებული რემონტისა და შრომის დისკიძლინის შესუსტების შედეგად ადგილი ჰქონდა მოცდენებს. ყურადღება გამახვილდა აგრეთვე ტექნიკური სწავლების საკითხებზე. გადაწყდა, რომ გადამზადებულიყო 90 მუშა, სტახანველთა გამოცდილების სკოლებში—75 მუშა, კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებში—15. ამ ღონისძიების შესასრულებლად ახლადმილებული მუშები გააერთიანეს ტექნიკის შრეებში. ფაბრიკის დირექტორმა ტექნიკურ ნაწილში ვ. მუჯირმა სათანადო დახმარება გაუწია ტექნიკებს ლექტორთა კადრებით უზრუნველყოფაში.

ომის მძიმე წლებში ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით კარგად მუშაობდა სახალხო კონტროლის კომისია. ფაბრიკას გეგმების შესრულების მაღალი შედეგი ჰქონდა. გაუმჯობესდა მზა ნაწარმის ხარისხი, კეთდებოდა ეკონომიკა ნედლეულის ხარჯებისა და ნაწევრის შემცირების საქმეში. 1944 წლის პირველ ნახევარში ფაბრიკამ 6 თვის დავალება 102,9 პროცენტით შესრულა.

შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის თვითღრებულების შემცირება აუცილებელი პირობა იყო წარმოების წინაშე დასახულ ამოცანათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ნედლეულის დაზოგვა, ხარისხის გაუმჯობესება, შრომის დისკიძლინის ამაღლება, მანქანა-დანადგარების კაპიტალური და მიმღინარე შეკეთებათა გრაფიკის დაცვა დიდად უწყობდა ხელს საწარმოო გეგმების შესრულებას.

გამოცოცლდა რაციონალიზატორთა ბიუროს მუშაობა. ფაბრიკა

ქის მთავარი მექანიკისა და ენერგეტიკის განყოფილებას ხელმძღვანელობდა ამავე ფაბრიკის ყოფილი მუშა ინჟინერ-მექანიკოსი მოსე სურგულაძე. ამ განყოფილების უნარიანი, რიტმული მუშაობით ფაბრიკა მოწინავეთა რიგებში იდგა. ამ ბიუროს მუშაკებმა (ილია სამ-სონია, პარმენ ქუტიძე, სერგო გობრონიძე, ნოდარ ჭეიშვილი, ალექ-სანდრე ქართველიშვილი, შალვა სურგულაძე, მამია ჭეთხოძე და სხვ.) სამქროებში დანერგეს მთელი რიგი რაციონალიზატორული წინაღალებანი, რომლებმაც სახელმწიფოს მისცეს მნიშვნელოვანი ეკონომია.

მ. სურგულაძის წინადადებით დაიდგა აბრეშუმის ნარჩენების საშრობი კმერბები, რომლებსაც ახასიათებდათ მაღალი წარმალობა (ცუკრი იგზავნებოდა მელიების გამოსაკვებად). მოეწყო ნახშირის მექანიზებული შეზიდვა საქვაბე განყოფილებაში, წყლის ავტომატური მიწოდება ძაფსალებ-საგრეხ წარმოებაში, აბრეშუმის შულების მექანიზებული ტრანსპორტირება საკონტროლო განყოფილებაში. რაციონალიზატორის წინადადებით შეიქმნა ნარჩენების სარეცხი მანქანა, რითაც გაუმჯობესდა შრომის პირობები, ამაღლდა წარმოების კულტურა, აბრეშუმის ფაბრიკაში სამამულო ომის ფრონტებიდან დაბრუნდნენ და საწარმოო გეგმების შესრულებაში. აქტიურად მონაწილეობდნენ მიხეილ დარჩია და ფაბრიკის ყოფილი მუშები.

მ. დარჩია ლარიბი გლეხის ოჯაში დაიბადა. 1943 წელს აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-ახალგაზრდობის სკოლიდან დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. იქვე მიიღეს ლენინურ კომკავშირში. იყო გენერალ პ. ჩანჩიბაძის დივიზიის აქტიური წევრი. 1944 წლის მარტში მძიმე ავადმყოფობის გამო სამხედრო სამსახურიდან გაათავისუფლეს, იმავე წლის ოქტომბერში მუშაობა დაიწყო მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში და თავდადებული შრომით სათანადო წვლილი შეიტანა მტერზე გამარჯვებაში. მშობლიურ წარმოებას დაუბრუნდა აგრეთვე ფაბრიკასთან არსებულ მუშა ახალგაზრდობის სკოლის კურსდამთავრებული ქანი ვაშალომიძე.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის გადამწყვეტ ეტაპზე აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორი იყო შ. ვასაძე, მთავარი ინჟინერი — გ. მუჭირი, პარტბიუროს მდივანი — ნ. სურგულაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი — თ. კვერლელიძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე — ა. კვაჭანტირაძე, მთავარი მექანიკოსი — დ. ჭეიშვილი, საგრეხის სამჭროს უფროსი — ლ. შარაშიძე, ცვლის უფროსი — ა. ლომინაძე, ძაფსალები სამქროს წარმოების უფროსი — ო. დოლიძე.

მ. დარჩიამ და სამამულო ომის სხვა მონაწილემ ფაბრიკაში შუ-  
შაობა იმ დროს დაიწყეს, როცა დიდი სამამულო ომი დასასრულო  
უახლოვდებოდა, საწარმოო მთლიანად მუშაობდა სამხედრო დაწეს-  
ნულების ასორტიმენტების გამოშევებაზე. ზურგის მშრომელთა ლო-  
ზუნგი იყო: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გა-  
მარჯვებისათვის“. ფაბრიკა მაშინ სამ ცვლად მუშაობდა და განიცდი-  
და მუშახელის ნაკლებობას, მიუხედავად ამისა ფაბრიკას ჩავარდნები  
არ ჰქონდა, რაღაც მისმა თითოეულმა მუშაკმა იცოდა, რომ ყოველი  
კილოგრამი ძაფი მტერზე გამიზნული ყუმბარა იყო, მართალია, საგ-  
რეხი სამქროს დაზგები ძალზე მოვცელებული იყო, მაგრამ მომუშა-  
ვენი ენერგიას არ იშურებდნენ და თავდადებული შრომით ავსებდ-  
ნენ წარმოების ამ ხარვეზს.

და აი, დადგა ბედნიერი, ნანატრი დღე—1945 წლის 9 მაისი.  
ჩვენმა ქვეყანამ იზეიმა ისტორიული გამარჯვება.

1950 წელს ფაბრიკის დირექციამ მ. დარჩია და გ. კობალავა  
გაგზავნა მოსამართში კვალიფიკაციის ამაღლების რვა თვით კურსებზე.  
კურსების დამთავრების შემდეგ მათ მიიღეს საგრეხი წარმოების ოს-  
ტატი-ტექნოლოგის კვალიფიკაცია. მომდევნო წელს მ. კობალავა და-  
ინიშნა საგრეხ სამქროში ცვლის უფროსის თანამდებობაზე.

გაუმჯობესდა ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა. საგრეხ სა-  
ამქროში ძველი დაზგები შეიცვალა სამამულო წარმოების მაღალ  
მწარმოებლური მანქანებით, რომლებსაც ჰქონდა დიდი წარმადობა,  
უშვებდა უკეთესი ხარისხის პროდუქციას.

გავიდა წლები, ფაბრიკის დირექტორად დაინიშნა ს. გრძელიძე,  
მთავარი ინჟინერად—ი. ბერიშვილი, პარტიული ბიუროს მდივანი გახ-  
და დ. კილურაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი—მ. დოლიძე, სა-  
ფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე—ვ. ჭანტურიშვილი. მ. დარჩია  
მუშაობდა საამქროს კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად და ფაბ-  
რიკის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მთადგილედ. 1951 წელს  
იგი მიიღეს ლენინური პარტიის რიგებში. მუშაობდა საამქროს პარ-  
ტიული ორგანიზაციის მდივნად, არჩეული იყო ფაბრიკის პარტიუ-  
ლი ბიუროს წევრად.

ფაბრიკის საგრეხი საამქრო გაფართოვდა, მას მიემატა ერთი  
კორპუსი, სადაც ამჟამად მოთავსებულია ფაფის საწყობი, მექანიკუ-  
რი განყოფილება და დაზგები. საგრეხ საამქროს თავდადებული მუ-  
შაობა



ჟაობისათვის შემდგომში მიენიჭა კომუნისტური შრომის სამქროს  
სახელშოდება.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეჩი ფაბრიკიდან სოცია-  
ლისტური სამშრობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა 56 კაცი. შეკრი-  
მათგანი ფრონტის მოწინავე ხაზზე იბრძოდა ფაშისტური ურჩხული-  
საგან შშობლიური მიწის დასაცავად, მათ ღირსეულად მოიხადეს  
ვაკლი სამშობლოს წინაშე, დაჯილდოებულ იქნენ საბჭოთა მთავრო-  
ბის ორდენებით და მედლებით, გამარჯვებული დაუბრუნდნენ  
შშობლიურ რაიონს და ისევ აქტიურად ჩაებნენ შრომის ფერხულში.

დიდი სამამულო ომის ვეტერანთა შორის უწინარეს ყოვლისა  
შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: აპოლონ რაჭენის ძე კვაჭანტი-  
რაძე, მიხეილ ივანეს ძე მალაზონია, ივანე გერასიმეს ძე ჩერნენკო,  
ტიტე მიხეილის ძე შეგრელიძე, ბეჟან ვასილის ძე ვაშალომიძე, სერგო  
ამბროსის ძე ზაქარიაძე, ალექსი აბრამის ძე ხეჩიონი, ანუშევან ეგი-  
შის ძე ავაკიანი, სერგო ალექსანდრეს ძე მარტიროსიანი, იოსებ ეგი-  
შის ძე ავაკიანი, ლადო ანტონის ძე ჯაში, გალაქტიონ დავითის ძე  
სურგულაძე, ნუნუ ახმედის ასული მუავანაძე, ვაშილ ეფიმის ძე ლე-  
ვენეცი, არტემ გარაპეტის ძე ჩარჩიანი, სარა შაქრინ ასული ბაქ-  
რაძე, ვახტანგ ვასილის ძე ქავუარაძე, ალექსანდრე პორფილეს ძე  
შიმინშვილი, ივანე პანტელემონის ძე მიხაილოვი და სხვები.

დიდ სამამულო ომში ბევრი ახალგაზრდის ნათელი ცხოვრება შე-  
ეწირა სამშობლოს თავისუფლებისათვის სამართლიან ბრძოლას, ბევ-  
რია შინბრუსვლელი ვაჟაპი, მოხუცი დედა თუ მეუღლე, რომ ელო-  
დება დღენიადაგ, ისევ ცოცხალთა შორის რომ ეგულება და მათი  
დაბრუნების სადღეგრძელოს სვამს.

ბევრი მამაცთა სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე და ასახელა  
სამშობლო მხარე, შშობელი დედა, ის კოლექტივი, რომლის მოწინა-  
ვე წევრიც იყო და ყოველთვის მისი ღირსებისათვის რომ იღვწოდა,  
შრომიბდა და სწავლობდა. პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზა-  
ციებში აღზრდილებმა სამშობლოს თავდადების სასწაულები გვიჩ-  
ვენეს და გმირის სიკვდილით დაეცნენ სამშობლოს ქეთილდღეობისა-  
თვის ბრძოლაში, მათ შორის იყვნენ აბრეშუმის ფაბრიკის მოწინავე  
კომუნისტები გერმანე მიქაბერიძე, მიხეილ და იაკობ სიხარულიძეები,  
არონ ცინცაძე, ნიკოლოზ ცომაია, ალექსანდრე ჭეიშვილი, გიორგი  
სალუქვაძე, აკაცი მიქელაშვილი, ბენო კუკულაძე, მიხეილ ღოლიძე,  
მოსე მალაზონია, კოტე კეკელიძე, ვლადიმერ სურგულაძე, დავით

დუმბაძე, მიხეილ შეგრელიშვილი, არსენ კალანდაძე, აკაკი ნაცაშვილი, ვალერიან სირაძე, კალისტრატე ნიკოლაიშვილი, ავტენტი კილაძე, შალვა კალანდაძე, ივანე მშვიდობაძე, ივანე დარჩია, მიხეილ პანჩუკი, ძმები მიხეილ და გერასიმე გოლიაშვები და სხვები.

დიდი მსხვერპლი გაიღო საბჭოთა ხალხმა თავსმოხვეული ომის გამო. ომმა ღრმებით შეაჩერა საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი სოციალისტური აღმშენებლობა. „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის“, ამ ღონიშუნგით შრომობდნენ ზურგის მშრომელები, ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურები, ფრონტელთა ოჯახები და მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებიც ენერგიას არ იშურებდნენ იმისათვის, რომ მიუხედავად საწარმოებში მუშახელის ნაკლებობისა, მაინც გადაჭირდებით შეესრულებინათ გეგმა-ვალდებულებები, რაც შეიძლება დაეჩქარებინათ მტერზე გამარჯვება, მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლა. საბჭოთა ხალხს სწამდა, რომ ომი გამარჯვებით დამთავრდებოდა, ამავე დროს ისიც იცოდნენ, რომ ამისათვის ენერგიის დიდი დაძაბვა იყო საჭირო.

აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივს გეგმა-ვალდებულებათა შესრულებაში შეფონას უწევდნენ საწარმო-დაწესებულებები, მოსწავლე-ახალგაზრდები, რომლებიც ხშირად ეხმარებოდნენ ფაბრიკის მუშებს დაზგებზე მუშაობაში, აგრეთვე სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებზე, ვაკეაცური შემართებით ძლიერდნენ დაბრკოლებებს. დიდი სამამულო ომის დროს ფაბრიკის შრომითი კოლექტივი ყველაფერს აკეთებდა ზურგისა და ფრონტის ერთიანობის განსამტკიცებლად. მაღალი იყო საბჭოთა ადამიანის მორალური სახე, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდილნი მოელ ენერგიას ახმარდნენ მტერზე გამარჯვების მოპოვებას.

აბრეშუმის ფაბრიკის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას უთმობდნენ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. 1945 წლის 26 ივნისს ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოისმინეს საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 18 მაისისა და 1944 წლის 1 სექტემბრის დადგენილებათა შესრულების შედეგები. გ. ქურიძის მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ ნაკლოვანებები ფაბრიკას გააჩნია ჯერ კიდევ პროდუქციის თვითლირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში, რაც იმითაც იყო გამოწვეული, რომ ზოგიერთი ბრიგადა არა-



დამაკმაყოფილებლად მუშაობდა, ხოლო ბრიგადირი გულგრილობას იჩენდა ნედლეულის რაციონალურად ხარჯვაში. სათანადო დონეზე არ იღვა მანქანა-დანაღარების მოვლა-პატრონობის საქმე, ფაბრიკის №3 ახალგაზრდულ-კომპავშირული ბრიგადის ხელმძღვანელი ო ჟელალურიძე ითხოვდა ბრიგადის შევსებას ახალგაზრდა მუშებით, ხოლო კ. თუთაიშვილი, ნ. ბარამიძე და ლ. შარაშიძე მხარს უჭირდნენ ბრიგადირების პასუხისმგებლობის ამაღლებას, პარტიული კრების დადგენილების შესრულების პერიოდულად შემოწმებას, ბრძოლის გაძლიერებას ნაკლოვანებათა აღმისაფხვრელად.

ორატორები დაბალი ხარისხის პროდუქციისა და ნედლეულის გადახარჯვის მიზეზად ასახელებდნენ აგრეთვე სოფლად უხარისხო ნედლეულზე მუშაობას, ხოლო საგრეხ სამქროში ნაწერის ზრდის ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევდნენ ძაფსალებ საამქროში ძაფის ასორტიმენტის განმსაზღვრელი ერთეულის — „დენიოს“ ღაუცველობას, რის გამოც მზადდებოდა ძალზე ხმელი და შეწებილი „გრეუ“ სიტყვაში გამოსულ გ. როგავს აზრით, საჭირო იყო ბრიგადირებს მეტი კონტროლი გაეწიათ მხარშველებისა და ძაფის ამომლებლებისათვის. შეწებილი ძაფის მიზეზი იმაშიც იყო, რომ წყალგამტარი მილებიდან იპარებოდა ორთქლი, რაც დროულად შეკეთებას მოითხოვდა.

ფაბრიკის დირექტორის შ. ვასაძის აზრით, 1945 წლის ხუთი თვის შედეგები გასულ წელთან შედარებით, მიუხედავად უკეთესი პირობებისა, გაუარესდა. მიზეზად დირექტორმა დაასახელა საქმისა-დმი ზოგიერთი ბრიგადირისა და მიმაგრებული პირის უპასუხის-მგებლო დამოკიდებულება, ბოლშევიკური სიფხიზლისა და კომუნისტების ავანგარდული როლის ერთგვარი მოდუნება. პარტიული კო-მიტეტის მდივანმა ნ. სურგულაძემ აღნიშნა, რომ არ იყვნენ ბრიგადირები მართალნი, როცა ჩამორჩენას უმთავრესად უხარისხო ნედლეულს აბრალებდნენ. მათ მეტი კონტროლი უნდა გაეწიათ მუშების საქმიანობისათვის. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე საკითხის საქმიანმა განხილვამ და მიღებულმა დადგენილებამ სათანადო შედეგი გამოილო — მნიშვნელოვნად ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. გაიზარდა ხარისხიანი ნედლეულის დამზადება<sup>1</sup>. აბრეშუმის ფაბრიკის საერთო პროდუქციის მაჩვენებლები უკვე შეაღენდა 19,365 ათას მანეთს. ნატურალური სახით ხამი აბრეშუმის ძაფი იღ-

<sup>1</sup> მლისფპა, ფ. 8240, საქ. 44, ფურც. 24—29.

შევდა 209,7 ტონას, ნაგრეხი აბრეშუმისა—151,6 ტონას, სასაქონლო  
ხამი აბრეშუმისა კი 58,1 ტონას. აირველი ხარისხის ხამი აბრეშუმის  
ძაფის ხვედრითი წონა იყო 12,4 პროცენტი, შრომის წაყოფის ერთ  
ერთ მომუშავეზე შეადგენდა 224,78 მანეთს.

სსრ კავშირის დიდ სამამულო ომში განსაკუთრებული ძალით  
გამოვლინდა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის საზოგადოებრი-  
ვი და სახელმწიფო ორგანიზაციის წყობილების უძლეველობა. მრავალერო-  
ვანი საბჭოთა ხალხის სიმტკიცე და ერთიანობა, სოციალისტური სამ-  
შობლოსადმი უნგარო სიყვარული და ერთგულება. ომის მძიმე წლე-  
ბში კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მზრუნველობას არ  
აკლებდნენ მშრომელ მასებს, ოჯახებს, რომელთა შვილები სამამუ-  
ლო ომის ფრონტზე გმირულად ერკინებოდნენ მტერს და სამშობ-  
ლოს დაცვისათვის ბრძოლაში სასწაულებს ახდენდნენ. ომის დროს  
განმტკიცდა ფრონტისა და ზურგის ერთიანობა, ზურგის მშრომე-  
ლებმა თავდადებული შრომით ღირსეული წვლილი შეიტანეს მტერ-  
ზე გამარჯვებაში.

## აგრეშუმის ფაზრიგა მიმდევადგომ პარიოდზე

სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მთე-  
ლი საბჭოთა ხალხი, მათ შორის მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მუ-  
შა-მოსამსახურენი მშვიდობიან შრომას დაუბრუნდნენ, შეიცვალა  
ფაბრიკის მუშათა ეროვნული შემადგენლობა. ექ მომუშავე ევაკუ-  
ირებულ მუშათა ერთი ნაწილი სამშობლოში დაბრუნდა, ნაწილი კი  
მახარაძეში განაგრძობდა ცხოვრებას. ფაბრიკის დირექტია, პარტი-  
ული, პროფესიურული და კომერციული ორგანიზაციები ყოველ  
ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რომ მოძმე ეროვნების მუშებისათვის  
შეექმნათ შრომისა და ცხოვრების ხელსაყრელი პირობები. ომის  
შემდგომ წლებში ფაბრიკის მუშათა შემადგენლობაში ადგილი  
ჰქონდა რაოდენობრივი და თვისებრივი ხასიათის ცვლილებებს, მა-  
ღლებოდა მუშათა პროფესიული ოსტატობა, რაც ხელს უწყობდა  
შრომის ნაყოფიერების ზრდას, აუმჯობესებდა მათ ეკონომიკურ  
მდგომარეობას. მუშათა კანონიერი მოთხოვნილებების დაქმაყოფი-  
ლება იყო სტიმული, რაც განაპირობებდა მუშების დიდი ხნით საქმი-  
ანობას საწარმოში, ხელს უშლიდა მუშათა ხშირ დენადობას.

შექმათა პირობები იმის შემდგომ წლებშიც რთული იყო. ხელ-  
ფასი საშუალოდ 50—60 მანეთს აღწევდა, მაგრამ იმის სიძნელეების  
დაძლევისა და მიყენებული ჭრილობების მოშუშების შედეგად მუშა-  
თა მდგომარეობა თანდათან გაუმჯობესდა, ხოლო ფულის კურსის შეცვლის გამო ხელფასი გაიზარდა, გამომუშავების ნორმებიც შეი-  
ცვალა.

ფაბრიკის კოლექტივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა  
არმიიდან დემობილიზებულთა სამუშაოზე მიღების ორგანიზაციას,  
მათგვის შესაფერისი შრომითი და საყოფაცხოვრებო პირობების  
შექმნას. ასევე ყურადღებით ექცეოდნენ აგრეთვე შინმოუსვლელთა  
და იმის ინვალიდთა ოჯახებს, ზრუნავდნენ მათვის დახმარების  
გასაწევად.

1946 წლის ივნისში მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი  
ფაბრიკის თანამშრომელთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ჩვენი  
ქვეყნის აბრეშუმის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრა-  
ლური კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკი ა. მასლენიკოვა. იგი აღ-  
ნიშნავდა, რომ პროფკავშირების სრულიად საკავშირო საბჭოს გადა-  
წყვეტილებით მუშებს უუმჯობესდებოდათ მატერიალური და საყო-  
ფაცხოვრებო პირობები. საწარმოებთან იქმნებოდა მუშათა მომარა-  
გების განყოფილებები. დიდი ყურადღება ეთმობოდა ინდივიდუა-  
ლურ და კოლექტიურ მეურნეობებს, საბავშვო ბალისა და ბაგის აღ-  
საზრდელთა კონტინგენტის გაფართოებას, დასასვენებელი სახლების  
და სანატორიუმების ქსელის გადიდებას.

ამ ღონისძიებათა განხორციელების მიზნით დათვალიერებულ  
იქნა ფაბრიკის დამხმარე და ინდივიდუალური მეურნეობა, რომელ-  
მაც სტუმრებზე საუცხოო შთაბეჭდილება მოახდინა. აბრეშუმის  
მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების წარმომადგენელი კმაყო-  
ფილებით აღნიშნავდა ფაბრიკისა და მთელი კოლექტივის მუშაობის  
გაცნობით მიღებულ დადებით შთაბეჭდილებას, ამავე დროს მიუთი-  
ობდა საბრძოლო ამოცანებზე, რომლებიც ფაბრიკის კოლექტივის  
წინაშე იდგა, მაგალითად, მუშათა მომარაგების განყოფილების სუს-  
ტი მუშაობა, საცხოვრებელი ბინების არათანაბარი განაწილება და  
სხვ.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებას  
უთმობდა პოლიტიკური განათლების ქსელის მუშაობის გაუმჯობესე-  
ბას. მნიშვნელოვნად გაფართოვდა პარტიის ისტორიისა და ლენინის

ბიოგრაფიის შემსწავლელი წრეების მუშაობა, ამაღლდა მეცატინეობებზე მსმენელთა დაწრების მაჩვენებელი, ათვისების ხარისხი, სწავლებაში ჩაებნენ ახლადმიღებული მუშებიც. 1947 წელს ფაბრიკაში მიღებული 180 მუშიდან ინდივიდუალური სწავლები ჰქონდა 68 მუშას, ტექნიკური მინიმუმი—46. საწარმოში შეიქმნა ხუთი წრე, რომელშიც, გაერთიანდა 170 კაცი. მინიმალურად შემცირდა მუშათა დენადობა, მუშებს ეწეოდათ ფულადი დახმარება, ზრუნავდნენ მათი საცხოვრებელი ბინების მოწყობაზე.

ფაბრიკის შრომით კოლექტივში დიდი აღფრთვანება გამოიწვია ლენინგრადის მრეწველობის მუშამოსამსახურეთა მიმართვამ საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშაკისადმი— ოთხ წელში შევასრულოთ ომის შემდგომი ხუთწლიანი გეგმა და მოსკოვის საინსტრუმენტო ქარხნის კოლექტივის გამოცდილებათა გაცნობამ სოციალისტური შეჯიბრების ახალი წესის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ფაბრიკის სტახანოველებმა იმსჯელეს მუშაობის შემდეგ მი გაფრგმობეს პრაქტიკულ ამოცანებზე და აღნიშნეს, რომ ფაბრიკის სტახანოველის ც. ლლონტის მუშაობის მეთოდის გაცნობის შედეგად ფაბრიკაში წარმატებით საქმიანობდა სამდაზგოსანია ბრიგადა (ჯიქია, ხუხუნაშვილი, ანთიძე, კამარევცოვა), რომლებმაც ვალდებულება აიღეს სამი დაზგის ნორმა შეესრულებინათ 130 პროცენტით. საგრეხი სამქროს სტახანოველი მუშები (ლ. კალანდაძე, თ. ცხონიძე და ლ. ბელოუსოვა) 50 ჯარადან 100-ზე გადავიდნენ და საგრძნობლად გაზარდეს შრომის ნაყოფიერება. ფაბრიკის დირექციის დადგენილებით ც. ლლონტის დაზგასთან გაკეთდა საპატიო დათა, სადაც აღინიშნებოდა სტახანოველის ყოველდღიური მუშაობის შედეგები.

ომის შემდგომი მშვიდობიანი მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა იყო ომის მძიმე შედეგების ლიკვიდაცია, სახალხო მეურნეობის ომამდელი დონის აღდგენა და შემდგომი განვითარება. აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საყოველთაო სახალხო მოძრაობას — „ხუთწლედი ოთხ წელიწადში“. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ძაფსაღები სამქროს სამდაზგოსანი მუშები—მარიამ გუიტი, ლიზა მახარაძე, ნადია ბოროვლივა, ეკატერინე გოგუაძე, მარიამ კალტირინა, გალინა სტარასტენკო, ნინო ძიმისტარაშვილი, ციცინო ბაზულეიშვილი, ანა მოტრენკო, ფედოსია ტარანენკო, ნადია პრიტულიაკი, დინა ტრეგუბოვა. ამათ გარდა, შეიძლება დავასახელოთ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარ-

ჭვებული წარჩინებული შუშები — ს. ბერიძე, შ. გირველიძე, შ. ვა-  
საძე, მ. სურგულაძე, ა. იაკულინა, ნ. მეგრელიძე, ი. ყელაურაძე,  
უ. ღლონტი, მ. ცერცვაძე, ა. სიკორსკაია, კ. მერჩეცი, ა. ჩინოიანი,  
ე. დავითოვა, მ. რუდენკო, თ. კალანდაძე და სხვ.

ფაბრიკის დირექცია და პარტიული კომიტეტი კვლავ დროულად  
ამოწმებდა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შედეგებს. ლე-  
ნინგრადელთა ზემოაღნიშნული მოწოდების საპასუხოდ. განხორცი-  
ელდა სოციალისტური შეჯიბრების გაშლისა და აღებულ ვალდებუ-  
ლებათა შესრულების შემოწმება. ნათელი გახდა, რომ ფაბრიკას გაა-  
ჩნდა მნიშვნელოვანი წარმატებები: სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბ-  
მული იყო 543 კაცი, სრულდებოდა სოციალისტური შეჯიბრებით ნა-  
კისრი ვალდებულებები და გამარჯვებულთა დაჯილდოება. ამასთან  
საჭირო იყო მეტი თვალსაჩინოება, საპატიო დაფის შემოღება, რაც  
უფრო გაზრდიდა მუშათა დაინტერესებას. უნდა გაძლიერებულიყო  
ლექციური პროპაგანდა და ჯგუფური კონსულტაციები, საკ. კპ (ბ)  
ისტორიის შემსწავლელ წრეებში მეცადინეობის დონის ამაღლება.

სოციალისტური შეჯიბრებისა და სტანციონური მოძრაობის ფარ-  
თოდ გაშლის საფუძველზე გადაჭარბებით შესრულდა ფაბრიკის სა-  
წარმოონ გეგმები, ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა მუშა-  
მოსამსახურეთა ხელფასი. მაგალითად, თუ 1940 წელს მუშის საშუა-  
ლო თვიური ხელფასი იყო 271 მანეთი, 1947 წელს იგი უკვე აღწევ-  
და 677 მანეთს.

გაიზარდა ფაბრიკის სამქროთა და დაზგა-დანადგარების რაოდე-  
ნობა. ფაბრიკის დამხმარე საამქრო იყო საქვაბე საამქრო, სადაც მუ-  
შაობდა სამი საორთქლე ქვაბი. საქვაბე საამქროსთან მიყვანილ იქნა  
მთავარი მაგისტრალი და რკინიგზის ჩიხი, რითაც ხდებოდა საწვავი  
მასალას — ნახშირის მიზიდვა. პარკის სახარისხებელ საამქროში, რო-  
მელიც ძაფსახვევი საამქროდან 100—120 მეტრით იყო დაცილებუ-  
ლი მუშაობდა პარკის დამხარისხებელი მანქანა „დრამბილა“. ნარ-  
ჩენების გადასამუშავებელ საამქროში მუშაობდა ჭეჭყის სახარში  
ლითონის ქვაბები, ნარჩენების საშრობი მოწყობილობა — „სიმპლექ-  
სი“, ნარჩენების გასაწური და შესაფუთი მოწყობილობანი, ლაბო-  
რატორია და სხვ.

1951 წლის იანვრისათვის მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეს  
ფაბრიკაში მომუშავეთა რაოდენობა უმთავრესი პროფესიების მი-  
ხედვით ასეთი იყო: ძაფის ამომღები — 228 კაცი, პარკის მხარშვე-

ლი — 121, ძაფის გამკინდველი — 64, მგრეხავი — 56, გარამშვევი — 52, პარკის დახსარისხებელი — 44, ბრიგადირები — 23, ინკინერტექნიკური პერსონალი — 24, სხვადასხვა პროფესიის მომუშვევები — 240 კაცი, მაშასადამე, ომის შემდგომ მუშათა რაოდენობა გათზარდა მარტო რიცხობრივად, არამედ თვისობრივადაც.

50-იანი წლების დასაწყისისათვის თაბრიკის განკარგულებაში იყო შემდეგი შენობები და საცხოვრებელი ბინები: ძაფსაღები კორპუსი № 1, № 2, რომელთა ფართობები შეაღენდა 627 და 1323 კვეტს, ძაფსაგრეხი კორპუსი 2-სართულიანი — 537 კვეტ, მექანიკური სახელოსნო — 195 კვეტ, საქვაბე განყოფილება — 275 კვეტ, ელსადგური — 416 კვეტ, პარკის საწყობი — 580 კვეტ, პარკის საწყობი № 2 — 550 კვეტ, სადურგლო სახელოსნო — 112 კვეტ და სხვა ნაგებობანი, სულ — 5029,2 კვეტ. საერთო საცხოვრებელს ეკავა 10 შენობა 257 ოთახით, ბინების საერთო ფართობი შეაღენდა 3972 კვეტ: მთლიანად საფაბრიკო შენობებისა და საერთო საცხოვრებელი ბინების ფართობი აღწევდა 9607,4 კვეტ.

ფაბრიკის შშენებლობის დაწყებიდან საბუღალტრო აღრიცხვას მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო. ამ საქმეს დიდი ღვაწლი დადო კირილე ჭელიძემ, ვალიკო ლლონტმა, ალექსანდრე თოიძემ, სევერიანე ჩავლეიშვილმა და სხვებმა. 1929 წელს ფაბრიკის მთავარ ბუღალტრად დაწინაურდა ვალერიან ლლონტი (ამჟამად ფაბრიკის პენსიონერთა საბჭოს თავმჯდომარის მოაღვილე). მისი ინიციატივით გაიხსნა დაზგის მუშებისაგან შემდგარი საანგარიშო კურსები. აქ ვა მოიწვროთ საანგარიშო დარგის მუშაკები მიხეილ სიხარულიძე, ნიკოლოზ ცომაია: (ორთავე სამამულო ომიდან შინმოუსვლელი), სოფიო გოგოლიშვილი, ტუშა ურუშაძე, მარიამ ვადაჭკორია, მარგარიტა კობალავა, ალექსანდრე კონტრიძე, დიმიტრი ბურაკოვი, გრიგოლ არობელიძე, ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, დავით მეგრელიძე (შემდეგ საგრეხი საამქროს უფროსი), შალვა გოგუაძე, კონსტანტინე კეკელიძე (სამამულო ომიდან შინმოუსვლელი), ლუბა ფიფია, მარგარიტა თოთიბაძე, დავით კალანდაძე და სხვები.

აბრეშუმის ფაბრიკის ექსპლუატაციაში გაშვების დღიდან დიდი ყურადღება ეთმობოდა საწარმოს სწორ დაგეგმას, სტატისტიკურ აღრიცხვას, ნორმირებას, ხელფასის ტარიფიკაციას. ფაბრიკის ამუშავების დრო — 1926 წელი, სწორედ ის პერიოდი იყო, როდესაც მუშავდებოდა სახალხო მეურნეობის პირველი საკონტროლო ციფრები. ამ როულ უბანზე საგეგმო-ეკონომიკურ განყოფილებაში წლე-

გის მანძილზე წარმატებით მუშაობლნენ გენო ქურიძე, არტემ ბე-  
დია, შალვა ურუშაძე, სერგო მეგრელიშვილი; სტატისტიკურ გან-  
ყოფილებაში — ქრისტეფორე გორგოშიძე, ნიკოლოზ ხინველი-  
ნიკოლოზ ჩხარტიშვილი, არონ ცინცაძე (სამამულო ომიდან შინოუ-  
სვლელი), ვასილ ლომინაძე და სხვები.

შრომის ნორმირებას და ტარიფიკაციის გატარებას პრაქტიკუ-  
ლად ხელმძღვანელობდნენ გენო ქურიძე და ფაბრიკაში აღზრდილი  
ყოფილი დაზგის მუშა, ამჟამად კადრების განყოფილების გეგმები  
სოსო თუმანიშვილი. მათ მხარში ედგნენ დაზგის ყოფილი მუშები  
უენია ორმოცაძე, გიორგი სალუქვაძე (სამამულო ომიდან შინოუსვ-  
ლელი), უენია თოთიბაძე, დარეჯან ჭანიშვილი და სხვები.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნიჭიერი მუშაკის გენო  
ქურიძის საქმიანობა. მან მთელი ენერგია მოახმარა ფაბრიკაში კად-  
რების აღზრდას, გეგმიანობის, ნორმირებისა და ტარიფიკაციის სწო-  
რად გატარებას.

ფაბრიკის საგეგმო განყოფილებას წლების მანძილზე სათავეში  
ედგა ნიჭიერი მუშაკი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, უმაღლესი  
განათლების მქონე გიორგი დობორჩიგინიძე. 1951 წლიდან ამ განყო-  
ფილებაში მუშაობს ფაბრიკის ძველი მუშაკი მარგარიტა პაპკოა,  
რომელმაც საინტერესო ცნობები მოვაწოდა აბრეშუმის ფაბრიკაში  
მისი მეუღლის ზურაბ ჭანიშვილის დიდი ოჯახის წევრთა მუშაობის  
შესახებ!

სახალხო მეურნეობის მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულე-  
ბის შედეგად ფაბრიკის საერთო პროდუქცია აღწევდა 17,282 მა-

<sup>1</sup> ევვენი თომას ქე ჭანიშვილი აბრეშუმის ფაბრიკის ერთ-ერთი პრეველი შე-  
ნებელი იყო. იგი საჭარბოში რამდენიმე წელს მუშაობდა. 1926 წელს სამუშაოდ  
მოიყვანა უფროსი და მელინი, რომელიც ცოლად გაყვა ფაბრიკის მუშას. შუქრი  
შარაშიძეს. მელინის და დარეჯანი ფაბრიკაში მუშაობდა 1932 წლიდან. ნიჭიერი  
და შრომისმოყვარე ქალი საპასუხისმგებლო სამუშაოზე დაწინაურდა, მუშათა კო-  
მიტეტის თავმჯდომარე გახდა. ფაბრიკაში მუშაობს მისი რძალი ზინა და მმის-  
შვილიშვილი მელინი ჭანიშვილები. 1951 წლის დასაწყისში კომევშირული საგ-  
ზურით ფაბრიკაში სამუშაოდ მოვიდა აგრეთვე მელინის, დარეჯანისა და ეკავინის  
ძმისშვილი ზურაბ ჭანიშვილი, რომელიც ძაფსაღები საამქროს ქვეოსტატად მუშა-  
ობდა, ხოლო თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ დაი-  
ნიშნა დაფილები სამქროს ცელის უფროსად. იგი კვალიფიკაციას იმზულებდა  
მოსკოვის სტანდარტიზაციისა და ხარისხის ინსტიტუტში, 70-იან წლებში (1975  
წლის ოქტომბრამდე) ხელმძღვანელობდა ფაბრიკის ძაფსაღებ წარმოებას.

ნეთს. ნატურალური პროდუქციიდან ხამი აბრეშუმის ძაფი იყო 71,1 ტონა, ნაგრეხი აბრეშუმისა—209,3 ტონა, სასაქონლო ხამი აბრეშუმის ძაფი—80,8 ტონა. შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაჩერ შეადგენდა 22,213 მანეთს.

მეხუთე ხუთწლედში ფაბრიკამ გამოუშვა, 26,797 მანეთის საერთო პროდუქცია, ნატურალური ხამი აბრეშუმის ძაფი შეადგენდა 494,5 ტონას, ნაგრეხი—438 ტონას. შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაჩერ 27,448 მანეთამდე გადიდდა. მეექვსე ხუთწლედის სამი წლის მანძილზე ფაბრიკის საერთო პროდუქციის ღირებულება აღწევდა 16,620 ათას მანეთს, ნატურალური პროდუქციიდან ხამი აბრეშუმის ძაფმა შეადგინა 239,2 ტონა, ნაგრეხისამ—220,1 ტონა.

### ზაბრიკის ხელმძღვანელი კადრები

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის ახლადფეხადგმული წარმოება მუშაობის პროცესში ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდა, მაგრამ ხელმძღვანელობის უნარიანი და შემოქმედებითი მუშაობით ყოველთვის ხერხდებოდა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

აბრეშუმის ფაბრიკა ნამდვილად ითვლებოდა კადრების სამჭედლოდ. აქ წლების მანძილზე მუშაობდნენ და იწროობოდნენ ათეულობით უბრალო ადამიანები, რომლებსაც შემდეგ პასუხსაგებ სამუშაოებზე აწინაურებდნენ.

1926—1928 წლებში ფაბრიკის ღირექტორი იყო ილარიონ კალანდაძე, სპეციალობით ზეინკალ-მემანქანე, ნიჭიერი და კარგი სამეურნეო მუშაკი. მას ჰქონდა გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება—ძაფსაღები დაზგების მოდერნიზაციაზე, რომელიც ფაბრიკას ათასობით მანეთის ეკონომიას აძლევდა და აუმჯობესებდა მუშათა შრომის პირობებს. მომდევნო სამ წელს ფაბრიკას ხელმძღვანელობდა კომუნისტი მიხაელ შაფაქიძე—ძვილი კომკავშირელი, ფაბრიკაში აღზრდილი, რომელიც კარგი მუშაობისათვის ჯერ ცვლის უფროსად და ტექნიკურ ღირექტორად, ხოლო შემდეგ წარმოების ღირექტორად დააწინაურეს. 1931 წელს იგი აირჩიეს პარტიის მახარაძის რაიონმის მეორე მდივნად. ფაბრიკის ღირექტორის პოსტზე იგი შეცვალა ალექსანდრე მგელაძემ, რომელიც საქმის მცოდნე, უნარიანი და კარგი ორგანიზატორი იყო.

1933—1935 წლებში ენერგიული მუშაობით გამოირჩეოდა ფაქტობრივი დირექტორი ივანე მეგრელიშვილი, ვეტერანი კომკავშირელი 1919 წლიდან, კომუნისტური პარტიის წევრი 1926 წლიდან. დირექტორიად დანიშვნამდე მუშაობდა ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი (გარდაიცვალა 1943 წელს). ი. მეგრელიშვილი შეცვალა ონორა დოლიძემ, რომელიც დაზგის მუშიდან დაწინაურდა ჯერ ინსტრუქტორიად, შემდეგ კი ცვლის უფროსად. 1936 წელს იგი ინიშნება მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის დირექტორიად. ამ თანამდებობაზე ო. დოლიძე ენერგიას არ ზოგადა ფაბრიკის კეთილდღეობისათვის. დირექტორიად მუშაობდა 1937 წლის ივლისამდე.

1940—1952 წლებში ფაბრიკის კოლექტივს სათავეში ედგა შალვა ვასაძე — ძველი ბოლშევკი, გამოცდილი საბჭოთა და სამეურნეო მუშავი. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ფაბრიკა სახელმწიფო გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებდა, ხშირად ღებულობდა მთავრობისა და პროფესიული კავშირების ჯილდოებს. 1952—1957 წლებში ფაბრიკას ხელმძღვანელობდა სერგო გრძელიძე, რომელიც იგრძელვა უზრუნველყოფდა საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ფაბრიკას ჰყავდა გამოცდილი პარტიული ხელმძღვანელები, რომელთა ენერგიული მუშაობით კომუნისტების გვერდით შემოკრებილი იყო უპარტიო აქტივისტი მუშები, სპეციალისტები, რომლებმაც სახელოვანი ფურცლები ჩაწერეს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის სტორიაში.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის დაარსებისას პარტიული ორგანიზაციის მდივნად არჩეულ იქნა ძველი ბოლშევკი ბესარიონ რუსიძე. ამ კეთილშობილმა ადამიანმა ენერგია არ დაიშურა ფაბრიკის შემდგომი წინსვლისა და პარტიული კადრების აღზრდისათვის. მომდევნო წლებში ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობდნენ ივანე მშვიდობაძე და აფრასიონ ჭიბუტი, საქმის მცოდნე და უნარიანი მუშაკები, ივანე უჯმაჯურიძე — ყოფილი დაზგის მუშა, სპეტაკი და პრინციპული მუშაკი, რომელიც შემდგომში დაწინაურდა პასუხსავებ პარტიულ სამუშაოზე.

ომის შემდგომ წლებში პარტიული ბიუროს მდივნად მუშაობისას ორგანიზაციული ნიჭითა და საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით გამოირჩეოდნენ მ. ბერიძე — ძაფსალები სამქროს ყო-

ფილი მუშა, ფაზრიკაში აღზრდილი, შემდეგ დააწინაურეს პარტიის  
მახარაძის რაიკომის ინსტრუქტორად; ა. დარჩია — ფაბრიკის შექ-  
ნებლობის ძველი მუშა, შემდეგ ცვლის უფროსი, საამქროს ჭელ-  
მძღვანელი, ტექნიკური დირექტორი და ბოლოს, პარტიული კომი-  
ტეტის მდივანი; თამარ ჩანტლაძე — დაზგის მუშიდან იგი დაწინაურ-  
და პარტიული კომიტეტის მდივანად; ნოე სურგულაძე — ძველი კომ-  
კავშირელი, სპეციალობით ინჟინერი, ენერგიული მუშაკი, წლების  
მანძილზე მუშაობდა პარტიული ბიუროს მდივნად, გარდაცვალა  
1973 წელს; დარია კილურაძე — დაზგის ყოფილი მუშა, ჭერ კომკავ-  
შირის კომიტეტის, შემდეგ კი პარტიული ბიუროს მდივანი, ბოლოს  
მუშაობდა რაიკომპეციურში; დიმიტრი, გოგიძერიძე — ძველი  
კომკავშირელი, სამამულო ომის მონაწილე, კარგი ავტორიტე-  
ტით სარგებლობდა ფაბრიკის კოლექტივში. ამჟამად იგი ნა-  
საკირალის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის, მდი-  
ვანია; სერგო სარიშვილი — ყოფილი დაზგის მუშა, წლების გან-  
მავლობაში იყო ჭერ ცვლისა და საამქროს უფროსი, ფაბრიკის მუშა-  
თა კომიტეტის თავმჯდომარე, შემდეგ კი პარტიული ბიუროს მდივა-  
ნი. ს. სარიშვილი კომკავშირული მოძრაობის ვეტერანთა საბჭოს თავ-  
მჯდომარის მოადგილეა. ასევე ნაყოფიერი იყო სერგო მეგრელიშვი-  
ლის საქმიანობა. დაზგის ყოფილი მუშა, დიდი ხნის მანძილზე მუშა-  
ობდა ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივნად, საფაბრიკო  
კომიტეტის თავმჯდომარედ, პარტიული ბიუროს მდივნად და ფაბრი-  
კის დირექტორის მოადგილედ. 1935 წელს დაამთავრა თბილისის სა-  
ხელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. 1934—1935  
წწ. მუშაობდა მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის საგეგმო განკო-  
ფილების გამგედ. 1935 წელს დაინიშნა ფაბრიკასთან არსებულ მუშ-  
ფაკის დირექტორად, 1937 წლიდან შეთავსებით საფეიქრო ინსტი-  
ტუტის სასწავლო ბუნქტის გამგედ. 1955 წლამდე ემსახურებოდა კა-  
დრების აღზრდას. არის დიდი სამამულო ომის მონაწილე, მიღებული  
აქვს მთავრობის ჯილდოები, აშეამად პენსიონერი.

აბრეშუმის ფაბრიკას არ აყლდა უნარიანი ინჟინერები, 50-იანი  
წლებიდან ფაბრიკის ტექნიკურ მხარეს ხელმძღვანელობდა მთავარი  
ინჟინერი ირაკლი მახარაძე, რომელიც გამოირჩეოდა საქმისადმი სე-  
რიოზული მიღვომით, და ინიციატივით და დასახული ამოცანის შეს-  
რულებისათვის ბრძოლით. მის გარშემო შემოკრებილი იყო ფაბრი-  
კაში აღზრდილი ტექნიკური პერსონალი — ინჟინერები ნ. გირკელიძე,



## საკონტროლო განყოფილება

ბათუსალები სამქრო






ფაბრიკის ინტერნაციონალური კოლექტივის მოწინავე მუშათა ჯგუფი

სახალხო უნივერსიტეტის ლექტორთა ჯგუფი





ნარჩენების სამქრო

ავტომატური სამქრო





აბრეშუმ-შალეულის და სატრიკოტავო მშენებლობის მუშათა პროფესიონალთა ა/კ დამკვრელთა პირველი შეკ-

რება. 6/XI-31 წ.



მოწინავე მუშათა ერთი ჯგუფი ფაბრიკის ეზოში. შუაში ცნეინრები: ქ. დოლიძე, ლ. ბაბაევი და ა. დარჩია



მუშფაკის ერთი გამოშვება

შუაში ლ. ბაბაევი — ფაბრიკის დირექტორი ტექნიკურ ნაწილში, ა. მელაძე — ფაბრიკის დირექტორი, ზ. სი-  
მონიშვილი — კულტურის განყოფილების გამგე, ნ. წეროძე — მუშფაკის დირექტორი, ე. თავართქილაძე —  
ფაბრიკის დირექტორის მთადგილე შრომის დარგში, ი. მეგრელიშვილი — ფაბრიკის პარტმისუროს მდივანი,  
შ. ურუშაძე — ეკონომისტი, ი. უჯმაჯურიძე, დ. ლოლიძე, გ. ქურიძე, ლ. ლომაძე და სხვები



ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკის ბალის პირველი ჭგუფი. 1927 წელი

ფაბრიკის ვეტერანთა ერთო ჭგუფი





ძაფსალები საამქრო

1957 წლის თებერვალის მინიჭებული მუნიციპალური გადამზღვევის შემსრულებელი და

ძაფსალები საამქრო. ი. ყელაურაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა.




ს. ზაქარიაძე, ფ. გვაშალი, ქ. ნიკოლაიშვილი, გ. კახაძე, ვ. ტრაპეთ-ძე, აგრეთვე რ. ყელაურაძე, ნ. ძიძიშვილი, ქ. ვაშალომიძე, მ. პაპკუ-ვა, მ. მალაზონია, მ. გიუტაშვილი, ე. კობალავა, ც. ბაბულეიშვილი, გ. ცერცვაძე, ქ. ჭინჭარაძე და სხვები.

სხვადასხვა დროს საფაბრიკო კომიტეტის ხელმძღვანელობაში მუშაობდნენ ძველი ბოლშევკიები — ქეთევან აბაშიძე და მაკარ ქილიფთარი, ძველი კომკავშირელი არჩილ ცინცაძე, თეოლინა გიორგაძე, ვლადიმერ ლომაძე, შოთა მიმინოშვილი, უმანკო ჭეიშვილი, გიორგი გორგელაძე, ილია დოლიძე (პერსონალური პენსიონერი), ჯარლო აფხაზავა, ალიოშა დარჩია (შემდგომში გაზრდ „ლენინის დროშას“ რედაქტორი), ერმილე დოლიძე, მიხეილ ცეიფურიშვილი, იოსებ გასსულია (შემდგომში გაზრდ „ლენინის დროშას“ პასუხისმგებელი მდივანი, შემდეგ რაიფინგანის განყოფილების გამგე), აპოლონ კვაჭანტირაძე (დილი სამამულო ომის მონაწილე, შემდეგ ფაბრიკის ქლუბის გამგე), ვარლამ ჭანტურიშვილი, რომელიც 1929 წლიდან შუშაობდა ფაბრიკაში ჭერ ტექნიკურ მუშაკად, შემდეგ კი საფინანსო დარგის ხელმძღვანელად, 17 წლი იმუშავა მან საფაბრიკო კომიტეტის თაგმჯდომარედ, კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა საწარმოს მთელ კოლექტივში.

სოციალისტური მშენებლობის წლებში ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდნენ: დავით სურგულაძე — ძველი კომკავშირელი, სამაზრო კომიტეტისა და ფაბრიკის კოლექტივის მიერ კარგი დახასიათებით გაიგზავნა უმაღლეს სასწავლებელში; გრიგოლ დარჩია — დაზგის ყოფილი მუშა, რომელმაც სახელოვანი გზა განვლო, იყო ფაბრიკის 500-კაციანი კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, შემდეგ კი საქართველოს კომკავშირის ლანჩხუთის რაიონმის პირველი მდივანი, კომკავშირის გურიის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. მუშაობდა პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობაზე; გრიგოლ დოლიძე — დაზგის მუშა, სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, უნარიანი და საქმის მცოდნე, უანგარო მუშაკი, ვეტერანი კომკავშირელი, ამჟამად მუშაობს რაიონობკავშირის ხაზით მთისპირში; აკაკი დოლიძე — ფაბრიკის მშენებლობის დაწყებილან მუშა-მშენებელთა კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, დაზგის ყოფილი მუშა, სამქროს ინსტრუქტორი, ცვლის უფროსი, კომკავშირის მახარაძის რაიონმის საორგანიზაციო განყოფილების გამგე. ფაბრიკის კოლექტივის რეკომენდა-  
4. ს. ხინთიძიძე

ციით კაბეჭავნა წითელ დირექტორთა სკოლაში, რომლის დამთვეუ-  
ბის შემდეგ შუშაობდა ფაბრიკაში, ძალასალები საამქროს უფროსად,  
შემდეგ კი ჩაის ფაბრიკის დირექტორად, კოლმეცუნეობის ზავ-  
მჯდომარედ, ქარხნის დირექტორად, ამჟამად მუშაობს ძაბულის  
ხილბოსტნეულის ჩაიონული ორგანიზაციის მმართველის მოადგი-  
ლედ; კარლო აფხაზავა,—ჯერ დაზგის მუშა, შემდეგ ფაბრიკის კომკავ-  
შირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, მახარაძის მტს-ის მუშათა  
კომიტეტის თავმჯდომარე, დამთავრა წითელ დირექტორთა სკოლა.  
მუშაობდა ლანჩხუთის რაიაბრეშუმის ხელმძღვანელად. წლების მან-  
ძილზე ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის „ზაგორტუიგისიროის“  
ტრესტს, იყო საქართველოს ცეკავშირის პასუხისმგებელი მუშაკი,  
გარდაიცვალა 1965 წელს; შალვა ლომაძე დაზგის მუშა, კომკავში-  
რის ბიუროს მდივანი, შემდეგ კი ცვლისა და საგრძეხი საამქროს უფ-  
როსი, საამქროს პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, ვეტერა-  
ნი კომკავშირელი. უკანასკნელ წლებში მუშაობს მახარაძის პურ-  
კომბინატში შრომისა და კადრების განყოფილების გამგედ, ხელმძღ-  
ვანელობს იმავე დაწესებულების ბარტიულ ორგანიზაციას; აკავი ქარ-  
ცივაძე—დაზგის ყოფილი მუშა, უნარიანი ხელმძღვანელი, ფაბრიკის  
კომკავშირული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი, ქტიური და ენერ-  
გიული მუშაკი; ვალერიან შარაშიძე — წლების მანძილზე ხელმძღვა-  
ნელობდა ფაბრიკის კომკავშირულ ორგანიზაციის. ვეტერანი კომკავ-  
შირელი, არის სამამულო ომის ქტიური მონაწილე; პარმენ გოთუა—  
წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფაბრიკისა და მუშაკის კომ-  
კავშირულ ორგანიზაციის, შემდგომში მუშაობდა კომკავშირის მა-  
ხარაძის რაიკომში, ქალაქის ფინგანის გამგედ, რაიშემსალაროს გამ-  
გედ, ნაგომრის სოფლის გამგეობის თავმჯდომარედ, ამჟამად მუშა-  
ობს შემოქმედის სასოფლო გამგეობის თავმჯდომარედ. არის დიდი  
სამამულო ომის ქტიური მონაწილე; ალექსანდრე ქალანდაძე —  
დაზგის ყოფილი მუშა, კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მუშაკის  
დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ფაბრიკისთან არსებულ სა-  
ფეიქრო ინსტიტუტში, მუშაობდა ამავე ფაბრიკასთან არსებულ სა-  
ფაბრიკო-საქარხნო სკოლაში უფროს სსტატიდ, დირექტორის მო-  
ადგილედ, შემდგომში რაიკომპაკავშირის დამზადების კანტორის დი-  
რექტორად, ნახაკირალის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ და  
პარტიორგანიზაციის მდივნად, რაიკავშირის საწარმოების გამგედ და  
სხვადასხვა თანამდებობაზე, არის სამამულო ომის მონაწილე და ომის  
ინვალიდი, მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები; აკავი მიქელა-



შვილი—წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის. ომის გამოცხადებისთანავე წავიდა ფრონტზე და მა- მაცთა სიკვდილით დაეცა სამშობლოს განთავისუფლებისათვის გრძელების გრძელაში,

ფაბრიკის დაარსებიდან სხვადასხვა დროს ტექნიკურ ნაწილში დირექტორებად (მთავარ ინჟინერებად) მუშაობდნენ ლაზარე ბაბაე- ვი, დიმიტრი დოლიძე, ალექსანდრე დარჩია, ილია ბაქრაძე, გიორგი როგავა და სხვ. განსაკუთრებით ალსანიშნავია გიორგი როგავის საქ- მიანობა. 1932 წელს იგი კომკავშირული საგზურით გაიგზავნა აბრე- შუმის ფაბრიკაში, სადაც განვლო საინტერესო გზა დაზგის მუშიდან მთავარ ინჟინრამდე. 1935 წელს იყო ძაფის ამომღები სამქროს ინ- სტრუქტორი, ხოლო 1937 წლიდან კადრების განყოფილების გამგედ დაწინაურეს, სამამულო ომის წლებში ტექნიკური კონტროლის განყოფილების გამგეა, შემდეგ კი დირექტორის მოადგილე. კომკავ- შირელია 1930 წლიდან, კომუნისტური პარტიის წევრი 1938 წლი- დან. სამსახურებრივ მოვალეობის შესრულებასთან ერთად აქტი- ურად მონაწილეობს ფაბრიკის ცხოვრებაში. წლების მანძილზე არ- ჩეული იყო პარტიული ორგანიზაციის მდივნად ჯერ ფაბრიკაში, შემდეგ კი რაისამრეწველო კომბინატსა და მაღაროთა სამართვე- ლოში, იყო საქართველოს კპ(ბ) მახარაძის რაიკომთან არსებული პარტიული კომისიის წევრი. მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები, სიგელები.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის საექსპლუატაციოდ გადაცემი- სას მთავარი ინჟინრის მოვალეობას ასრულებდა სპირიდონ ჩიმახი- ძე, მისივე რეკომენდაციით მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე დანიშნეს თბილისელი სპეციალისტი ლაზარე ბაბაევი. ფაბრიკის პირ- ველი ტექნიკური დირექტორის ლ. ბაბაევის ენერგიული მუშაობით აღიზარდა მრავალი ნიჭიერი სპეციალისტი, რომლებმაც ლირსეუ- ლი წვლილი შეიტანეს ფაბრიკის წარმადობის განვითარებაში. მათ შორის პირველნი იყვნენ ონორა დოლიძე, ელენე თავართქილაძე, სოლომონიძა მენაბდე, ვასილ დოლიძე, ანდრო ლომინაძე, ლუბა შა- რაშიძე, ნინო მახარაძე, შალვა ლომაძე, ვალერიან თუთაიშვილი, თეოლინა მენაბდე, თამარ სიხარულიძე, ეკატერინე ბერძენიშვილი, დარეგან მიქელაიშვილი, ილია დოლიძე, ალექსანდრა და ეთერ ჩანტ- ლაძეები.

უბრალო, მაგრამ შრომითი ენთუზიაზმით აღსავსეა მუშის ეთერ

ჩანტლაძის განცლილი გზა. დაიბადა 1914 წელს ჩოხატაურის ოა-  
 იონის სოფელ ერეთში, მრავალშველიანი გლეხის ოჯახში. სწავლო-  
 ბდა სოფლის სკოლაში. შვიდი კლასის დამთავრების შემდეგ შევიდა  
 კომპავშირის რიგებში, მამამ ეს გაიგო, განრისხდა და სკოლაში არ  
 გაუშვა. იგი ოჯახიდან გაიქცა და მუშაობა დაიწყო აბრეშუმის ფაბ-  
 რიკაში. 1928 წლიდან მუშაობდა პარკის ამომხვევად დაზღაზე, მძიმე  
 იყო შრომის პირობები, არ იყო ვენტილაცია, ორთქლი აძნელებდა  
 სუნთქვას. დიდი გაჭირვება იყო სამრეწველო საქონელზე, ჩითის  
 ქსოვილებსა და ფეხსაცმელებს ანაწილებდნენ ფაბრიკაში. პურს ბა-  
 რათებით უნაწილებდნენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებუ-  
 ლი მუშები ჯილდოს სახით ხშირად იღებდნენ ჩითის საკაბეს, გიტა-  
 რას, საკერავ მანქანასა და სხვა ნივთებს. ამ დროს დირექტორი იყო  
 ილარიონ კალანდაძე. დაზგის მუშებს ურიგებდნენ ათი კაბიკის პურს.  
 ასეთ მძიმე პირობებში ფაბრიკის მთავარი ინუინერი ლ. ბაბავი მთე-  
 ლი გატაცებით ასწავლიდა პარკის დამუშავების ტექნოლოგიას.  
 ცვლის უფროსი იყო ელექტ თავართქმილაძე. რომლის მეთვალყურე-  
 ბით ე. ჩანტლაძე ჩამოყალიბდა როგორც მუშა, მანვე გადასცა ჩან-  
 ტლაძეს პირველი ჯილდო, რომელიც კარგი და ნაყოფიერი მუშაო-  
 ბისათვის დააჯილდოვა კომკავშირის მახარაძის რაიკომა. ე. ჩანტ-  
 ლაძე კომკავშირელი გახდა 1927 წელს, პარტიის წევრია 1932 წლი-  
 დან. მუყაითი შრომით დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობ-  
 და მშრომელთა ფართო მასებში. დიდი სამამულო ომის დამთავრე-  
 ბის შემდეგ ეთერი ერთხანს საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში მუშა-  
 ობდა, ხოლო შემდეგ კვლავ ფაბრიკას დაუბრუნდა და ხელმძღვანე-  
 ლობდა კომუნისტური შრომის ახალგაზრდულ ბრიგადას, რომლის  
 პროდუქცია მომხმარებელში დიდი მოწონებით სარგებლობდა.

## მახარაძის აგრეშურის ფაზიკა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პერიოდი

ა) აგრეშურის ფაზიკა უპილესი

50-იანი წლების დამლევსა და 60-იანი წლების დასაწყისში საბ-  
 ჭოთა კავშირის ისტორიაში დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი,  
 დადგა მომწიფებული სოციალიზმის პერიოდი. თვისებრივად გაიზარ-  
 52

და წარმოების მასშტაბები, შეიქმნა საერთო-სახალხო სახელმწიფო, არსებითად ამაღლდა საბჭოთა მუშათა კლასის, კოლეგიურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების დონე, კომუნიზმის მშენებლობის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა გადაწყვეტა ახალი ისტორიული ერთობის—საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი შრომისა და ბრძოლის უშუალო პლაცდარმი გახდა, მთელი ჩვენი ქვეყნისა და მათ შორის საბჭოთა საქართველოს შრომითი კოლექტივების წინაშე წარმოების შემდგომი განვითარების დიდად პასუხსაგები ამოცანები დადგა.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის შრომითი კოლექტივი საწარმოო-საფინანსო გეგმებს გადაჭარბებით ასრულებდა და რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის პარტნერებს შორის კვლავ მოწინავეთა რიგებში იდგა. 1958 წელს ფაბრიკის დირექტორად საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიონში დაინიშნა დიმიტრი ჭეიშვილი — გამოცდილი სამეურნეო მუშაკი, კარგი ორგანიზატორი, დიდი სამამულო ომის მონაწილე, სოციალისტური შრომის გმირი. იგი ფაბრიკას ხელმძღვანელობდა 1968 წლამდე. იმავე ათწლეულში დირექტორის მოადგილედ მუშაობდა მთავარი ინჟინერი ირაკლი მახარაძე, პარტიული ორგანიზაციის მდივნად ე. ლლონტი, ა. მიმინოშვილი, დ. გოგიბერიძე; კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი იყონ. გ. გოგუაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე — ფ. ცევიტინძე, საგეგმო განყოფილების ხელმძღვანელები — გ. დობორჯგინიძე, ნ. ძიძიშვილი, საბუღალტრო ორგანიზაციისა — მ. რუსიეშვილი, რ. მამალაძე.

წარმოების გულისხმიერი ხელმძღვანელობის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა. 1959 წელს ნაგრეხი ძაფის გამოშვება 1927 წელთან შედარებით ათჯერ და უფრო მეტად გადიდდა. კომუნიზმის უშუალო მშენებლობის დაწყებისათვის ფაბრიკა თვენახევარში უშვებდა იმდენ პროდუქციას, რამდენსაც იგი ამზადებდა მთელი 1927 წლის მანძილზე. გაფართოვდა საგრეხი საამქრო, მოძველებული დაზგების ნაცვლად დაიდგა ავტომატური ძაფსაღები მანქანები. 1961 წლიდან ექსპლუატაციაში შევიდა აბრეშუმის საქსოვი საამქრო. 1965 წელს ფაბრიკის მიერ დამზადებული პროდუქციის რაოდენობრივი მაჩვენებელი 1958 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა. 1940—1959 წლებში აბრე-

შუმის ფაბრიკის საერთო პროდუქციის მოცულობა 31 ათას მანერით გადიდდა და მიაღწია 55 ათას მანერის. ნატურალური პროდუქციის მიხედვით ხამი აბრეშუმის ძაფი 49,4 ტონიდან, ხოლო ნატურების აბრეშუმისა — 32,5 ტონიდან შესაბამისად გაიზარდა 81,9 ათას მდე. მუშათა კონტინენტი იმავე პერიოდში 678-დან გადიდდა 912-მდე. 1961 წელს აბრეშუმის ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შეასრულა 129,9 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 10,4 პროცენტით, პროდუქციის თვითლირებულება შემცირდა ერთი პროცენტით<sup>1</sup>.

აბრეშუმის ფაბრიკის შრომითმა კოლექტივებმა მიიღოს გადაწყვეტილება შვიდწლიანი გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების შესახებ. მშრომელთა სიტყვა საქმედ იქცა. ჯერ კიდევ 1959—1960 წლებში ზეგეგმური მოგებით ფაბრიკამ შვიდწლედის ფონდში შეიტანა 2 მილიონზე მეტი მანერი. ბევრი კომუნისტური შრომის დამკვრელი გახდა. ყოველთვიურ გეგმებს 120—130 პროცენტით ასრულებდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატითი ლამარა კალანდაძე; ბრიგადებმა, რომლებსაც ი. ყელაურაძე და ე. ჩანტლაძე ხელმძღვანელობდნენ, დაიმსახურეს კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელი<sup>2</sup>. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწიეს კომუნისტური შრომის იმ უბანზე, რომელსაც დ. სვანიძე ხელმძღვანელობდა, აგრეთვე კომუნისტური შრომის ბრიგადაში, რომელსაც ქვეოსტატი ე. ჩანტლაძე თავიცობდა. ცნობილი ნოვატორის ვ. გაგანვას მეთოდით მუშაობდა ქვეოსტატ ვ. ცერცვაძის ბრიგადა, რომელმაც 1961 წლის საწარმოო დავალებანი შეასრულა 106,8 პროცენტით, ძაფის ხარისხის მაჩვენებელი აამაღლა 8,3 პროცენტით.

ძაფის გადამხვევი ოსტატი ლამარა კალანდაძე პროფესიის საუკეთესოდ დაუფლების შედეგად მომსახურეობას უწევდა 100 ჯარას, მაშინ როდესაც ნორმად დაწესებული იყო 65 ჯარა. კარგი შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს აგრეთვე ძაფის ამომხვევებმა ლ. იზოტოვიმ, თ. მუჭირმა და ძაფის გამკინძავებაც. ბაბულეიშვილმა, რომლებმაც გადაჭარბებით გაანალდეს გეგმა-ვალდებულებანი.

1957—1964 წლებში მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკა იტალიასა

<sup>1</sup> 3. ოთხადე, აღმაღლობის გზით. ობ., 1963, გვ. 41.

<sup>2</sup> 3. ოთხადე, მახარაძის რაიონი შვიდწლედში. ობ., 1961, გვ. 79—80.

და იაპონიაში გზავნიდა ჩვეულებრივი № 429 ხამი აბრეშუმის ძაფს, რომელიც თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით იდგა მსოფლიო სტანდარტის დონეზე. მომდევნო წლებში ფაბრიკას მიეცა განსაკუთრებული დავალება — შეეცვალა იაპონიიდან შემოზიდული უმაღლესი სარისხის სპეციალურების სხვადასხვა ასორტიმენტის აბრეშუმის ძაფი და ეფუძნებინა მისი გამოშვება აღგილობრივი ნედლეულის ბაზაზე, ფაბრიკის დირექციამ და მოელმა კოლექტივმა ღირსეულად გაართვეს თავი ამ როულ და მეტად პასუხსაგებ სამუშაოს და წარმატებით აითვისეს სპეციალურების პროდუქციის ასორტიმენტის წარმოება.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის ძაფსაღები წარმოება საბჭოთა კავშირის საფეიქრო მრეწველობის შესაბამისი პროდუქციის საერთო რაოდენობაში ორ პროცენტს შეადგენს. გამოშვებული პროდუქციის ხარისხი სავსებით პასუხობს მასზე წაყენებულ მოთხოვნას, რასაც ადასტურებს ისიც; რომ ფაბრიკას ამ ხნის მანძილზე არ ქონია არც ერთი, რეკლამაცია.

ფაბრიკა თავისი პროდუქციით მარაგებს მოსკოვის, რახმანვის, კირეაჩის აბრეშუმის, კომბინატებს, პავლოვი-პოსალის საქსოვ-სა და უსტინსკის საგრეხ ფაბრიკებს, უკრაინისა და ბელორუსის საფეიქრო საწარმოებს, თბილისისა და ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებებს. მეორადი დამუშავების პროდუქცია იგზავნება იაპონიაში, იტალიაში, ჩეხოსლოვაკიაში, შვეიცარიასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ყველგან მაღლობის გრძნობით მოიხსენიება მახარაძელი ფეიქრების თავდადებული შრომით შექმნილი პროდუქცია.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის პროდუქცია საჭიროა არა მარტო თხელი, მკვრივი, მსუბუქი ელასტიკური, ლამაზი და გარევნულად ელვარე აბრეშუმის ქსოვილების დასამზადებლად, არამედ იგი ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და ძლიერების განმტკიცების საქმეში ურთულესი სამრეწველო ტექნიკისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრულად და საბოლოოდ გამარჯვებისათვის (1958 წ.) საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში გაერთიანებული იყო შემდეგი მსხვილი საწარმო: მახარაძის, სამტრედიის, წულუკიძის და ოელავის ძაფსაღები ფაბრიკები, ქუთაისის

აბრეშუმის კომპინატი, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა და ერთი საფეიქრო ლაბორატორია!

შევიდწლიანი გეგმის შესაბამისად გათვალისწინებული ცენტრალური მახარაძის ძაფსალებ-საგრეს და თელავის ძაფსალები ფაბრიკუბის გთვართოება, საფეიქრო სამქროების გახსნა, სადაც დაიდგმებოდა ას-ასი დაზგა, რის შედეგადაც ეს ფაბრიკები წლიურად დამატებით გამოიმუშავებდნენ 2,6 მილიონ ტონა ხამი აბრეშუმის ქსოვილს. იზრდებოდა საწარმოთა ძირითადი ფონდების ხარისხს ბრტყელი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, მიმღინარეობდა წარმოების სიმძლავრეთა მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია-განახლება როგორც წულუკიძეში, ისე მახარაძეში. განხორციელდა წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებანი. ყოველივე ეს ხელს უწყობდა შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას და პროდუქციის თვითონირებულების შემცირებას, უზრუნველყოფდა აბრეშუმის მრეწველობის სწრაფ განვითარებას.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის დირექციამ, პარტიულმა, პროფეკუშირულმა და კომუნიკულმა ორგანიზაციებმა მთელ ინუინერტექნიკურ ჟერსონალთან ერთად დიდი მუშაობა გასწიეს 1962 წლის საწარმო-საფინანსო გეგმების შესასრულებლად. საგრძნობლად ამაღლდა პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული მუშაობის დონე, თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობა გაპიროვნებული დავალების შესრულების საქმეში. იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებამ უზრუნველყო მშრომელთა მობილიზაცია-დარაზმვა სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. პროდუქციის გამომუშავების წლიური გეგმა გადაჭარბებით შესრულდა, შემცირდა ნაწარმის თვითონირებულებაც, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვებამ მაღალ ღონებს მიაღწია, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილ იქნა მილიონი მანეთი.

ფართოდ გაიშალა საგამომგონებლო და რაციონალიზატორული მოძრაობა. ვ. გაგანვას პატრიოტული თაოსნობის საპასუხოდ მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მოწინავე მუშებმა იკისრეს გადაჭარბებით შეესრულებინათ ვალდებულებანი და ქმედითი დახმარება გაეწიათ ჩამორჩენილთათვის. აქ განსაკუთრებით გამოირჩეოდა კომუნი-

1 „სსრკ სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—65 წლ. საკონტროლო ციფრები“, თბ., 1959, გვ. 56.

სტური შრომის უბანი (უფროსი დ. სვანიძე), აგრეთვე საგრეხი წარ-  
მოების უბნები (უფროსები ი. მუჯირი და ქ. ვაშალომიძე, ცვლის  
უფროსები ნ. კაზადავევი და მ. დარჩია). მათთან ერთად კარგი მუშა-  
ობით საწარმოს ასეულობით მუშამ ისახელა თავი. მათ შრომის რყვა-  
ნენ ც. ბაბულეიშვილი, ლ. კალანდაძე, ვ. ზახლებნაია, ც. რობაქიძე  
და სხვები.

აწარმოო დავალებების წარმატებით განაღდებაში დიდი როლი  
შეასრულა კარგად გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომლის  
შედეგები სისტემატურად ჯამდებოდა და იხილებოდა მუშა-მოსამსა-  
ხურეთა საერთო კრებებზე. ამ მიღწევებთან ერთად ადგილი ჰქონდა  
ნაკლოვანებებსაც: ჯერ კიდევ არასაქმაოდ იყო გამოყენებული  
წარმოების რეზერვები, მოისუსტებდა შრომის დისციპლინა, ადგი-  
ლი ჰქონდა უმიზეზოდ გაცდენებს, სრულყოფილად არ ეწყობოდა  
მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება-განზოგადება. ფაბრიკის კო-  
მუნისტებისა და მთელი შრომითი კოლექტივის საბრძოლო ამოცანა  
იყო წარმოების ეკონომიკის საკითხების ღრმად შესწავლა და მთელი  
კოლექტივის დარაზმვა 1963 წლის სამეურნეო ამოცანების წარმატე-  
ბით შესრულებისათვის, უწინარეს ყოვლისა შრომის ორგანიზაციის  
შემდგომი გაუმჯობესება, შრომის დისციპლინის განმტკიცება, სამუ-  
შაო დროის რაციონალური გამოყენება, ყოველდღიური გეგმების  
შესრულება.

ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ თავის მუშაობაში სათანა-  
დოდ გაითვალისწინა სკეპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნო-  
ემბრიის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მიიღო დადგენილება პარ-  
ტიული კონტროლის კომისიების მუშაობის გაუმჯობესებისათვის.  
ფაბრიკაში შეიქმნა სახელმწიფო და პარტიული კონტროლის კომი-  
ტეტის ხელშემწყობი ჯგუფი და საგუშავოები. გაიზარდა კომუნისტე-  
ბისა და კომკავშირელების როლი საწარმოს შრომითი კოლექტივის  
ცხოვრებაში. მეტი ყურადღება დაეთმო კომკავშირული და პროფ-  
კავშირული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობას, რის გამოც  
მშრომელთა შორის, ასევე ახალგაზრდობაში უფრო ფართოდ გაი-  
შალა სოციალისტური შეჯიბრება. 1963 წლის მარტო პირველ კვარ-  
ტალში ფაბრიკის კომკავშირის ორგანიზაცია შეიცვალა 28 ახალგაზრდა  
მოწინავე მუშით. პარტიაში შესასკლელად რეკომენდაცია მიეცა  
ცხრა ახალგაზრდას, ხოლო პარტიის წევრობის კანდიდატი ათი ახალ-  
გაზრდა მუშა მიღებულ იქნა საჩტიის რიგებში.

გადაჭირბებით შესრულდა საწარმოო-საფინანსო გეგმაც 1963 წლის მარტო პირველ კვარტალში ფაბრიკის კოლექტივმა გამოუშება 2,3 მილიონი მანეთის საერთო პროდუქცია, აქედან ხუთი აზრუშუმის ძაფი შეადგინდა 20,4 ათას კილოგრამს, სადაც პირველი საწარმოო პროდუქცია პროცენტით აღმატებოდა 68,9 პროცენტს და 3 პროცენტით აღმატებოდა გეგმურ მაჩვენებელს; ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი იყო 16,9 ათასი კგ, აქ პირველი ხარისხისა იყო 93,2 პროცენტი, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 5,6 პროცენტით, პროდუქციის ორალიზაციის გეგმაც გადაჭირბებით შესრულდა.

საწარმოო გეგმის შესრულებაში დიდი დამსახურება მიუძლვით საგრეხი საამქროს მოწინავე მუშაქებს დ. მეგრელიძეს, ნ. კაზადაევასა და მ. დარჩიას. ძაფსალები საამქროდან—დ. სვანიძეს, ი. ყელაურაძესა და უ. ვაშალომიძეს, ბრიგადირებს—მ. ჭავაძურიშვილსა და ლ. ვადაჭირობიას.

მიუხედავად წარმატებებისა, კვლავ შეინიშნებოდა ნაკლოვანებანი, გერ კიდევ ადგილი ჰქონდა მუშათა დენადობას, შრომის დისციპლინის დარღვევის ცალკეულ შემთხვევებს, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებას. ფაბრიკის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაქი არა-საკმარის იბრძოდა ამ ხარვეზების აღსაკვეთად, რიგ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მინდობილი საქმის შესრულებისაღმი უდარდელ და დაუდევარ დამოკიდებულებას, საჭირო იყო ამ ნაკლოვანების გამოსწორება.

60-იან წლების დასაწყისში მთელ ჩვენს ქვეყანაში გაფართოვდა მოძრაობა კომუნისტური შრომის ჩვევების დაუფლებისათვის. ამ მოძრაობაში კვლავ აქტიურად მონაწილეობდა მახარაძეს აბრეშუმის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის შრომითი კოლექტივი, სადაც საპატიო ვახტზე იდგა კომკავშირელი ახალგაზრდობა. 1963 წლისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელი იყო 11 ახალგაზრდა; ხოლო ამ საპატიო წოდებისათვის იბრძოდა 23. განსაკუთრებით სამაგალითო იყო კომუნისტური. შრომის დამკვრელების ნ. ჭოგილიძეს, ი. ჯაშისა და ც. გოგუაძის მუშაობა. ისინი გეგმებს სისტემატურად გადაჭირბებით ასრულებდნენ და მაგალითის მიმცემი იყვნენ სხვა ახალგაზრდა მუშაქებისათვის. ფაბრიკის ახალგაზრდა მუშების დიდი ნაწილი ჩაება კომუნისტური შრომისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში. მათ ძირისრეს გადიდებულ ვალდებულებები და სათანადო წვლილიც შეიტანეს საწარმოო გეგმების შესრულებაში.

1963 წლის დასაწყისისათვის კომუნისტური შროშის ბამეჭროს  
სახელშოდება მიენიჭა აბრეშუმის ფაბრიკის საგრეხ სამქროს, სადაც  
მუშაობდა 200-მდე მუშა, მათ შორის იყო 75 ახალგაზრდა, რომელიც დაუშავდა  
თა უმრავლესობა თავდადებით შრომობდა და ყოფა-ცხოვრებაში იმის გარე მაგალითს გვიჩვენებდა.

კომუნისტური შრომა და სანიმუშო ყოფა-ცხოვრება კომუნისტური საზოგადოების მაღალი თვისებებია. სკეპ ცენტრალურმა კომიტეტმა საბჭოთა ხალხის ყურადღება გაამახვილა კომუნისტური შრომის ჩვევების გამომუშავების, დანერგვისა და შემდგომი გაფართოების საჭიროებაზე. ამ მიზნით 1963 წელს სკეპ ცენტრალურმა კომიტეტმა სრულიად საკავშირო პროფესიონალურთა საბჭოსა და ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად მოსკოვში ჩატარა კომუნისტური შრომის კოლექტივების დამკვრელთა შეკრება. აქ მოწინავე მუშებმა ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებანი. ამ შეკრებამ ხელი შეუწყო კომუნისტური შრომის ჩვევების დაუფლებისათვის წარმოებული მოძრაობის გაფართოებას მთელს ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის შრომითს კოლექტივში. სკეპ XXII. ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის პროცესში კომუნისტური შრომის ჩვევების დამკვიდრებისათვის გაშლილ მოძრაობაში მონაწილეობდა აბრეშუმის ფაბრიკის 600-ზე მეტი მშრომელი, მათ შორის იყო ოთხი ბრიგადა (ბრიგადირები მ. ჭავანტურიშვილი, ზ. ჭანიშვილი, მ. მალაზონია და ნ. მეგრელაძე), ერთი ძაფსალები უბანი (ხელმძღვანელი დ. სვანიძე), ერთი საგრეხი სამქრო (ხელმძღვანელი დ. მეგრელაძე). 86 მოწინავე მუშას მიენიჭა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო სახელი, ხოლო 125 მუშა იბრძოდა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდებისათვის. ამ წოდების მოპოვებისათვის ბრძოლაში ჩაბმული იყვნენ აგრეთვე ძაფსალები უბნის ის მუშები, რომლებსაც ი. ყელაურაძე ხელმძღვანელობდა. ამ უბნის მუშაებთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი საწარმოო-საგეგმო დავალებებს უფრო აღრე ასრულებდნენ, ვიდრე ძაფსალების წარმოების სხვა უბნის მშრომელები.

კომუნისტური შრომის დაუფლებისათვის მოძრაობის გაფართოება იმის მოწმობდა, რომ იქმნებოდა პირობები ახლო მომავალში

შთელი ფაბრიკის ჩასაბმელად კომუნისტური შრომის დაწევრელის კოლექტივის მაღალი წოდებისათვის. ფაბრიკის მუშათა დიდი ნაწილი ჩაბმული იყო ტექნიკურ სწავლებაში, 200-ზე მეტ მუშას ჩაბრებული ჰქონდა ტექნიკური მუშა. პარტიული და კომკაფშირული ტოლიტშველების ქსელში იღეურ-თეორიული ცოდნის დონეს იმაღლებდა 300-მდე კომუნისტი, კომკაფშირელი და უპარტიო აქტივისტი.

აბრეშუმის საწარმოს საფაბრიკო კომიტეტმა დირექციასა და პარტიულ ბიუროსთან ერთად შეაჯამა სოციალისტური შეგიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები და მოწინავეებს გადასცა ფასიანი საჩუქრები, ვიმპელები; მოწყო მოწინავე ადამიანთა ფოტო-გამოფენა. მშრომელთა შორის სისტემატურად ტარდებოდა საუბრები, ლექცია-მოხსენებები, აგიტა-ტორები მუშა-მოსამსახურებს განუმარტავდნენ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში; ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ კადრების შერჩევას, აღზრდასა და დაწინაურებას დიდი მზრუნველობით ეკიდებოდა ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამ კადრების მუშაობასა და უნარზე ბევრად იყო დამოკიდებული სამრეწველო საწარმოების, კერძოდ, აბრეშუმის ფაბრიკის წარმატებები. ყოველივე ეს ხელს უწყობდა აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივის დარაშმებას საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

1963 წლის ნოემბრისათვის მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკაში სულ იყო 1080 მუშა-მოსამსახურე, მათ შორის — 943 მუშა. წარმოებიდან მოუწყვეტლივ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 56 მუშა-მოსამსახურე, საშუალო ტექნიკურ სასწავლებელში — 46. სისტემატურად მიმდინარეობდა ტექნიკური კადრების გადამზადება. აღნიშნულ წელს მომზადდა 358 მუშა-მოსამსახურე. ინუინერ-ტექნიკური პერსონალის უმრავლესობა იმაღლებდა ტექნიკური ცოდნის დონეს და კარგად ესმოდა დაკისრებული მოვალეობა, მათ შორის იყვნენ ფაბრიკის მთავარი ინეინერი ი. მახარაძე, მთავარი მექანიკოსი მ. სურგულაძე, უბნის უფროსი ს. ზაქარიაძე, საგრეხი სამქროს უფროსი დ. მეგრელაძე, ლაბორატორიის გამგე გ. კახაძე, სალბობი განყოფილების უფროსი მ. მეგრელიშვილი და სხვები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენურის გადაწყვეტილებებისა და ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ამო-

კანების განხილვის დროს ფაბრიკის დირექტორი დ. პერებული ვრცლად შეეხო საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გაამახვილა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და ქიმიური პროდუქტებისა და მასალების სახალხო მეურნეობაში ფართოდ გამოყენების პრობლემებზე. ცენტრალური კომიტეტის პლენურმა პარტიის პროგრამის შესაბამისად შეიმუშავა ქიმიური მრეწველობის განვითარების დაჩქარების კონკრეტული ონისძიებანი, მიუთითა მინერალური სასუქების, პლასტიკური და სინთეზური მასალების წარმოების ფართოდ გამოყენების აუცილებლობაზე სახალხო მეურნეობაში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშების პლენურის გადაშეცვლებათა განხორციელება, ამბობდა ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ი. მახარაძე, დიდად შეუშუბდა ხელს ჩვენი ქვეყნის ქიმიზაციის საქმეს, რაც სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების საფუძველია. ქიმიური მრეწველობის ნაწარმს ფაბრიკაში განსაკუთრებით ფართოდ იყენებდა საგრეხი სამქრო. გამოირკვა, რომ კარგი და ეფუძიტიანი მუშაობით ნარჩენების სამქროს პროდუქცია ქიმიური შენაერთების საფუძველზე შეიძლებოდა საბოლოოდ ადგილზე დამუშავებულიყო, რასაც წარმოების პერსპექტივისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეპეშების პლენურის დოკუმენტების შუაზე ფაბრიკის ყველა მშრომელისათვის ნათელი გახდა ქიმიური ინდუსტრიის განვითარების უდიდესი მნიშვნელობა მთელი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის<sup>1</sup>.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივმა გარკვეული წარმატებებით დამთავრა 1964 წელი. საერთო-სასაქონლო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულდა 102.3 პროცენტით, გეგმის ზევით გამოშვებულ იქნა 200 ათასი მანეთის პროდუქცია. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი ეკონომიკა კრეპის გამოშვებაში. ელექტროენერგიისა და სათბობის გამოყენებაში.

ფაბრიკის შრომით კოლექტივში ფართო გამოხმაურება პოვა მოსკოვისა და ლენინგრადის საწარმოთა თაოსნობაშ — „გამოვუწიმსოფლიო სტანდარტიზაციის შესაბამისი პროდუქცია“. ჩვენი ქვე-

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 78, ფურც. 1—63.

ყნის უმსხვილესი სამრეწველო ცენტრების მუშათა კლასის თაოსნობის პასუხად შემდგომ გაფართოვდა სოციალისტური შეჯიბრება, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი საწარმოო გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის საქმეში, გაფართოვდა მისობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ამ საერთო შრომის ფერხულში იყო ჩაბმული მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტივი. მაგრამ პროდუქციის ხარისხი, მიუხედავად მოპოვებული წარმატებებისა, ვერ აკმაყოფილებდა იმ საწარმოების გაზრდილ მოთხოვნებს, რომლებიც პროდუქციას მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკიდან იღებდნენ. ადგილი ჰქონდა ტექნიკოლოგიური რეკიმის დარღვევის ფაქტებს, რაც უმთავრესად საამქროების ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მხრივ სუსტი ხელმძღვანელობისა და კონტროლის შედეგი იყო. ერთგვარად მოდუნდა პასუხისმგებლობა გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე, სათანადო ყურადღება არ ექცევდა ტექნიკური ხელმძღვანელობის შემდგომ გაძლიერებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენურებმა განაზოგადეს ჩევნი ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ჩამორჩენის მიზეზები და დასახეს სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის კონკრეტული ღონისძიებანი. გაძლიერდა მრეწველობისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, თანდათან განხორციელდა მრეწველობის მართვის რეპრგანიზაციის ფართო პროგრამა, მეტი ყურადღება დაეთმო მატერიალური და მორალური სტიმულების შეხამებას და ფართოდ გამოყენებას, მშრომელი მასების შრომითი აქტივობის შემდგომ გაძლიერებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენურმის შედეგების განხილვისას ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ა. მიმინრშვილი თანამშრომელთა ყურადღებას ამახვილებდა ფაბრიკის კოლექტივის რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის დახმარებისა და შეფობის გაწევის აუცილებლობაზე, მიუთითებდა, რომ მარტის პლენურმის გადაწყვეტილების პასუხად მახარაძელი ფეიქრები ვალდებულებას იღებდნენ 1965 წელს მოეკრიფათ 200 ტონა ჩას მწვანე ფოთოლი, მათ შორის 150 ტონა ნასაკირალის ჩას საბჭოთა მეურნეობაში! ფაბრიკის კოლექტივმა გულდასმით იმსჯელა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1965

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 82, ფურც. 1—33.

წლის სექტემბრის პლენუმის შედეგებზე და დასახა ღონისძიებაზე  
საწარმოს მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კრებამ: განიხილა 1965  
წელს სოციალისტური შეკიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრუ-  
ლების შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები. ალინიშნა, რომ  
მიუხედავად მუშაობაში შექმნილი სერიოზული სიძნელეებისა, რაც  
მუშახელის ნაკლებობითაც იყო გამოწვეული, ფაბრიკამ ძირითადად  
უზრუნველყო სამეურნეო წლის. ძირითადი მაჩვენებლების შესრუ-  
ლება. საერთო-სასაქონლო პროდუქციის გამოშვების დავალება: შეს-  
რულდა 105,9 პროცენტით. მოსკოვისა და ლენინგრადის სამრეწ-  
ველო საწარმოთა ზემოაღნიშნული თაოსნობის პასუხად მნიშვნელო-  
ვნად გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მიღწეულ  
იქნა ნედლეულის საგრძნობი ეკონომია, სახელმწიფოს მიეცა 199  
ათასი მანეთის მოგება.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა შეას-  
რულეს შეიღწლედის ამოცანები. თავდადებული შრომით გამოირ-  
ჩეოდნენ ფაბრიკის მოწინავე მუშების მსხალად, გ. მამალაძე, მ. კი-  
ლაძე, ი. გერეკივიანი, ვ. სერდეჩნაია, ა. სიკორსკაია, ფ. მასლენიკოვა,  
ე. ცომაია, ნ. გოუტაშვილი, ო. თომასიანი, ა. კოსტორნოვა, დ. სიხარუ-  
ლიძე, ნ. გოგუაძე, ლ. არაქელიანი, ა. რამიშვილი, მ. ჭანტურიშვილი,  
გ. ცერცვაძე, გ. ქახაძე, ე. დარჩია, ე. სიხარულიძე, ე. ჩხარტიშვილი,  
ჩ. ძველია, ე. მიქელაძე, უ. ორაველიძე, ქ. ლალიძე, ზ. ლომაძე,  
ე. სტურუა, ც. ზაქარიაძე, მ. სარჯველაძე, შ. ლომაძე, ი. სიხარული-  
ძე, ც. ჩავლეიშვილი, ლ. საღრაძე, ა. ელიზბარიანი, ო. სამშური-  
ანი, მ. დარჩია. მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ საბატიო ნიშნის  
ორდენოსანი თ. ქათამიძე, მედალოსანი გ. გაბრელიანი, ნ. კეჭე-  
ყმაძე, ვ. ლევენეცი, თ. ლომინეშვილი და მრავალი სხვა. რომელ-  
თა კეთილსინდისიერი მუშაობით ფაბრიკა გეგმებს გადაჰარბებით  
ასრულებდა და მოწინავეთა რიგებში იდგა.

მიღწევები გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ ვოლუნტარიზმისა  
და სუბიექტივიზმის ერთგვარი გამოვლინების გამო მუშაობაში ადგი-  
ლი არ ჰქონდა არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს, რომელმაც  
შეიღწლედში სერიოზული სიძნელეების წინაშე დაუყენა მთელი  
ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, რამაც გავლენა იქონია მახარაძის აბრე-  
შუმის ფაბრიკის წარმოების შემდგომ განვითარებაზედაც. დაგეგმვის  
საქმეში გაჭიანურებულმა, ზოგჯერ გაუმართლებელმა დავალებებმა,

აბრეშუმის წარმოებაში შექმნეს ეკონომიკურ-ფინანსური გაულვევები და სხვა ხასიათის სიძნელეები. ძაფსაღებ წარმოებაში ადგილი ჰქონდა მუშახელის დენადობას. ნაკლოვანებები იყო მუშამოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფაშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შედეგად ფაბრიკა ვოლუნტარიზმითა და სუბიექტივიზმით შექმნილ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზას დაადგა, აბრეშუმის ფაბრიკასაც შექმნა მუშაობის უფრო ხელსაყრელი პირობები.

### გ) ზაგრიკა მერვე და მეცხრე ხუთწლებების განვილება

სკკპ XXIII ყრილობამ (1966 წლის მარტი) შეაჯამა სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესრულების შედეგები და დასახა მერვე ხუთწლების უმთავრესი ამოცანები. ახალ ხუთწლებმა დიდი ამოცანები დაავისრა სახალხო მეურნეობის წაშუვან დარგს—მრეწველობას შემდგომი განვითარების, კერძოდ აბრეშუმის წარმოების გაფართოების დარგში.

სახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მშრომელები მთელ ქართველ ხალხთან ერთად აღფრთოვანებით შეხვდნენ ყრილობის გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად დადგნენ ყრილობის დიად მიზანდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლის ვახტზე. საბჭოთა საქართველოს ლენინის მეორე ორდენით დაჯილდოებით ფრთაშესხმული მახარაძელი ფეიქრები ახალი ენერგიით ჩაებნენ მერვე ხუთწლების განხორციელებისათვის გაჩაღებულ საკავშირო სოციალისტურ შეჭიბრებაში.

სკკპ XXIII ყრილობის შედეგებისა და აბრეშუმის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის წინშე მდგომი ამოცანების განხილვისას აღინიშნა, რომ მერვე ხუთწლების პირველი წლის ორი კვარტალის დავალებები წარმატებით იქნა შესრულებული. ნაგრეხი ძაფის გამოშვების გეგმა 103,7 პროცენტით შესრულდა, გამომუშავებული პროდუქცია იდგა სახელმწიფო სტანდარტების დონეზე.

მერვე ხუთწლების პირველსავე წლებში შედარებით გაუმჯობესდა პარტიის რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობა ფაბრიკის

პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი რამაც დადგებითი შე-  
დეგები გამოიღო, ამაღლდა პარტიული ორგანიზაციის პოლიტიკური  
და ორგანიზატორული მუშაობის დონე, განხორციელდა სკპ საწესაცელი  
დებო მოთხოვნების შესაბამისი მტკიცე ხელმძღვანელობა, მუშაობის  
პრაქტიკაში თანდათან დაინერგა ცალკეული კომუნისტის ანგარიშის  
მოსმენა პარტიულ კრებებსა და ბიუროს სხდომებზე. მრავალფერო-  
ვანი გახდა იდეოლოგიური მუშაობის ფორმები და მეთოდები, პო-  
ლიტიკური განათლების სკოლების მუშაობა, სადაც გაერთიანებუ-  
ლი იყო ფაბრიკის კომუნისტებისა და კომკავშირელების დიდი უმრა-  
ვლესობა.

სათანადო ყურადღება დაეთმო ბრძოლას პროდუქციის მაღალი  
ხარისხისათვის, ფულადი და სხვა საწარმოო სახსრების მომჭირნეო-  
ბისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის.

ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციაში გაერთიანებული 170-ზე  
მეტი კომუნისტი თანამიმდევრულად ატარებდა ცხოვრებაში ზემდ-  
გომი პარტიული ორგანოების დადგენილებებს, რის შედეგადაც მიღ-  
წეულ იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები როგორც ორგანიზაციულ,  
ისე ფაბრიკის სამეურნეო საქმიანობაში, გაუმჯობესდა კადრებთან  
მუშაობა, მოგვარდა მათი წარმოების გადამწყვეტ უბნებზე სწორად  
განაწილების საქმე. კომუნისტთა დიდი ნაწილი გადამწყვეტ უბნებზე  
მუშაობდა. მაგალითად, ძაფსალების ორივე ცვლაში 40-მდე კომუ-  
ნისტი საქმიანობდა. სკპ რიგებში კომკავშირული ორგანიზაციის  
ბიუროს რეკომენდაციით იღებდნენ მოწინავე ახალგაზრდა მუშებს,  
რომლებიც მაგალითს იძლეოდნენ შრომასა და პირად ცხოვრებაში,  
პარტიული ბიურო ხელმძღვანელობდა და ეხმარებოდა ახალგაზრდა  
მუშებს, რომელთა შორის თავდადებული შრომით გამოირჩეოდნენ  
კომუნისტები ქვეოსტატები ვ. ღლონტი და ა. მამეიშვილი, რგოლის  
ხელმძღვანელები გ. მამალაძე და ლ. ჩხაიძე, კომკავშირელები ნ. გო-  
გუაძე, ა. რამიშვილი, კ. კალანდარიშვილი და სხვები. ახალგაზრდა  
მუშებთან ტარდებოდა ლექცია-საუბრები პარტიისა და ლენინური  
კომკავშირის სახელოვანი ისტორიის ცალკეულ საკითხებზე. ფაბრი-  
კაში მოქმედ სემინარში გაერთიანებული იყო 25 მსმენელი, სამ პო-  
ლიტსკოლაში—125 კაცი<sup>1</sup>.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სამოქმედო პრო-

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ. 85, ფურც. 1—70.

5. გ. ხინთიბიძე

გრამა განდა სკეპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის ბლენუმებისა და პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიონული აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ აბრეშუმის ფაბრიკის პარტიული, პროფკაშირული და კომერციული ორგანიზაციები ფართო მუშაობას ეწეოდნენ დამაშავეობათა წინააღმდეგ; სათანადოდ მუშაობდა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის რაზმეულები, შრომისა და საჭარ-მოო დისციპლინის დამზღვევების ფაქტებს იხილავდნენ ამხანაგური სასამართლოები, ტარდებოდა ლექცია-მოხსენებები სამართალმცოდნეობის აქტუალურ საკითხებზე.

ფაბრიკის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა მნიშვნელოვნად შეუწყვეს ხელი საჭარ-მოში შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შემცირდა არასაპატიო მიზეზებით გაცდენები, სამუშაო დროის უყაირათო გამოყენება, მეტი ყურადღება მიექცა უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვას, ფაბრიკაში დიდი მუშაობა გაიშალა დაგეგმვასა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ მეთოდზე გადასცლასთან დაკავშირებით.

1966 წელს სოციალისტური შეჯიბრით ნაკისრ ვალდებულებათაც ხერა თვის შესრულების შედეგების შემოწმების შემდეგ საფაბრიკო კომიტეტოან არსებულმა მუდმივმომქმედმა საჭარმოო კომისიამ გარდამავალი წითელი ღროშა მიაკუთვნა საგრეხ საამქროს (უფროსი დ. მეგრელაძე), ცვლათა შორის—ძაფსალების წარმოების „ბ“ ცვლას (უფროსი ჟ. ვაშალომიძე), ნედლეულის მაქსიმალური მომჭირნეობისათვის — მ. მალაზონიას, რომელმაც უზრუნველყო 284 კგ პარკის ეკონომია, გ. გოგატაძეს—185 კგ. და გ. კილაძეს—171 კგ.

საუკეთესო ხარისხისათვის გამართულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გარდამავალი ღროშა მიეკუთვნა ა. რამიშვილს—მის გამოშვებულ პროდუქციაში საუკეთესო ხარისხისა იყო 69,9 პროცენტი, ასევე მ. ჭანტურიშვილს — რგოლებს შორის საუკეთესო ხამი ძაფის ამოხვევისათვის, მ. თოიძეს — 80,6 პროცენტი, ა. გრიგორიანს — 75, თ. მელნიკოვას — 73,5, პ. ჩხაიძეს—74,3 პროცენტი და სხვ. საგრეხი საამქროდან გარდამავალი ღროშა მიეკუთვნა თ. ქათამაძეს საუკეთესო საჭარმოო მაჩვენებლების მიღწევისათვის.

დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების ახალ სისტემაზე მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკა 1967 წლის იანვრიდან გადაიდა. საჭარმოში დამყარდა უმქაცრესი დისციპლინა, გუმგობესდა მუშა-

მოსამსახურეთა ეკონომიკური მდგომარეობა, გადიდლა მუშის ხელ-ფასი.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის შრომითმა კოლექტივმა ფარ-  
თოდ აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური ორგოლუციის 50-ე  
წლისთვით. პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ფაბრიკის  
კოლექტივი ჩაეგა მოსკოვის ოლქის უსტინსკის საგრეხი ფაბრიკის  
თანამშრომლებთან სოციალისტურ შეჯიბრებაში დიდი ოქტომბრის  
რევოლუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილის ღირსეულად აღნი-  
შვნისათვის და წარმატებით გაანალიზ საოქტომბრო ვალდებულებანი.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომი პერიოდულად  
იხილავდა აბრეშუმის ფაბრიკის საწარმოო დავალებების შესრულე-  
ბის მიმდინარეობის საკითხებს. რაიკომი ხაზგასმით აღნიშნავდა მა-  
ხარაძელი ფეიქრების წარმატებებს, ამავე დროს მიუთითებდა სასა-  
ქონლო ნაწილის გეგმის შესრულების მოყრძალებულ მაჩვენებლებ-  
ზე. მუშახელის სიმცირეზე, დანადგარების სრულად გამოყენებლო-  
ბაზე. ფაბრიკის პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა პარტიის მახა-  
რაძის რაიკომის 1968 წლის მაისის პლენურმის შედეგები და აბრეშუ-  
მის ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები. მოხსენებით გა-  
მოვიდა რაიკომის მდივანი ნ. მდინარაძე. ფაბრიკის პარტორგანიზა-  
ციის ქრებებზე განხილულ იქნა იგრეთვე საქართველოს კომპარტი-  
ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 14 მაისის დადგენილება რეს-  
პუბლიკაში სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისა  
და გაფლანგვა-დატაცების აღმოფხვრისათვის პარტიული ორგანიზა-  
ციების ამოცანების შესახებ, პარტიის მახარაძის რაიკომის დადგე-  
ნილება „ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს ანგარიშის  
გამო გაწეული მუშაობის შესახებ“<sup>1</sup>.

1968 წლის გეგმა აბრეშუმის ფაბრიკამ ვადამდე გაანალიზ. დი-  
დი გადაჭირებით შესრულდა ხამი აბრეშუმის ძაფის გამო-  
შვების ვალდებულებანიც. კომუნისტური შრომის საგრეხმა სა-  
აბქრომ და, საერთოდ, ფაბრიკის მთელმა კოლექტივმა სათა-  
ნადო ყურადღება დაუთმეს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობე-  
სებასა და თვითონირებულების შემდგომ შემცირებას, ტექნიკურ სი-  
ახლეთა დანერგვას, ხამი აბრეშუმისა და ნაგრეხი ძაფის სასაქონლო  
ნაწილის რაოდენობრივ ზრდას, შრომის დისციპლინის განტკიცებას.

<sup>1</sup> მლისფა, ფ. 8240, საქ, 86, ფურც. 1—30.

სკკპ რიგებში საანგარიშო პერიოდში მიიღეს 18 მოწინავე მუშა, მაგრამ ჯერ კიდევ სუსტი იყო ახალმიღებულებთან მუშაობა. წარმოებაში შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის განვითარების საქმე. ამის გამო ფაბრიკიდან წავიდა 150 მუშა. დღის წესრიგში ისევ დადგა მუშათა სამუშაოზე დამაგრების საკითხი.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის ახალგაზრდობამ მაღალი შრომით მაჩვენებლებით იზეიმა ლენინური კომკავშირის 50 წლისთავი, გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად. მაგრამ შრომითი აღმავლობის პროცესში გამოვლინდა ისიც, რომ ჯერ კიდევ მოისუსტებდა კომკავშირებლებთან აღმზრდელობითი მუშაობა. ფაბრიკის დირექცია, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები ზოგჯერ გვერდს უვლიდნენ ზოგიერთი ახალგაზრდის მიერ შრომისადმი არა-კეთილსინდისერი დამოკიდებულების ფაქტებს და არ ატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს!

ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმული იყო ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, დიდი ყურადღება დაუთმო ბელადის ცხოვრების და მოღვაწეობის მასალების შესწავლას, მოეწყო შესაბამისი სტენდები და ფოტო-გამოფენები, ამაღლდა პოლიტიკური სწავლების დონე, ფაბრიკის ახალგაზრდა კომუნისტებში-ფართოდ გავრცელდა თ. ტულუშის თაოსნობა, საიუბილეო მზადების ღონებში ლენინის თეორიული მემკვიდრეობის სანიმუშოდ შესწავლის შესახებ.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ და რესპუბლიკის პროფსაბჭომ 1969 წლის პირველ ნახევარში სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკა დააგილდოვა გარდამავალი დროშით და პირველი ფულადი პრემიით ფაბრიკის კოლექტივმა დაიმსახურა აგრეთვე სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, საკავშირო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა და პირველი ფულადი პრემია, 1969 წლის მეორე და მესამე კვარტალში საკავშირო-სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

<sup>1</sup> იხ. მლისფპა, ფ. 8240, საქ., 86, ფურც. 31—80.

1969 წლის წლიური და საერთო-სასაქონლო პროდუქციის გა-  
მოშვების გეგმა ფაბრიკაში შეასრულა 11 დეკემბრისათვის და წლის  
ბოლომდე იმუშავა 1970 წლის ანგარიშში. წინა წლებისაგან განსხვავდება  
ვებით ფაბრიკაში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა ხაზი რა-  
ტეშუბის ძაფის ამოდების სახელმწიფო გეგმა, რაც უმთავრესად  
იყო იყო მიღწეული, რომ საგრძნობლად შემცირდა დაზგების გაც-  
დენა და მუშახელის დენადობა, მუშათა საშუალო ხელფასი 110 მა-  
ნეთამდე გადიდა. მშ დროისათვის კომუნისტური შრომის დამკვ-  
რელის საპატიო წოდებას ატარებდა ფაბრიკის ათი რგოლი, ოთხი  
ბრიგადა, საგრეხი საამტრო, ხარჩების ლაბორატორია და დამახარი-  
სხებული განკოფილება. კომუნისტური შრომის დამკვრელის სამ-  
კერდე ნიშანს ატარებდა 285 მუშა-მოსამსახურე.

ფაბრიკის კოლექტივისათვის ნათელი იყო, რომ მოპოვებული  
წარმატებანი ვერ იქნებოდა შენარჩუნებული თუ არ გაიშლებოდა  
ბრძოლა აბრეშუმის პარკის, ხამი აბრეშუმის ძაფის, ელექტროენერ-  
გიის, საწვავისა და. სხვა მასალის ეკონომიკურად მოხმარებისათვის.  
საჭირო იყო სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება, შრომის  
სწორი ორგანიზაცია და დისციპლინის განმტკიცება, წარმოების მა-  
ლალი კულტურისა და ფაბრიკის რიტმული მუშაობის უზრუნველ-  
ყოფა.

დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ნაკისრი ვალდე-  
ბულებებისა და საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შეს-  
რულებისათვის აბრეშუმის ფაბრიკაში მიიღო მაღალი შეფასება და  
მთავრობის ჯილდოები. სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამი-  
ნისტრომ, ჩეგი ქვეყნის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშა-  
კთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა 1970 წლის პირველ  
ნახევარში სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისა-  
თვის აბრეშუმის ფაბრიკის შრომითი კოლექტივი კვლავ დააჭილდოვა  
გარდამავალი დროშით და პირველი ფულადი პრემიით. მაღალი  
საწარმოო და შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხებზე მიძღვ-  
ნილ საკავშირო დათვალიერებაში აქტიური მონაწილეობისათვის და  
ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად 1970 წლის  
მარტში აბრეშუმის ფაბრიკა დაჯილდოვდა სსრ კავშირის მსუბ-  
უქი მრეწველობის სამინისტროს, საკავშირო საფიქრო და მსუბუქი მრე-  
წველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და  
საკავშირო მსუბუქი მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს

საქმიართველოს საპატიო სიგელით. აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთვის დაკავშირებით გაშლილ სოციალისტურ ჟეზიბრებაში მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მიღწევებისათვის სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პროფსაბჭოში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭოში, საბრივა ლენინური საიუბილეო საპატიო სიგელით დააჯილდოს.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა გადაჭირდებით შეასრულა მერვე ხუთწლედით დასახული ამოცანები. ხუთწლედში ფაბრიკის მუშა-მოსამსახურებმა ნაცვლად გეგმით გაოვალისწინებული 35,8 მილიონი მანეთისა, გამოუშვეს 37,7 მილიონი მანეთის პროდუქცია. 1970 წლის სახელმწიფო გეგმა 11 თვეში 107 პროცენტით შესრულდა, დაზოგილ იქნა დიდძალი მატერიალური და ფულადი სახსრები.

სკპ XIV ყრილობამ შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლედის შედეგები და დასახა საბჭოთა ხალხის შემდგომი ეკონომიკური და კულტურული განვითარების გრანდიოზული ამოცანები. მეცხრე ხუთწლედი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, განვითარებული სოციალიზმის შემდგომი სრულყოფის საქმეში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად შემუშავდა საბჭოთა საქართველოს სამეურნეო და კულტურული განვითარების ხუთწლიანი გეგმის ძირითადი მაჩვენებლები. ახალი ხუთწლედი ახალ ამოცანებს აყენებდა საქართველოს საფეიქრო მრეწველობის, მათ შორის მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა წინაშე. ფაბრიკის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკპ XIV ყრილობის დირექტივები ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს ფაბრიკის პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის, პროდუქციის ხარისხის მაღლებისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობის შესახებ.

მეცხრე ხუთწლედში ფაბრიკაში დამკვიდრდა წარმოების ახლებურად მართვა-დაგეგმვისა და მატერიალური სტიმულირების სისტემა. საგრძნობლად ამაღლდა წარმოების კულტურა, გამოშვებული პროდუქციის ხარისხმა მიაღწია მსოფლიო სტანდარტის დონეს. ათ-

ვისებულ იქნა ახალი ასორტიმენტის პროდუქციის წარმოება, მეტა-  
ყურადღება დაეთმო მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, ტექნი-  
კური პროგრესის განხორციელებას. განმტკიცდა მუშა-მოსამსახურის უძრა-  
თა შრომისა და მატერიალური ცხოვრების პირობები. მიუხედვება ამისა,  
ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა შრომატევად სამუშაოთა შედარებით.  
დაბალი დონე, მეტი გულისხმიერება იყო საჭირო მშრომელთა ინ-  
ტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის, შრომის დისკიპლინის  
შემდგომი განმტკიცებისა და მუშათა დენადობის შეწყვეტისათვის.

აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ განიხილა  
სკკპ XXIV ყრილობის შედეგები და ფაბრიკის მწარმოებლურობის  
შემდგომი განვითარების ამოცანები. გამოირკვა, რომ მეცხრე ხუთ-  
წლედის პირველ ნახევაზში სასაქონლო პროდუქციის გეგმა ფაბრი-  
კამ შეასრულა 107,7, ხოლო პროდუქციის რეალიზაციისა — 110,7  
პროცენტით. მუშის საშუალო თვიურმა გამომუშავებამ მიაღწია 123  
მანეთს<sup>1</sup>. ფაბრიკის შრომითი კოლექტივი ახალი ძალით ჩაება სრუ-  
ლიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაიშალ-  
სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთვის აღსანიშნავად.

მაგრამ ჩვენი მუშათა კლასის შრომითს და პოლიტიკურ აქტი-  
ვობას გარკვეულ ზიანს აყენებდა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივი-  
ზმის გამოვლინებანი, რასაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკის ცხოვრე-  
ბაში. მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობისადმი პარტიუ-  
ლი ხელმძღვანელობის შესუსტება რესპუბლიკის ეკონომიკის განვი-  
თარების დაბალი ტემპები საერთო-საკავშირო დონესთან შედარებით  
და სხვა ნეგატიური მოვლენები ამძიმებდა საზოგადოებრივ-მორა-  
ლურ კლიმატს, რომლის გაჯანსაღებისათვის აუცილებელი იყო შე-  
საბამის ღონისძიებათა განხორციელება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გააანალიზა თბილისის, არსები-  
თად კი მთელი საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში  
არსებული ნაკლოვანებანი და 1972 წლის 22 თებერვალს მიიღო დად-  
გენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატო-  
რული და პოლიტიკური მუშაობის შესხებ. ეს დადგენილება უმნი-  
შვნელოვანები ნიშანსვეტი გახდა საქართველოს პარტიული ორგანი-  
ზაციისა და რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრებაში. საქართველოს  
კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ

1 ახ. მლისფბა, ფ. 8240, საქ. 91, ფურც. 1—70.

ჭეშოალნიშნული დადგენილების შესაბამისად, დასახა რესტორანის  
ეკონომიკური ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისა და საზოგადოებრივ-  
მორალური კლიმატის გაუმჯობესების კონკრეტული რაოდნებიდან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1972  
წლის ნოემბრისა და შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებები სა-  
ფუძვლად დაედო რესპუბლიკის ყველა საწარმო-დაწესებულების,  
მათ შორის მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პარ-  
ტიული, პროფესიურული და კომეკაშირული ორგანიზაციების მუშა-  
ობას მეცხრე ხუთწლედის დავალებათა გადაჭარბებით შესრულები-  
სათვის ბრძოლაში. სათანადო ყურადღება დაეთმო აგრეთვე მშრო-  
მელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეს. 1972 წელს გრიბო-  
ედოვის ქუჩაზე აშენდა ხუთსართულიანი საცხოვრებელი ბინა, გაუმ-  
ჯობესდა მუშათა სასადილოს მუშაობა, გაიზარდა მუშის საშუალო  
ხელფასი. მაგალითად, თუ 1966 წელს ერთი მუშის საშუალო თვიუ-  
რი ხელფასი შეადგნელა 82,67 მანეთს, 1970 წელს იგი 119,81 მანე-  
თამდე, ხოლო მეცხრე ხუთწლედის დასასრულს 136,9 მანეთამდე  
გადიდდა, ე. ი. მუშათა ხელფასი აღნიშნულ პერიოდში 65,5 პრო-  
ცენტით გაიზარდა.

ფაბრიკის დირექტია და პარტიული ორგანიზაცია სამეურნეო  
საქმიანობის უკეთ წარმართვის მიზნით ფართოდ ნერგავდა მუშაო-  
ბის მოწინავე ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც აჩქარებდნენ  
წარმოების განვითარების ტემპებს, ხელს უწყობდნენ ხუთწლედის  
ვალდებულებათა შესრულებას. ფაბრიკის შრომითი კოლექტივი  
მთელი მონდომებით, პასუხისმგებლობითა და შემართებით მუშა-  
ობდა, რათა ღირსეული წვლილი შეეტანა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკი-  
სა და კულტურის აღმავლობის, ხალხის მატერიალური კეთილდღეო-  
ბის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში.

მეცხრე ხუთწლედის მანძილზე აბრეშუმის ფაბრიკაში წარმოე-  
ბის ზრდის საშუალო ტემპმა 13 პროცენტს მიაღწია. მნიშვნელოვ-  
ნად განვითარდა და სტაბილური გახდა ძირითადი პროდუქციისა და  
ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, შესრულდა სამრეწველო  
საწარმოს სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის, საერთო პროდუ-  
ქციისა და ნატურალური პროდუქციის გამოშვების გეგმები. 1973  
წელს ფაბრიკამ გამოუშვა 74 ტონა ხამი აბრეშუმის ძაფი, სამრეწვე-  
ლო პერსონალის რაოდენობა აღწევდა 920 კაცს.

შეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელს ფაბრიკის ძაფსაღები  
 წარმოების დამხმარე საამქროებსა და განყოფილებაში შედიოდა  
 პარკის დამახარისხებელი საამქრო, საკონტროლო განყოფილება, სა-  
 წარმოო ლაბორატორია, სასაწყობო მეურნეობა ხმელი პარკისათვის;  
 საგრეხი საამქროს საწარმოო განყოფილებაში — სათბობი განყო-  
 ფილება, მზა პროდუქციის საწყობი, ფაბრიკის დამხმარე საწარმოო  
 განყოფილებებში — საქვაბე განყოფილება, ელექტროენერგიის  
 ქვესადგური, მექანიკური განყოფილება, სადურგლო, სახარატო და  
 სხვ. ფაბრიკას ემსახურებოდა 350 ადგილიანი კლუბი, 250 ადგილი-  
 ანი სასადილო, საწარმოს ტერიტორიაზე გაშენებულია კეთილმოწ-  
 ყობილი ბალი, ფაბრიკაში დადგმულია სატელეფონო კომუტატორი,  
 ფაბრიკის საამქროები, განყოფილებები და ტერიტორია რადიოფი-  
 ცირებულია. ფაბრიკაში სულ დასაქმებული იყო 920 თანამშრომელი,  
 მათ შორის იყო 800 მუშა.

ცალკეულ საამქროებში მუშახელი ასე იყო განაწილებული: ძაფ-  
 საღებ საამქროში—490 მუშა, ძაფსაღების ავტომატურ უბანზე—60,  
 საგრეხ საამქროში—105, დამახარისხებელ საამქროში—50, ნარჩენე-  
 ბის უბანში—15, საქვაბე განყოფილებაში—14, ელექტრომეურნე-  
 ობაში—6, მექანიკურ სახელოსნოში—27, ლაბორატორიაში—17, ინ-  
 ჟინერ-ტექნიკური პერსონალი — 27, მოსამსახურები — 26, ბავშვ-  
 თა ბალში—36, ბავშვთა ბაგაში—31 მუშა. მათ შორის მამაკაცი იყო  
 14,9 პროცენტი, ქალი—85,1 პროცენტი. მუშა-მოსამსახურეთა შო-  
 რის უმაღლესი განათლება პქონდა 16 კაცს, საშუალო სპეციალური—  
 36, პროფესიულ-ტექნიკური—35, საშუალო განათლება—310, არა-  
 სრული საშუალო განათლება—443 კაცს. მუშათა კონტინგენტიდან  
 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა შეიდი ახალგაზრდა, ზოგად-  
 საგანმანათლებლო საშუალო სკოლაში—25 მოსწავლე. მოხუცებუ-  
 ლობით პენსიაში გასული კვლავ მუშაობდა 72, შრომისა და ომის ინ-  
 გალიდი პენსიონერი იყო 18 კაცი. 29 წლის ასაკამდე ახალგაზრდა  
 იყო 204.

ფაბრიკაში ეროვნების მიხედვით მუშაობდნენ: ქართველი ქა-  
 ლი—397 (50,4 პროცენტი), კაცი—101 (74,0), რუსი ქალი—186  
 (27,7), კაცი—14 (10,5), სომეხი ქალი—176 (22,4), კაცი 17(12, 7),  
 უკრაინელი ქალი—16 (2,0), კაცი 1(0,6), სხვა ეროვნების ქალი 12  
 (1,5), კაცი—3(2,2), სულ ქალი—787, კაცი—136.

ფაბრიკაში ყოველდღიურად მუშაობდა ორი ცვლა, ცვლის მუშაობის ხანგრძლიობა შვილი საათი. მუშაობის დაწყების დრომ დილის 6 საათი, სამუშაოს დამთავრებისა—საღამოს 22 ჭავთზე და 45 წუთი. შესვენების დრო ცვლაში შეადგენდა 45 წუთ.

ფაბრიკა მუშაობდა ქვანახშირის საწვავზე.

მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში ფაბრიკის ძაფსაღები საამქრო. მუშაობდა მსოფლიო სტანდარტის დონის ხაში აბრეშუმის ძაფის გამოშვებაზე, ხოლო საგრეხი საამქრო №№ 429/4, 429/5 და 643/2 ნაგრეხი ძაფის გამოშვებაზე.

ფაბრიკაში სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული იყო 850-ზე მეტი მუშა-მოსამსახურე, მათ შორის, 22 მუშა მზია არათანაშვილის მიმდევარია საგრეხ და საკონტროლო განყოფილებებში. ძაფსაღები წარმოების 25 მუშა სმირნვას თაოსნობის მიმდევარია. ფაბრიკის საპატიო წიგნში შეტანილია 32 მუშა, საპატიო დაფაზე—35, ხაგრეხი სი საამქრო ატარებს კომუნისტური შრომის საამქროს სახელწოდებას. ძაფსაღებ საამქროში კომუნისტური შრომის სახელწოდება მინიჭებული აქვს ოთხ ბრიგადასა და ექვს რგოლს. კომუნისტური შრომის დამკვრელის სახელწოდება—222 მუშას. ფაბრიკაში მუშაობს შრომის 16 ვეტერანი, რომელთა უწყვეტი საწარმოო სტაჟი აღემატება 30 წელს. მათი დამსახურება შშობლიური კოლექტივის წინაშე აღნიშნულია ორდენებითა და მედლებით.

საწარმოში ძირითადი პროფესიებია: ძაფსაღებ საამქროში—პარკის მხევეველი, პარკის მხარშველი, ძაფის გამკინდველი, შულოს მკერავი, პარკის გამხარისხებელი, მეავტომატე, მიმწოდებელი; საგრეხ საამქროში— გადამხვევი, მაორფებელი, მგრეხავი, კრეპის გადამხვევი, შულოს მჩიჩნავი.

ინტერესს მოქლებული არ იქნება მოვიყვანოთ მონაცემები მუშის საშუალო თვიური გამომუშავებისა ცალქეული პროფესიების მიხედვით: ძაფსაღებ საამქროში პარკის მხევეველის გამომუშავებული ხელფასი თვეში შეადგენს—134 მანეთს, პარკის მხარშველის—133, ძაფის გამკინდველის—132, შულოს მკერავის—98, პარკის გამხარისხებლის—97, მეავტომატის—135, პარკის მიმწოდებლის—120, პარკის მხარშველისა—132 მანეთს; საგრეხ საამქროში—ძაფის გადამხვევის შრომითი ანაზღაურება აღწევს 122 მანეთს, მაორფებელის—118,

შგრეხავის—125, კრეპის გადამხვევის—124, შულოს მჩიჩქნავისა—98  
მანეთს; დაწყებითი მოწაფის საშუალო გამომუშავება ძაფსაღებსა და  
საგრეხ საამქროებში შეაღენს 60—70 მანეთს.

მუშათა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას ემსატრუნებული  
ბა ლექტორთა ჯგუფი, რომელშიც გაქტონებულია 12 ინჟინერ-ტექ-  
ნიკური მუშაქი. გადამზადებული და კვალიფიცირებული მუშები-  
სათვის შექმნილია თანრიგების მინიჭებისა და გამოცდების ჩამტა-  
რებელი საკვალიფიკაციო შვილგაციანი კომისია, სასწავლო-მეთოდუ-  
რი საბჭო—რვა კაცის შემაღებლობით.

უაბრიკის საამქროების მიხედვით გამოყოფილი კვალიფიციური  
მუშები ახლადმიღებულ მუშებს გადასცემენ მუშაობის მოწინავე  
მეთოდების დაუფლების ხელოვნებას. მიმაგრების ხანგრძლივობა  
ძაფსაღებ საამქროში შეადგენს არანაკლებ 2 თვეს, საგრეხ საამქ-  
როში—3, დანარჩენ დამხმარე საამქროებში — 2 თვეს.

მუშა მის მიერ არჩეულ პროფესიას ეუფლება ინდივიდუალური  
წესით, შრომითი ხელშექრულების გაფორმების საფუძველზე. გან-  
საზღვრული ვადის გავლის შემდეგ პროფესიის ათვისების დონეს  
ამოწმებს საკვალიფიკაციო კომისია, ფორმდება სათანადო აქტი, იწე-  
რება ბრძანება ახალმიღებულის მუშათა შემადგენლობაში ჩასრიც-  
ხავად. ფაბრიკის განყოფილებებში მუშა შეიძლება დაუუფლოს პარ-  
კის ამოხვევის, პარკის მხარშველის, ძაფის გამკინდველის, პარკის  
დამხარისხებლის, ძაფის გადამხვევის, მგრეხავისა და სხვა პროფე-  
სიან.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მუშას პროფესიის დაუფლები-  
სათვის სწავლის პირველ თვეში ეძლევა 40 მანეთი და მის მიერ გა-  
მომუშავებული პროდუქციის ღირებულების 100 პროცენტი, მეორე  
თვეში კი 40 მანეთი და გამომუშავებული პროდუქციის ღირებულე-  
ბის 75 პროცენტი.

წარმოების ეფექტიანობის ზრდის რეზერვებს, როგორც ცნობი-  
ლია, გამოავლენს და უნარიანად გამოიყენებს უწინარეს ყოვლისა ის  
მუშა-მოსამსახურე, რომელიც კარგად ერკვევა ეკონომიკის საკით-  
ხებში, პარტიის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, კოლექტივის  
წინაშე დაყენებულ კონკრეტულ ამოცანებში. ამ მიზნით ფაბრიკის  
დირექტორი და პარტიული კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას  
უთმობს მუშა-მოსამსახურეთა ეკონომიკური. განათლების, კომუნის-  
ტური შრომის სკოლების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების კურ-

სებისა და გვიფების მუშაობას. მეცხრე ხუთწლედის დასასრულს ფაბრიკაში 14 ეროვნების მშრომელი დიდი წარმატებით მონაწილეობდა საწარმოო გეგმებისა და სოციალისტური შეჯიბრებისთვის ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში.

აბრეშუმის ფაბრიკის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული და კომერციული ორგანიზაციები ერთობლივ ღონისძიებებს ატარებდნენ მრავალეროვანი საწარმოს კოლექტივის შეკავშირებისათვის, სწორედ ამიტომაა, რომ სხვადასხვა ეროვნების მუშა ფაბრიკაში თავს ისე გრძნობს, როგორც მშობლიურ მხარეში, საკუთარ ოჯახში. ქართველი ციცინონ ბაბულებიშვილი, სომეხი ლუბა ამირხანიანი, უკრაინელი ანასტასია შაპრანი, ბელორუსი ესენია კარპენკო, აზერბაიჯანელი შუშა გუსეინოვა, უზბეკი პოლინა კისიდი და სხვები, როგორც ერთი ოჯახის წევრები, ერთსულოვნად იბრძვიან ფაბრიკის საერთო წარმატებების მოსაპოვებლად.

სოციალისტური შე, იბრება და მშრომელი მასების აქტივობა გახდა იმ დიდი წარმატებების საფუძველი, რომელსაც ფაბრიკამ მიაღწია მეცხრე ხუთწლედის უკანასკნელ წლებში. დღეს ფაბრიკაში არ მოიპოვება ისეთი საამქრო, ცვლა და უბანი, რომელსაც არ ჰყავდეს შრომის მოწინავენი, თავიანთი საქმეებით რომ ადიდებენ და ასახელებენ მშობლიურ კოლექტივს. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მუშათა მასების შემოქმედებითი აქტივობის ზრდა აბრეშუმის ფაბრიკის შემდგომი წინსვლა-განვითარების წყაროა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა პასუხად მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის არც ერთ მუშა-მოსამსახურეს არ სურს შეურიგდეს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, იგი ყოველთვის მზადაა გეგმა-ვალდებულებების გადაჭრაბებით შესრულებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება აძლევს მშრომელის საქმიანობას მეტ სიცოცხლესა და შინაარსს, მჩქეფარებასა და ხალისს, უნარსა და ლაზათს.

სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობასა და ქმედითობას დიდად ამაღლებს შრომით პაექტონბაში გამარჯვებულთა მატერიალური და მორალური წახალისება. შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოების, ბრიგადებისა და ცალკეული მუშებისათვის აბრეშუმის ფაბრიკის დირექციის და საფაბრიკო კომიტეტს დაწესებული აქვთ გარდამავალი დროშები, სიგელები და ფულადი პრემიები, რომელთა გადაცემა ხდება საზეიმო ვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნა-  
ვად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული მაღალად და  
მაჩვენებლებისათვის 1971 წელს აბრეშუმის ფაბრიკის კოლექტური კომიტეტის,  
დაგილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის,  
საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მი-  
ნისტრთა საბჭოსა და პროფესიონალური საბჭოს საიუ-  
შილები საპარტიო სიგელით, ხოლო საქართველოში საბჭოთა ხელისუ-  
ფლების გამარჯვებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის  
შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით 1972 წელს პარტიის მახარა-  
ძის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომისა და პროფესიონალური რაიონუ-  
ლი საბჭოს სამახსოვრო დროშით. სსრ კავშირის შექმნის 50 წლის-  
თავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში მაღალი  
მაჩვენებლების მიღწევისათვის იმავე წელს ფაბრიკას გადაეცა სა-  
ქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს  
უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა  
და პროფესიონალური რესპუბლიკური საბჭოს საიუბილეო სიგელი.

შრომის მაღალი კულტურისა და მუშა-მოსამსახურეთა შემოქ-  
მედებითი ოქტომბრის გამოსახულებაა გამომგონებელთა და რაციო-  
ნალიზატორთა მოძრაობის გაფართოება. ხუთწლედში ფაბრიკაში გა-  
თვალისწინებული იყო 56 რაციონალიზატორული წინადადების და-  
ნერვები, მიღებულ ეკონომისა უნდა შეედგინა 116 მანეთი. გეგმა გა-  
დაჭირდებით შესრულდა, წლიური ეკონომიკური ეფექტი უკვე აღ-  
წევდა 211 ათას მანეთს. რაციონალიზატორთათვის განსაკუთრებით  
ნაყოფიერი იყო 1973 წელი. რაციონალიზატორების გ. კახაძისა და  
ფ. კვაშალის წინადადება, რომლის წლიური პირობითი ეკონომიდა  
159 ათასი მანეთია, წარდგენილ იქნა საქართველოს მინისტრთა საბ-  
ჭოსა და პროფესიონალური რესპუბლიკური საბჭოს მიერ გამოცხადე-  
ბულ კონკურსზე. ეს წინადადება მიიღეს აგელაზე ეთექტიან რაციო-  
ნალიზატორულ წინადადებად, რომელიც ხელს შეუწყობდა წარმო-  
ბის შემდგომ ტექნიკურ სრულყოფას, შრომის ნაყოფიერების ამაღ-  
ლებასა და გამოშვებული პროდუქციის თვითონირებულების შემცი-  
რებას. გ. კახიძისა და ფ. კვაშალის რაციონალიზატორულმა წინადა-  
დებამ კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა, ავტორები პირველი  
ულადი პრემიით დაგილდოვდნენ. ასევე პირველი ფულადი პრემი-  
ით დაგილდოვდა რაციონალიზატორულ წინადადებათა კომპლექსუ-

რი ბრიგადა მ. სურგულაძის, ზ. ჭანიშვილის და პ. ქუტიძის შემადგენლობით.

აბრეშუმის ფაბრიკის ძაფსალებმა წარმოებამ 1974 წელს საცონალიზატორული წინადადებების დანერგვის შედეგად დაზოგილი ნედლეულის, მასალების, საწვავის და ელექტროენერგიის ხარჯზე ექვს დღეს იმუშავა და სახელმწიფოს 172 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკა თავიდანვე გახდა კვალიფიციური სამეცნიერო კადრების სამჭედლო. მრავალმა ადამიანმა, რომელმაც ამ საწარმოში რიგით მუშავად დაიწყო შრომა, საწარმოო პროცესებში დახელოვნების, სწავლისა და მუყაითი საქმიანობის შედეგად რაიონსა და მის ფარგლებს გარეთაც გამოიჩინა თავი, როგორც სახალხო მეურნეობის კარგმა ხელმძღვანელმა და სპეციალისტმა.

მეცხრე ხუთწლედში საწარმოოს კოლექტივი სახელოვნად აგრძელებდა დამკვიდრებულ ტრადიციებს. საერთო წარმატებებში დიდია მოწინავე მუშების პირადი წვლილი. მათ შორის უწინარეს ყოვლისა აღსანიშვავია ის მუშები, რომლებიც მთელი 30 წლის განმავლობაში თავდადებით შრომობდნენ ფაბრიკის საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულებისათვის. ესენი არიან: ი. ყელაურაძე—ცვლის უფროსი; მ. მალაზონია — ქვეოსტატი; მ. პავლოვი—ძაფსალები საამქროს ყოფილი ქვეოსტატი, ამჟამად ძაფის ამობევევი, სამამულო ომის ინვალიდი; მ. ცერცვაძე, ე. ჩანტლაძე, ლ. რამიშვილი და კ. რამიშვილი. აქვე უნდა ითქვას იმ პენსიონერთა შესახებაც, რომლებიც მიუხედავად ხანდაზმულობისა, ამჟამადაც ახალგაზრდული შემართებით მუშაობენ ფაბრიკაში: ე. გოგუაძე, პ. ქუტიძე, თ. სამსონია, ლ. დავითულიანი, გ. ცერცვაძე, უ. მუჯირი, ნ. სიხარულიძე, მ. სამსონია, ს. კალანდაძე, ნ. ანთიძე, გ. კალანდაძე, ა. სოკორსკაია, შ. კუნძულია, ქ. მუდავაძე, ე. როდაკი, ვ. კრიკალაპოვა, თ. მუჯირი, ქ. ბაბილონიძე, თ. მორჩილაძე, ტ. გრიგორიანი, ო. ოლჩაკი, ვ. მუჯირი, მ. დავითულიანი და უ. ცერცვაძე.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხ ფაბრიკაში წლების მანძილზე მუშაობდნენ და დღესაც ენერგიულად მუშაობენ სოციალის-

ტური შრომის გმირები დიმიტრი ჭეიშვილი<sup>1</sup>, რაისა მიხაილოვა<sup>2</sup> და ალექსანდრა ბოლქვაძე<sup>3</sup>. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი, სოფიო ჭიქია, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მეექვეს მოწვევის დეპუტატები მაღლონია მეგრელიშვილი<sup>4</sup>, ლამარა კალანდაძე<sup>5</sup> და ციალა გოგუაძე<sup>6</sup>; ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალრები ანა ჭავჭავაძი, აპოლონ კვაჭანტირაძე; შრომის წითელი დროშის ორდენოსანი მუშები თამარ ქათამიძე, ვალენტინა დობროვლესკაია, ზინა ტრაპაიძე, მერი ჩავლეუიშვილი; საპატიო ნიშნის ორდენისნები ტუფა კვაჭანტირაძე, ცუცა რობაქიძე, ფატი კვაშალი, სერგო გობრონიძე; შრომის დიდების მესამე ხარისხის კავალრები ნათელა ბელთაძე, ზინა ხუხრიანსკაია და ზინა პაპოვა; წითელი ვარსკვლავის ორდენოსანი ივანე ჩერჩენკო.

აბრეშუმის ფაბრიკის კომუნისტური შრომის პირველ-ორ ბრი-

<sup>1</sup> დამიტრი ჭეიშვილი დაიბადა 1907 წელს, პარტიის წევრია 1930 წლიდან. სამაჟულო მმიდან დაბრუნების შემდეგ იყო მახარაძის რაალმასკომის თავმჯდომარე. 1948 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

<sup>2</sup> რაისა მიხაილოვა დაიბადა 1929 წელს, აქც რვა კლასის განათლება. ფაბრიკაში მუშაობს 1952 წლის სექტემბრიდან. ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის 1951 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

<sup>3</sup> ალექსანდრა ბოლქვაძე დაიბადა 1930 წელს. აქც რვა კლასის განათლება, პარტიის წევრია. ფაბრიკაში მუშაობს 1962 წლიდან. 1966 წლის 12 აპრილს მიეკუთვნა კომუნისტური შრომის დამკვრელის წოდება. 1950 წელს ჩაის უხვი მოსავლის მიღებისათვის მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. იყო საქართველოს კომპარტიის XV ყრილობის დელეგატი.

<sup>4</sup> მაგლონია მეგრელიშვილი ფაბრიკაში მუშაობს 1950 წლიდან. 1953 წელს დამთავრა მსუბუქი მრეწველობის თბილისის ტექნიკუმის დაუსწრებელი ვანკოულება, 1961 წლიდან საგრეხის ქვეოსტატია, ხოლო 1972 წლიდან ამავე საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული. 1971 წელს დააჯილდოეს ლენინის ორდენით. 1970 წლიდან საგრეხი სამჭროს პარტიული ბიუროს მდივანი და ფაბრიკის პარტიული კომიტეტის წევრია.

<sup>5</sup> ლამარა კალანდაძე 1946 წლიდან მუშაობს ძაფის ვადამხვევად. 1956 წ. არჩეული იყო საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1973 წლიდან ფაბრიკის ვადამხვევა ვანკოფილების ინსტრუქტორია.

<sup>6</sup> გოგუაძე ციალა აბრეშუმის ფაბრიკაში შეშეცია დაიწყო 1952 წელს საშროო ლაბორატორიაში ლაბორატორიად. 1966 წელს გადაიყვანეს ქ/სამჭროში ექსპერიმენტაციური დაზგების ქვეოსტატად, ამეამად მუშაობს ლაბორატორიაში ლაბორატორია. როგორც ენერგიული მუშა 1971 წელს ატრიბუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. 1974 წ. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის დააჯილდოვეს მედლომ.

გვარი, სახელი	შემოქმნილ განმავლადის მაჩვენებელი	შემოქმნილ განმავლადის მაჩვენებელი	გათ (ცოცხა მარცოლით)	ინდიკაცია დუალური
კახაძე გუგული <sup>1</sup>	29	402,8	248,7	154,1
სურგულაძე მოსე <sup>2</sup>	27	78,9	65,3	13,6
გობრინიძე სერგო <sup>3</sup>	22	91,2	90,2	1,0
პეტვილი ნიდარი	16	20,7	16,3	14,4
ხაბეიშვილი ნური	15	23,4	19,3	4,1
სურგულაძე შალვა <sup>4</sup>	12	17,8		17,8
ჩიჩიუა სიმონ	12	13,5	13,5	—
ქუტიძე პარმენ	11	10,5	10,5	—
საჭაია ბიჭიკო	6	0,3		0,3
ქვაშალი ფატი	6	162,7	162,7	—
ზევე პავლე	5	5,8	5,8	—
სამსონია ილია	5	11,7	11,7	—

<sup>1</sup> გუგული კახაძემ ფაბრიკაში მუშაობა დაიწყო 1955 წელს უფროს ლაბორატორიდან, შემდეგ მუშაობდა ლაბორატორის გამგედ, საამჭროს, საამჭროების ცვლის უფროსად. 1961 წლიდან ხელმძღვანელობს საწარმოო ლაბორატორიას. იმავე წლიდან არის რაციონალიზაციონი. საუკეთესო რაციონალიზაციულ წინადადებათა რესპუბლიკურ კონკურსზე მან ორგერ აიღო პირველი ადგილი და ფულადი პრემია.

<sup>2</sup> მოსე სურგულაძის რაციონალიზაციული წინადადებების დანერგვით ფაბრიკაში შეიქმნა ნახევრად ავტომატური დეტალების ჩამოსხმელი მანქანა ძირიადლირებული ფერადი ლითონების დეტალების კაპრონის დეტალებით შეცვლასთვეს.

<sup>3</sup> სერგო გობრინიძემ მ. სურგულაძესა და პ. ქუტიძესთან ერთად შექმნა დაზიანდანადგარების ტრანსმისიების ახალი ტიპი. 1976 წელს გ. კახაძესთან ერთად დანერგა პარკის სახაჩუავი ჯაგრისების ახალი ნიმუში, რომელმაც ფაბრიკას მისცა დიდი ეკონომია.

<sup>4</sup> შალვა სურგულაძე 1944 წლიდან მუშაობს ფაბრიკაში. დაუსწრებლად დამთავრა საფეიქრო მრეწველობის ფაკულტეტი, იყო ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ამეამად მუშაობს ელექტრომეტრულობის უფროსად. არის ბევრი რაციონალური წინადადების ავტორი, რომლის დანერგვამ ფაბრიკას მისცა დიდი ეკონომია. მისი წინადადებით საკონტროლო განყოფილებაში აბრაშვილის ძაფის ხელით ჯრება მექანიკურით შეიცვალა. გამჭვიდვებსა და შრომის პირობები. ეს წინადადება დაინერგა რესპუბლიკის ყველა ჭაფსალებ წარმოებაში.

გადას ხელმძღვანელობდა ეთერ ჩანტლაძე და ივანე ყელაურაძე. კომუნისტური შრომის სახელწოდების მოპოვებისათვის მეცხრე ხუთწლების დასკვნით ეტაპზე იბრძოდა კომუნისტური შრომის სამაქაროს საგრეხი, სახარისხებელი განყოფილება, ნარჩენების რჩანი, საწარმოო ლაბორატორია, ავტომატების უბანი, ძაფსალები სამჭრო, ჟუიდი ბრიგადა, რვა რგოლი, 300-მდე მუშა. 1975 წლისათვის ფაბრიკაში იყო კომუნისტური შრომის 96 დამკარელი.

ფაბრიკის შრომითი კოლექტივის წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვით სახალხო კონტროლის ჯგუფის წევრებს. სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომითი დისკიპლინის განმტკიცების, ნედლეულის ყაირათიანი ხარჯვის, ახალი ტექნიკის დანერგვისა და სხვა საკითხების გადაწყვეტაში აქტიურ მონაწილეობას.

სახალხო კონტროლის ჯგუფის ბიუროს 1964 წლიდან ხელმძღვანელობდა ნ. გირკელიძე, 1967 წლიდან—ნ. ძიძიშვილი, ხოლო 1970 წლიდან—გ. კახაძე. მეცხრე ხუთწლების დავალებათა შესრულების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ფაბრიკის სახალხო კონტროლის ჯგუფი დაგილდობებულია სხვ კავშირის სახალხო კონტროლის კომიტეტის საპატიო სიგელით.

სახალხო კონტროლის ჯგუფის მოწინავე წევრები ზინა პაპურავა, ვერა გოგელია და მარინა ნამგალაძე ჯგუფის ყოფილ ხელმძღვანელებთან ნ. გირკელიძესა და მ. კახაძესთან ერთად შეტანილი არიან ფაბრიკის საპატიო წიგნში. ზოგიერთმა კონტროლიორმა ნაყოფიერი შრომით დაიმსახურა ფულადი ჯილდოები. მათ შორის პირველ რიგში უნდა მოვისხენიოთ მ. წიტაძეშვილი, ა. ხაბეიშვილი, თ. გოგიძერიძე, ა. ბარამიძე, ნ. ძიძიშვილი და სხვები.

სახალხო კონტროლი თავისი მუშაობით ხელს უწყობს ფაბრიკის კოლექტივის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

აბრეშუმის ფაბრიკა, როგორც ცნობილია, უშვებს სხვადასხვა ასორტიმენტის ხამ და ნაგრეხ ძაფს. ამ პროდუქციის გამოშვებას ესაჭიროება კონკრეტული, მხოლოდ მისთვის განკუთვნილი ტექნოლოგიური რეჟიმები, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოება.

ტექნოლოგიურ რეჟიმს პროდუქციის ამა თუ იმ სახეობაზე ადგ. ზ. ხინთიბიძე

გენს ფაბრიკის საწარმოო ლაბორატორია. ეს რეჟიმები დგება, მაგალითად, აბრეშუმის პარკის დახარისხება-დაყალიბებაზე ხარშესა და ამოხვევაზე, ძაფის ლბობასა, შრომასა და გადახვევაზე, შეფრთქლებაზე გრეხვის დამაგრების მიზნით.

ტექნოლოგიური რეჟიმების დადგენაზე გამოყოფილია ლაბორატორი, რომელიც მუშაობას წარმართავს ლაბორატორის გამგის ზე-დამხედველობითა და ხელმძღვანელობით.

ტექნოლოგიური რეჟიმები დგება საწართველოს მსუბუქი მრეწველობის კვლევით დაწესებულებათა მეცნიერ თანამშრომლებისა და ფაბრიკის ინუინერ-ტექნიკური მუშაკების ერთობლივი მონაწილეობით. რეჟიმის ერთობლივი დამუშავება ხდება მნიშვნელოვნი ასორტიმენტისათვის. მათივე მონაწილეობით დგინდება ტექნოლოგიური რეჟიმები საპრეტენზიო სტანდარტულ მონაცემებზე — მათზე კორექტირების გატარების მიზნით.

დადგენილი ტექნოლოგიური რეჟიმების დაცვას აკონტროლებს საწარმოო ლაბორატორია და ტექნიკური კონტროლის განყოფილება. ტექნოლოგიური რეჟიმების ზუსტი შესაბამისობა ხელს უწყობს მაღალხარისხის და ერთგვაროვანი ხარისხის ხამი და ნაგრეხი აბრეშუმის ძაფის გამოშვებას. ამიტომ ამ რეჟიმის დარღვევაში შემჩნეული პირი მკაცრად ისჯება.

მეცნიერ ხუთწლედში აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეს ფაბრიკაში ჭეროვანი ყურადღება ეთმობოდა მუშაობა კადრების მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ფაბრიკის მთავარი ინუინრის ხელმძღვანელობით დგებოდა სასწავლო-საფინანსო გეგმა, რასაც შედეგ ამ-ტეოცებდა რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო. ფაბრიკაში მთელი საწარმოო-ტექნიკური სწავლება სამინისტროს მიერ დაშვებული გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდა. იქმნებოდა სამოსწავლო ჯგუფები პროფესიებისა და სამქრობების მიხედვით. ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო გააცხოველა ფაბრიკის ლექტორთა ჯგუფმა, საკვალიფიკაციო კომისიის და მეთოდურმა საბჭომ.

ფაბრიკაში ახალმიღებულ მომუშავეებს, პროფესიის ასათვისებლად კვლავ ინდივიდუალური წესით ამაგრებლენენ კვალიფიციურ მუშას. ფორმდებოდა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. აღმზრდელად, მრჩეველ-დამრიგებელ მუშებად დირექციონ

დამტკიცა 70 კაცი. ისინი პრაქტიკულად აჩვენებდნენ მუშაობის მოწინავე ხერხებს, უნერგავდნენ შრომისადმი სიყვარულს.

თეორიული სწავლება დადგენილი გრაფიკით ტარდება საკლასო ოთახში, ტექნიკის ტემაზე, რომლებიც აღჭურვილია ტექნიკური ლიტერატურითა და ექსპონატებით, სწავლის პერიოდში მოწაფეები უზრუნველყოფილია სათანადო ხელსაწყოებითა და საკლასო ინვენტარით; ფაბრიკის დევიზი: „ყველა ახალგაზრდას საშუალო განათლება“ წარმატებით ხორციელდება ცხოვრებაში. თვეში ერთხელ ეწყობა აგრძელებული სწავლების ხელმძღვანელთა შეხვედრა ახალმიღებულ მუშებთან მათი სწორი პროფორიენტაციის, საყოფაცხოვრებო და შრომის პირობების უკეთ მოწყობის მიზნით. ფაბრიკის 16—29 წლის ასაკის მუშებიდან საშუალო განათლება აქვს 187, საშუალო-სპეციალური განათლება—3, უმაღლესი განათლება—4, დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება 7-ს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 30 ახალგაზრდა. სკოლასა და წარმოებას შორის დამყარდა მტკიცე კავშირი, ფაბრიკასთან შექმნილი მუდმივმომქმედი კომისია სისტემატურად მორიგეობდა სკოლაში, ატარებდა საუბრებს სახალხო განათლების საკითხებზე. ფაბრიკაში ეწყობა „ლია კარის დღე“, სადაც მოსწავლეები ეცნობიან წარმოებას, ხვდებიან წარმოების ვეტერანებს, შრომის გმირებს, დამრიგებელ მუშებს. წარმოების სპეციალისტები ახალგაზრდა მუშებისათვის ატარებენ საუბრების ციკლს „ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლეული—თითოეულის თავდადებული შრომა“. მოწინავე მუშებისათვის იყენებენ მორალური და მატერიალური წახალისების ყველა ძირითად ფორმას (ფულადი წახალისება, საპატიო სიგელების გადაცემა, საპატიო დაფაზე გამოკვრა, შრომის პირობების კანონით დაწესებული შეღავათების გატარება და სხვ). ფაბრიკის ახალგაზრდა მუშებიდან 1975—1976 წლებში კვალიფიკაცია აიმაღლა 195-მა. კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფაბრიკაში მოქმედებს მიზნობრივი დანიშნულების, შრომის მოწინავეთა მეთოდების შესწავლის, საწარმოო-ტექნიკური და სხვა კურსები. ახალგაზრდა მუშებს აქვთ ხელსაყრელი პირობები კულტურულ-საგანმანათლებლო და იღეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

მუშა-მოსამსახურეთა შრომის პირობების გაუმჯობესება ფაბრიკის დირექციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ყოველდღიური საზრუნავია. ფაბრიკაში სანიტარული პირობებისა და

უსაფრთხოების სისტემის გასაუმჯობესებლად გამოყოფილია საონადო სახსრები, რომლის ათვისებაზე დაწესებულია სისტემატური კონტროლი. ამის შედეგია ის, რომ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ფაბრიკაში აღგილი არ ჰქონია საწარმოო ტრაგემატიზმის შემთხვევას. საწარმოს ესთეტიკის მოთხოვნების შესაბამისად ხდება დადგენილი ფერების მიხედვით საამქროებისა და მანქანა-დანადგარების შელებვა, მუშათ შრომის პირობების ყოველნაირად შემსუბუქება, რათა მუშა კმაყოფილი იყოს არა მარტო თავისი ნაშრომით, არამედ იმ საწარმოთი, სადაც ის არის დასაქმებული.

დიდი ყურადღება ექცევა საწარმოს ეზო-პარკის კეთილმოწყობას, ირგვება დეკორატიული უვაკილები და მარადმწვანე მცენარეები, მოწყობილია შადრევნები, სპორტული მოედნები, თვალსაჩინოების საშუალებანი.

აბრეშუმის ფაბრიკაში დიდ ყურადღებას უთმობენ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ერთდროული ფულადი დახმარება მიეცა მრავალშვილიან დედებს, საბჭოთა არმიაში მყოფ მებრძოლთა ოჯახის წევრებს, ავადმყოფ მუშა-მოსამსახურებს: 36 თანამშრომელს მიეცა 800 მანეთი საფაბრიკო კომიტეტის ანგარიშზე, ხოლო 218 12,7 ათასი მანეთი წარმოების ფონდიდან. მუშები იგზავნებიან სამკურნალოდ სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებსა და პანსიონატებში. პიონერთა გამაფანსაღებელ ბანაკებში გაიგზავნა ფაბრიკის თანამშრომელთა ბაგშვები.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიი და საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფესიონალის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1973 წლის 3 აგვისტოს ერთობლივი დადგენილების შესაბამისად მახრაძის აბრეშუმის ფაბრიკაში აგვისტო-დეკემბერში მოწყობ დათვალიერება მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების, შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის მდგომარეობის ძირებით გაუმჯობესებისათვის. დათვალიერების დროს მიღწეული მაჩვენებლებისათვის ფაბრიკის კოლექტივი დაგილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფესიონალური კომიტეტის დიპლომით.

მაღალი კარგი შედეგები ქვეს მიღებული ფაბრიკის ეკონომიკუ-

რი ანალიზის ბიუროს, რომელსაც 6. ძიძიშვილი ხელმძღვანელობს.  
ბიურომ სწორად შეაფასა 1973 წლისა და მომდევნო წლების საგეგ-  
მა დავალების შესრულებისა და ახალი სამეურნეო ანგარიშით მუ-  
შაობის საკითხები, ხარისხობრივი მაჩვენებლების ამაღლებისა და  
ნატერიალური სტიმულირების პრაქტიკული საკითხები, რის ვამოც  
ქაღლდა, წარმოების ძირითადი მაჩვენებლები. ფაბრიკის შრომითი  
კოლექტივის ერთსულოვანი შრომით პარტიის XXIV ყრილობისა  
და ქეცხრე ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული ვალდებულე-  
ბების შესრულებისათვის ბრძოლაში მიღწეულ იქნა შრომის მაღა-  
ლი ნაყოფიერება, მაქსიმალურად იქნა გამოყენებული სამუშაო დრო,  
ამოქმედდა რეზერვები, ვადაზე ადრე შესრულდა ხუთწლედით გათ-  
ვალუსტინებული ამოცანები. დაიზოგა ათასობით კვტ-საათი ელექ-  
ტროენერგია, დიდძალი ნედლეული, შემცირდა პროდუქციის თვით-  
დირებულება, გაუმჯობესდა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

1974 წელს ფაბრიკაში გაიხსნა მუზეუმი, რომელშიც ძირითა-  
დაც ექსპონირებულია ფაბრიკის შრომითი კოლექტივის მიერ მოპო-  
ვებული წარმატებები. მუზეუმის სტრუქტურაზე წარმოდგენილია 20-ია-  
ნი წლების ამსახველი ექსპონატები. ოზურგეთის სამხარეთმცოდნეო  
რუკაზე ლაშისა (ახლა მშეიძლობის) და მელექედურის (ახლა წულუ-  
კიძის) ქუჩებს შორის წითელი ხაზით აღნიშნულია ადგილი, სადაც  
1924 წელს დაიწყო მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბ-  
რიკის მშენებლობა, მოყვანილია მშენებლობის ხედები, აღნიშნულია  
მშენებლობის პიონერები, რომლებიც უაღრესად პრიმიტიული ტექ-  
ნიკის პირობებში მამაცურად შრომობდნენ დასავლეთ საქართვე-  
ლოში აბრეშუმის მრეწველობის პირველი საწარმოს ასაგებად.

მუზეუმის ფოტომასალებით თემატურად ასახავს ფაბრიკის ის-  
ტორიას მის დაარსებილან დღემდე.

მეცხრე ხუთწლედში ფაბრიკის აღმოსავლეთის მხრიდან გაიყვა-  
ნეს სატვირთო გზა, მღინარის სანაპიროს ამოუშენეს რკინა-  
ბეტონის კედელი, საწვავის სატუმბავი ფარდული, გზის გასწვრი-  
დამონტაჟდა სამი ცისტერნი, რომელიც მიღებით შეუერთდა ახალ-  
დამონტაჟებულ ტუმბოს; გაკეთდა ათობით ტონა ტევაღობის ექვსი  
ცისტერნი, თხევად საწვავზე გადაყვანილ იქნა ერთი ორთქლის ჭვაბი,  
მოხდა დამონტაჟება ორი ორთქლის ჭვაბისა, რითაც სამჯერ გაიზარ-  
და საქვაბეთა მწარმოებლურობა. ამ ღონისძიებებს მოხმარდა 110  
ათასი მანეთი. ძაფსალების მე-2, მე-7 და მე-8 სერიებში შეიცვალა

ძაფის გამტარი გორგოლაჭები მოდერნიზებული მოწყვობილობით, ხოლო ძაფსაღების № 2 სამქროში—ვენტილაციის კალორიტრები, წარშოებაში დამონტაჟდა რადიოკანი, განხორციელდა სამჭროებისა და განყოფილებების რადიოფიცირება, შეძენილ იქნა 7 ჩატარი მანეთის ლითონის კამზადები, ქვეოსტატის კომბინირებული მაგიდები, გაფართოვდა და კეთილმოწყობილი გახდა მუშათა აბანო, კაპიტალურად შეკეთდა საცხოვრებელი ბინები, საწარმოო კორპუსები, დაიწყო ორი ახალი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რომელიც მეათე ხუთწლედში გადაეცემა ექსპლუატაციაში.

მეცხრე ხუთწლედში განხორციელდა მრავალი კულტურულ-სა-განმანათლებლო ხასიათის ღონისძიება. გადიდდა ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდი, მყითხველთა რაოდენობამ 620-ს მიაღწია. 1975 წელს ფაბრიკის ბიბლიოთეკას გამოწერილი ჰქონდა 56 დასახელების ათას ცალზე მეტი საკუთრივი და რესპუბლიკური უურნალი და გაზეთი, დიდაღის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით. ბიბლიოთეკასთან მოქმედებდა ლიტერატურის, ჭრა-კერვის, ჭადრაკისა და შაშის მოყვარულთა წრეები. სასულე ორკესტრს წლების მანძილზე ხელმძღვანელობდნენ შ. ხუჭუა, ვ. გობრონიძე, შ. თალაკვაძე შემდეგ კი კ. ჩხაიძე. მუშათა კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების საკითხების, კერძოდ ხელოვნების, სპორტის, სწავლა-განათლების საკითხების საკითხების, საკითხების სხვადასხვა დროს დიდი ენთუზიაზმით ემსახურებოდნენ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე. ვ. სიმონიშვილი, რესპუბლიკის ამსახურებული არტისტი რ. ლომინაძე, სოციალისტური შრომის გმირი ალ. ტრაპაიძე, დოცენტი ზ. სიმონიშვილი, დამსახურებული მასწავლებლები ქ. ყარგიშვილი, ილ. შეწირული და სხვები.

ფაბრიკაში აღზრდილმა და დავაუკაცებულმა ხელოვნების, სპორტისა და კულტურის სხვა დარგის მუშაკებმა (ალ. კალანდაძე, დ. კუჭუხიძემ და სხვ.) რაიონის ფარგლებს გარეთაც გაიტანეს ფაბრიკის თვითმოქმედი კოლექტივების შემოქმედება, სპორტული ღირსება. ფაბრიკის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელები საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი ე. ჭანიშვილი, თ. ბერძელიანი, მ. გოლიაძე, რაიონისა და რესპუბლიკის მოწინავე თვითმოქმედი კოლექტივების რიგებში ირიცხებიან. ფაბრიკის სპორტენთა მოპოვებული ჯილდოებით მდიდრდება მუზეუმის კოლექცია.

წარმოებაში დანერგილია საჭარმოო ტანვარჯიში. ნაყოფიერად შუშა-ობს კალათბურთის, ფრენბურთის, ხელბურთის, მძლეოსნობის, ფეხ-ბურთისა და ჭადრაკის სექციები და წრეები. ფაბრიკის სპორტულ კოლექტივში, რომლის ხელმძღვანელია ინსტრუქტორ-მეთოდისტი ჯუმბერ მდინარაძე, გაერთიანებულია 375-მდე ახალგაზრდა, რომელ-საც ფიზულტურის საბჭო ხელმძღვანელობს.

ფაბრიკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ ღო-ნისძიებებში, კერძოდ, ზამთრის სპარტაკიადაში, რომელიც ბაკური-ანში მოწყო. ოთილამურებით სრიალში მათ დაიკავეს საპრიზო მე-ორე ადგილი. შიდა საფაბრიკო სპარტაკიადა ჩატარდა სპორტის ხუთ სახეში, რომელშიც ჩაბმულია ყველა ასაკის მუშა-მოსამსახურე. „გან-თიადის“ პროფესიულ სპარტაკიადაში ფაბრიკის სპორტსმენებმა მოიპოვეს საერთო გუნდური პირველი ადგილი. ფაბრიკის დირექციამ მოწინავე სპორტსმენებს მისცა წამახალისებელი ფულადი ჭილდო-ები. შიდა საფაბრიკო შეჯიბრებაზე ტყვიით სროლაში, რომელშიც „მშთ“ კომპლექსის ჩაბარებას მიერდვნა, კარგი მაჩვენებლის მქონე ათი სპორტსმენი საფაბრიკო კომიტეტმა დააჯილდოვა ფასიანი სა-ხუჭრებით. ფაბრიკაში მომზადდა პირველი და მეორე თანრიგის 31, მესამე თანრიგის—42 სპორტსმენი, „მშთ“ კომპლექსი ჩაბარა 270-ზე მეტმა კაცება.

## ვაგრიპის კოლექტივი სპაპ ა ა ს პ ა მ ი ლ ი ლ ი ს გადაწევებილებათა უსრულებისათვის გრძოლაზი

სკვპ ა ა ს პ ა მ ი ლ ი ლ ი ს კოლექტივი უმნიშვნელოვანესი მოვლენაა მთელი საბ-ჭოთა ხალხის ცხოვრებაში. ყრილობამ მიიღო „სსრ კავშირის საჭალ-ხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მი-მართულებანი“, რომლითაც დასახულია სოციალისტური სამშობლოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარე-ბის გრანდიოზული ამოცანები. ამ ღრმადმეცნიერულ საპროგრამო დოკუმენტში განსაზღვრულია პარტიის გენერალური ხაზის მაგისტ-რალური მიმართულებანი.

მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანის საფუძველზე საბჭოთა ხალხის პროგრამა საზოგადოებრივი წარმოების მყარი ზრდის, მისი სტრუქტურის სრულყოფის, ეფექტიანობის ამაღლებისა და ინტე-

სიცივაციის უზრუნველყოფა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი აძალვების ღონისძიებათა სისტემის განხორციელება, სახალხო მეურნეობაში მომზირნეობის რეჟიმის გაძლიერება, მართვის სოციალურობისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარება.

სკპ X XV ყრილობის გადაწყვეტილებანი სავსებით შეესაბამება შერომეული მასების ინტერესებს, მკაფიოდ გამოხატავს პარტიის უდიდეს ზრუნვას მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მეათე ხუთწლედში კომუნისტური მშენებლობის ახალ წარმატებათა მისაღწევად მკვიდრი საძირქვლის შექმნისათვის.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976—1980 წლების ძირითადი მიმართულებანი ითვალისწინებს საქართველოს სახალხო მეურნეობის, კერძოდ მრეწველობის შემდგომ აღმავლობას. რესპუბლიკის მრეწველობის მძლავრი განვითარების ახალი ჰორიზონტების განსაზღვრაში სკპ X XV ყრილობის სახელმძღვანელო ღოკუმენტებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა სკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1974 წლის იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. ამ დადგენილებისა და სკპ X XV ყრილობის სახელმძღვანელო ღოკუმენტების შესაბამისად დაკონკრეტდა და სრულყოფილი გახდა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითადი ამოცანები, დასახულ იქნა მათი განხორციელების გზები და საშუალებანი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის X XV ყრილობამ (1976 წლის იანვარი) რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ყურადღება გაამახვილა სამრეწველო საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების აუცილებლობაზე. მან მოიწონა ქუთაისის ავტომშენებლებისა და რუსთავის მეტალურგების, ბათუმელი მანქანათმშენებლებისა და ცნობილი ნოვატორის, სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის ბრიგადის სასარგებლო წამოწყებანი და შრომითი კოლექტივების გულისიცური მიაყრო წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა ნედლეულისა და მასალების ეკონომიკური ხარჯვა, ფონდურუგების ამაღლება, დარგობრივი სრულყოფის გაუმჯობესება!

1 იხ. „დადგენილება საქართველოს კომუნისტური პარტიის X XV ყრილობისა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სანგარიშო მოსსენების ჭამი (გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 23 იანვარი).

მეათე ხუთწლედის დიად შიზანდასახულებათა განხორციელებულის ბისათვის ბრძოლაში ახალი ენერგიით ჩაეგარტველოს სამრეწველო საწარმოების შრომითი კოლექტივები. გამოვლინდა წარმოების შემდგომი განვითარების შემაფერხებელი მიზეზები, სამუშაო დღის რაციონალურად გამოყენებას, მოწინავეთა გამოცდლების განზოგადებასა და წარმოებაში დახერგვას, კომუნისტების ავანგარდული როლის გაძლიერებას.

ჩვენი რესპუბლიკის მეათე ხუთწლედი, — ამბობდა ე.ა. შევარდნაძე საქარტველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, — ხარისხისა და ეფექტურიანობის ხუთწლედია. ეკონომიკისა და სოციალური ცხოვრების დარგში ჩამორჩენის საბოლოო დაძლევის და მოწინავე პოზიციებზე რესპუბლიკის გასვლის ხუთწლედია. ასეთია ამოცანა და ეს ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ — კომუნისტების სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს!

სკპ X XV ყრილობის მიერ დასახულმა კომუნისტური მშენებლობის დიადმა პერსპექტივებმა მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებსაგრეხი ფაბრიკის მურომელთა მძლავრი პატრიოტული და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ფაბრიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეული წლილი შეიტანონ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელების საქმეში, უწინარეს ყოვლისა, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კომუნიზმის აქტიური მშენებლობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

არტიის 25-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში ფაბრიკის კოლექტივმა შეამოწმა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მდგომარეობა და ახალი ვალდებულებები იკისრა.

სკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო აღკვ ცენტრალური კომიტეტის მოწოდების „წარმოების ეფექტურიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის 1976 წლის სახალხო-სამეცნიერო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სრულიად-საკავშირო

<sup>1</sup> იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1976 წლის 22 იანვარი.

სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“ შესაბამისად აიღუს გადატუ-  
ბული სოციალისტური ვალდებულებანი, ყურადღება უფრო გაა-  
მახვილეს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის წარმოშობის უფლა-  
რგოლში მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფუძნობის  
ამაღლების ამოცანებზე, ახალი სიმძლავრეების ამოქმედება-გამოყე-  
ნებისა და შორმის ნაყოფიერების შემდგრმი ზრდის პრობლემებზე.

გააღდა თავდადებული შემოქმედებით შრომა-მუშათა ძალე-  
ბის დარაზმვის, სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისა  
და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის. გაიშალა სა-  
ყოველთაო შეჯიბრება ცალკეულ მომუშვეებს, განყოფილებებს,  
დარგებსა და სამქროებს შორის. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტი-  
ლება — აამაღლონ პროდუქციის ტექნიკური დონე, ხარისხი, საი-  
მედობა და გამძლეობა.

ფაბრიკის მშრომელები ენერგიას არ იშურებენ, რათა ღირსეუ-  
ლი წვლილი შეიტანოს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზის მშენებლობაში, სასახლო შრომითი მიღწევებით  
აღნიშნონ. ფაბრიკის არსებობის ორმოცდათი წელი, ფაბრიკა გადა-  
აქციონ სანიმუშო წესრიგისა და შრომითი დისკიპლინის მოწინავე  
საწარმოდ.

შეათე ხუთწლედის პირველსავე წელს მახარაძის აბრეშუმის  
ძაფსაღებ-საგრეხმა ფაბრიკამ სახელმწიფო გეგმის შესრულების  
დარგში იყიდია შემდეგი ვალდებულებანი — საერთო და სასაქონლო  
პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმა შესარულა 1976  
წლის 20 დეკემბრისათვის, ხოლო იანვარ-თებერვლისა სკპ XXV  
ყრილობის გახსნის დღისათვის. სახელმწიფო გეგმის ზევით გამოუშ-  
ვას 300 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია — ხამი აბრეშუმის  
ძაფი 1000 კგ, ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი — 700 კგ, დაზოგონ ნედლე-  
ული, კერძოდ აბრეშუმის პარკი 1300 კგ, ხამი აბრეშუმის ძაფი — 100  
კგ, სახელმწიფოს მისცეს ზეგეგმური მოგება 25 ათასი მანეთის  
ოდენობით, ვადაზე აღრე შესრულოს ორგანიზაციულ-ტექნიკური  
ღონისძიებათა გეგმა.

სახელმწიფო გეგმის ვადაზე შესრულებისათვის ფაბრიკის შრო-  
მით კოლექტივს უნდა უზრუნველეყო შრომის მაღალი ნაყოფიერე-  
ბა, შეემცირებინა პროდუქციის ოვითლირებულება, აემაღლებინა  
წარმოების კულტურა, განემტკიცებინა შრომის დისკიპლინა, და-

ზოგა წედლეული, სათბობი და ელექტრონურია, უზრუნველყოფა  
წარმოების რიტმული მუშაობა, შეექმნა შრომის ხელსაყრელი პირო-  
ბები სერიებში, განყოფილებებსა და სამქროებში, დახმარებოდა ჩა-  
მორჩენილ სერიებს, ცვლებსა და ცალკეულ მომუშავეებს.

საფაზრიკო კომიტეტმა ივალდებულა სისტემატურად შეემოწმე-  
ბინა სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა  
და შედეგები დაეყვანა თითოეულ მომუშავემდე.

ადმინისტრაციას საფაზრიკო კომიტეტთან შეთანხმებით რაცი-  
ონალურად უნდა გამოეყენებინა ის ფულადი სახსრები, რომელიც  
გათვალისწინებულია სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის  
ადგილის მიეუთვებასთან დაკავშირებით, აგრეთვე შშრომელთა  
კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.  
ამასთან საფაზრიკო კომიტეტს უნდა დაეწესებინა სისტემატური  
კონტროლი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების, ახალი ტექ-  
ნიკისა და მუშაობის მოწინავე მეთოდების დანერგვის ღონისძიებათა  
განხორციელებაზე. დახმარებოდა რაციონალიზატორებსა და გამომ-  
გონებლებს წამოყენებულ წინადადებათა დანერგვაში, შეედგინა თე-  
მატური გეგმა რაციონალიზაციისა და საგამომგონებლო მოძრაობის  
დარგში და იგი დაეყვანა თითოეულ მომუშავემდე. საფაზრიკო კო-  
მიტეტს სისტემატურად უნდა შეემოწმებინა რაციონალიზატორულ  
წინადადებათა დროული განხილვა-შესრულების საქმე, ავტორებზე  
კანონით გათვალისწინებული გასამრჯელოს გაცემის სისწორე, ეზრუ-  
ნა რაციონალიზატორთა რიგებში ახალი მუშაკების მიზიდვისა-  
თვის.

აღებული ვალდებულების შესაბამისად ფაზრიკის ადმინისტრა-  
ცია ვალდებული იყო მიეღო ქმედითი ზომები, ცალკეული მუშების  
ნორმის შეუსრულებლობის მიზეზების აღმოთხვერისა და მოცდენე-  
ბის სალიკვიდაციოდ; უზრუნველყო მოწყობილობათა მაღალხარის-  
ხოვანი რემონტი, შეემოწმებინა მუშების ტექნიკური ინსტრუქტა-  
ჟის ორგანიზაცია.

მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და მოსამსახურეე-  
ბის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის 1976 წ. ადმი-  
ნისტრაციამ ივალდებულა 300 მუშის კვალიფიკირება. მათ შორის ინ-  
დივიდუალური მომზადებით — 100 მუშის, შრომის მოწინავე მე-  
თოდების დაუფლებაში—50 მუშის, საწარმოო-ტექნიკური კურსე-

ბის ხაზით — 80-ის, მეორე პროფესია უნდა შეესწავლა 30-ს, მიხ-  
ცობრივი დანიშნულების კურსები გაევლო — 40 მუშა.

ფაბრიკის ადმინისტრაციამ და საფაბრიკო კომიტეტმ ვალი-  
ბულება აიღეს ახალმილებულ მუშებისა და მოსამსახურეთათვის გრ-  
ეცნოთ შრომის შინაგანაწესი, უზრუნველეყოთ კანონით გათვალის-  
წინებული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა, არ დაეშვათ და-  
გვიანების, გაცდენების, სამუშაოდან ადრე წასკლისა და საწარმოო  
დისციპლინის დარღვევის სხვა შემთხვევები. მიეღოთ ზომები სატა-  
ბელო აღრიცხვის მოწესრიგებისათვის: ჩაეტარებინათ ახსნა-განმარ-  
ტებითი მუშაობა სოციალისტური შრომის დისციპლინის განსამტკი-  
ცებლად;

მკაფრად დაეცვათ ახალი სატარიფო სისტემის პირობები, შეე-  
მოწმებინათ მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებისა და ხელ-  
ფასის გაანგარიშების სისწორე. მუშა-მოსამსახურეთათვის განემარ-  
ტათ შრომის ახალი ანაზღაურების მოქმედი პრემიალური სისტემის  
დებულებები.

აბრეშუმის ფაბრიკის შრომითი კოლექტივის მიერ ნაკისრ ვალდე-  
ბულებათა შესაბამისად საფაბრიკო კომიტეტს უნდა განეხორციელე-  
ბინა კონტროლი მუშებისათვის სატარიფო თანრიგებისა და განაკვე-  
თების მიჯუთვნების, მუშახელის პროფესიისა და კვალიფიკაციის ში-  
ხედვით რაციონალურად გამოყენების საკითხებზე, აგრეთვე მათ შე-  
სახებ სათანადო ღოკუმენტების გაცემაზე, რომლის მიხედვითაც  
წარმოებს ხელფასის გაანგარიშება. აღმინისტრაცია საფაბრიკო კო-  
მიტეტთან შეთანხმებით აძლევს ყველა მომუშავეს კუთვნილსა და და-  
მატებით შეებულებას წინასწარ შედგენილი გრაფიკის მიხედვით, რაც  
მომუშავეს უნდა ეცნობოს შვებულებაში გასვლამდე 15 დღით  
ადრე, გაეფორმებინა შეებულება 3 დღით ადრე, მიეცეს ხელფასი  
არა უგვიანეს შეებულებაში წასკლის წინა დღისა. მოზარდ მუშებს  
და მუშა-ახალგაზრდობის სკოლის მოსწავლეებს შვებულება მიეცე-  
მოდათ მხოლოდ ზაფხულის პერიოდში.

საფაბრიკო კომიტეტს უნდა განეხორციელებინა მუდმივი კონტ-  
როლი სამქროებში შრომის პირობების მდგომარეობაზე, მიე-  
ღოთ ზომები ტრავმატიზმისა და დაავადებების შემთხვევათა თავი-  
დან აცილებისათვის, პერიოდულად განეხილა საფაბრიკო კომიტე-  
ტის სხდომაზე შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის საკით-  
ხები.

1976 წელს საფაბრიკო კომიტეტს მუშა-მოსამსახურეებზე უნდა გაეცა სანატორიუმისა და დასასვენებელი სახლის 64-საგზური, რომლის განაწილება მოხდებოდა სოციალური დაზღვევის კომიტეტის დასკენისა და შვებულების გრაფიკის შესაბამისად. საგზური პირების რიგში მიეცემოდა სამამულო ომის ინვალიდებს, შრომის შედარებით მძიმე უბანზე მომუშავეებსა და მოწინავე მუშებს. საფაბრიკო კომიტეტი თავისი ბიუჯეტიდან გამოყოფდა 800 მანეთს მარტოხელა და მრავალშვილიან დედებზე, აგრეთვე ავაღმყოფ და საბჭოთა არმიაში მყოფ მუშა-მოსამსახურეთა ოჯახების დასახმარებლად; განახორციელებდა სისტემატურ კონტროლს სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობაზე, საავადმყოფო ფურცლების გაცემაზე.

ფაბრიკის აღმინისტრაცია კისრულობდა მთლიანად აეთვისებინა გეგმით გათვალისწინებული კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საბინაო მშენებლობის სახსრები, უზრუნველეყყო საცხოვრებელი ბინები გათბობით და საწარმოს ტერიტორია — კეთილმოწყობით; აღმოჩინა დახმარება ინდივიდუალური ბინათმშენებლებისათვის გრძელვადიანი სესხის მიღებაში, გაეუმჯობესებინა მუშათა სასაღილოსა და ფაბრიკის ტრანსპორტის მუშაობა.

ფაბრიკის დირექცია და საფაბრიკო კომიტეტმა ივალდებულეს სისტემატურად ჩაატარონ ბოლოიტიკურ-აუმზრდელობითი და კულტურასობრივი ხასიათის ლექციები, საუბრები, თეორიული კონფერენციები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების საკითხებზე: გააფართოონ მასიური პროპაგანდა საწარმოო და ტექნიკურ-ეკონომიკური ცოდნის ამაღლებისათვის კომუნისტური შრომის სკოლებსა და სახალხო უნივერსიტეტებში, გააძლიერონ სწავლების მატერიალური ბაზა; მოწყოს მასობრივი დასვენების საღამო-კონცერტები, ექსკურსიები და სხვა ღონისძიებანი. გააუმჯობესონ მხატვრულ-თვითმოქმედი წრეებისა და სპორტული სექციების მუშაობა, უფრო ფართოდ ინერგება საწარმოო ტანგარიში საამქროებსა და უბნებში, მოწყოს საწარმოო მაჩვენებლების ფართო ჩვენება დიაგრამების. პლაკატების, ლოზუნგების, ვიტრინებისა და თვალსაჩინოების სხვა საშუალებები. კულტურულ-მასობრივი მუშაობის ღონისძიებებისათვის გამოიყო 2,5 ათასი მანეთი, ხოლო სპორტულ ღონისძიებებსა და ინვენტარის შეძენაზე 350 მანეთი.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის შრომითი კოლექტივის მიერ აღებული ვალდებულებანი გადაჭარბებით შესრულდა. 1976 წელს

ფაბრიკამ გამოუშვა 72,500 კგ-ზე მეტი ხამი აბრეშუმის ძაფი, 74,700 კგ—ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი.

ახალი გამარჯვებებით დაიწყო 1977 წელი.

პროდუქციის რეალიზაციის 6 თვეს გეგმა შესრულდა 102,4 პროცენტით, საერთო სასაქონლო პროდუქციისა—101,1 ხოლო ხამი აბრეშუმის ძაფისა—103,4 პროცენტით.

წარმოების მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია გამოშებული პროდუქციის ხარისხი. ამ მხრივაც ფაბრიკამ გეგმური დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

წარმოების კულტურის შემდგომი ამაღლების მიზნით აბრეშუმის ფაბრიკის საგრეხი საამქროს „ა“ ცალის გადასახვევი განყოფილების მუშაკები (ბრიგადირი ლ. კალანდაძე) გაეცნენ თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკა „ისანის“ გამომკვეთთა ბრიგადის მუშაობის გამოცდილებას დევიზით—„შრომის ნაყოფიერების ზრდა, მომცირნება და ყაირათიანობა, დამრიგებლობის ფართოდ განვითარება“ და მხარი დაუჭირეს გ. რიმნისთაველის ბრიგადის ამ თაოსნობას. ამასთან დაკავშირებით აბრეშუმის ფაბრიკის ოღნიშნული განყოფილების მუშაკებმა იყიდულ დანერგონ მუშაობის ახლებური ხერხები და მეთოდები, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს შრომის ნაყოფიერების ამაღლებას და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ფაბრიკაში ფართოდ გავრცელდა გადასახვევი განყოფილების მოწინავე მუშის ლ. მგელაძის მუშაობის მეთოდები, რომელმაც შრომის სწორი ორგანიზაციით მიაღწია ხამი ძაფის მნიშვნელოვან ეკონომიას, ფაბრიკაში სულ უფრო მაღლდება საწარმოო კულტურა, შრომის დისკიპლინა, საკუთარი თავისა და ამხანაგებისადმი მთმთხოვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დამრიგებლობას, ახალი თაობის დაოსტატების საქმეს.

ფაბრიკის ათასკაციანი კოლექტივის წინაშე მდგომი ამოცანების განხორციელების საქმეში დირექციის მხარში უდგას პირველადი პარტიული ორგანიზაცია (კომიტეტის მდივანი ჭ. ღოლიძე) და საიმედო ახალგაზრდობა (კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. გობრონიძე) მათი ხელმძღვანელობით სისტემატურად მაღლდება ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საგანმანათლებლო და იდეურ-პოლიტიკური კოდნის დონე.

წარმატებით მუშაობს ფაბრიკასთან არსებული ტექნიკური პროგრესის სახალხო უნივერსიტეტი (რექტორი ი. მახარაძე), რომელიც

1971 წელს შეიქმნა და აერთიანებს 170 კაცს. ღლემდე მოხდა სახალხო უნივერსიტეტის ორი გამოშვება, რომელიც დაამთავრა 284 კაცმა. უნივერსიტეტი ხელს უწყობს მშრომელთა ტექნიკურ-ეკონომიკული მიკური ცოდნის შემდგომ ამაღლებას, სკპ პარტიის XXV ყრილობის მასალების ღრმად დაუფლებას. ღლემია-სემინარებს ატარებენ ღერმენტორები — ფაბრიკის ღირექტორი ი. მახარაძე, მთავარი ინჟინერი ნ. გირეკელიძე, შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსი ფ. კვაშალი, საგეგმო განყოფილების ხელმძღვანელი ნ. ძიძიშვილი, ზ. ქართველიშვილი და სხვები.

1974—1975 სასწავლო წელს საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების სახალხო უნივერსიტეტების დათვალიერებაზე მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის სახალხო უნივერსიტეტიმა მეორე აღგილი დაიკავა, ხოლო რექტორატი დაჯილდოვდა ფულადი პრემიით.

ფაბრიკაში მუშაობს წარმოების მართვის საფუძვლების შემსწავლი სემინარი (ხელმძღვანელი უფროსი ინჟინერი ნ. გირეკელიძე) 27 მსმენელით, მარქსიზმ-ლენინიზმის შემსწავლელი სკოლა (ხელმძღვანელი დ. მეგრელაძე) 25 მსმენელით, ეკონომიკისა და წარმოების მართვის საფუძვლების შემსწავლელი წრე (ხელმძღვანელი მთავარი ბუღალტერი ჩ. მამალაძე) 18 მსმენელით, მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელი რუსული სკოლა (ხელმძღვანელი ს. მარტინოსიანი) 15 მსმენელით. ფაბრიკაში შექმნილია აგრეთვე კომუნისტური შრომის ორი სკოლა, რომელსაც სათავეში უდგანან ფაბრიკის მთავარი მექანიკოსი მ. სურგულაძე და ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსი ჩ. სირაძე.

ფაბრიკის შრომითი კოლექტივის დამრაზმველი ძალაა პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სკპ 173 წევრსა და პარტიის წევრობის კანდიდატს. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის კომიტეტი შეუნელებელ მზრუნველობას და ყურადღებას იჩენს კომკავშირული ახალგაზრდობის — პარტიის საიმედო რეზერვისა და თანაშემწის — აღზრდისა და ჩამოყალიბებისათვის. ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ფაბრიკის კომკავშირული ორგანიზაცია პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით ყოველთვის მოწინავეთა რიგებში დგას როგორც სწავლის, ისე შრომის ფრონტზე და არაერთი მადლობაც დაუმსახურებია კომკავშირის ჩაიონაული და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ. კომკავშირის ორგანიზაციაში აღრიცხვაზეა 248 ახალგაზრდა. კომკავშირული პო-

ლიტგანათლების ქსელიდან „კომუნისტური მორალის საფუძვლების“ (პროპაგანდისტი გ. კახაძე) შემსწავლელი წრე აერთიანებს 22 მმენელს, „ჩვენი ლენინური კომკავშირის“ შემსწავლელი რუსული წრე (პროპაგანდისტი ს. მარტიროსიანი) — 29-ს, კომუნისტური-მორალის სკოლა — 15-ს, ფაბრიკასთან არსებული სახალხო უნივერსიტეტი — 42 კომკავშირელს.

ფაბრიკაში შექმნილია კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები და რეოლები ძაფსაწები წარმოების „ბ“ ცვლაში, ავტომატურ უბანზე და საგრეხ საამქროში (ხელმძღვანელები ც. დოლიძე, ნ. ავაკიანი, ნ. მხეიძე და სხვები). ამ ბრიგადებსა და რეოლებში, დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 30 წლისთავთან დაკავშირებით, ჩაირიცხნენ ჩვენივე ფაბრიკის მუშები, რომლებიც გმირულად დაეცნენ ბრძოლის ველზე. ფაბრიკის ექვსი კომკავშირელი 1976 წლს დაჯილდოვდა „ხუთწლედის ახალგაზრდა გვარდიელის“ ნიშნით, ხოლო მთელი ორგანიზაცია — ვიმპელით სკკპ XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის. 12 კომკავშირელმა მოიბოვა უფლება ხელი მოეწერა ლენინური კომკავშირის პატაქზე.

მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკის შრომით კოლექტივის საქმიანობის ყველა მხარეზე დიდი დადგებითი გავლენა მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებამ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის შესახებ და 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებამ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ლენინური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამ დადგენილებებში დიდი ყურადღება დაუთმო პარტიული მუშაობის სტრუქტურისა და მეთოდების სტრუქტურის, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის გაუმჯობესებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებას, კადრებთან მუშაობის ლენინური პოლიტიკის სწორად გატარებას, მიღებულ დადგენილებათა შესრულების ორგანიზაციისა და შემოწმების სტრუქტურისათვის.

მახარაძის აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც საამქროთა და განკოფილებათა რვა პარტიულ ორგანიზაციას აერთიანებს, მთელ თავის საქმიანობას წარმართავს მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკკპ რიგების ზრდას, ახალგაზრ-

და კომუნისტების წრობას, ორგანიზაცია სკვპ რიგებში მისაღებად რეკომენდაციას უწევს მოწინავეთა შორის მოწინავე და ავტორიტეტულ ადამიანებს.

პარტიული კომიტეტი, საამქრო და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციები ყოველდღიურად აკონტროლებს კომუნისტების მიერ საწესდებო უფლება-მოვალეობათა შესრულების საქმეს. პრაქტიკა-შია დამკვიდრებული პარტიულ კრებებზე და კომიტეტის სხდომებზე კომუნისტების ანგარიშების მოსმენა, პრინციპული საუბარი მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებების შესახებ. ფაბრიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში დიდი ადგილი უჭირავს კადრების პოლიტიკას, მათ სწორად შერჩევა-განაწილებასა და აღზრდას. საწარმოს გადამწყვეტ უბნებს გამოცდილი და საქმის მცოდნე კომუნისტები უდგანან სათავეში.

პარტიული მშენებლობის ერთ-ერთი მოთხოვნაა პარტიულ მუშაობაში კოლექტიური ხელმძღვანელობის დამკვიდრება. სწორედ იქნებან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ კოლექტიური ხელმძღვანელობა მტკიცედ ეყრდნობა მუშაკთა პერსონალურ პასუხისმგებლობას. აბრეშუმის ფაბრიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად, კოლეგიალურად წყვეტილ ფაბრიკის წინაშე მდგომ საკითხებს. პარტიული კრებებისა და ბიუროს სხდომების საკითხთა მომზადებაში ჩაბმულია ფაბრიკის კომუნისტების უმრავლესობა. სათანადო ყურადღება ექცევა კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას, კომუნისტების მიერ დაყენებულ საკითხებზე რეაგირებას. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-14 პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად გაუმჯობესდა მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმების ფორმები და მეთოდები. გასულ და მიმდინარე წელს დაღვენილებების შესრულების შემოწმება მოეწყო 11-ჯერ, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხებისა, როგორიცაა საექსპორტო პროდუქციის გამოშვებისა და გაგზავნის საგეგმო დავალებათა შესრულება. ძაფსალები და საგრეხი სამქროების კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა და მათზე პარტიული ხელმძღვანელობის განმტკიცება, ფაბრიკაში სამოქალაქო თავდაცვის მზადების საქმეში გაწეული მუშაობის მინდინარეობა და სხვ.

ფაბრიკის პარტიული კომიტეტის სხდომებსა და პარტიულ ჭუბებშე ჩეგულარულად იხილება საკითხები სამქროთა და განყოფილებათა პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული მუშაობის; პარტიული და სახელმწიფო დისკიპლინის განმტკიცების; პარტიული დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. იდეოლოგიური დარგის მუშაკების—აგიტატორების, პოლიტინფორმატორებისა და ლექტორთა საშუალებით ეწყობა საუბრები, ლექცია-მოხსენებები და ინფორმაციები წარსულის მავნე გაღმონაშობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ყურადღებაა გამახვილებული ცალკეულ სამქროებსა და ცვლებში შრომის დისკიპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ფაბრიკის შრომით კოლექტივში, რგოლში პარტიული და სახელმწიფო დისკიპლინის განმტკიცებას. ყოველივე ამის შედეგად სრულყოფილ იქნა პარტიული კომიტეტის მუშაობის სტილი და მეთოდები, ამაღლდა კომუნისტებისა და მთელი შრომითი კოლექტივის პასუხისმგებლობა საწარმოო გეგმების შესრულებისა და საზოგადოებრივ-მორალური კლიმატის გაუმჯობესების დარგში.

ამრიგად, მახარაძის აბრეშუმის ძაფსახელე-საგრეხი ფაბრიკის შრომითი კოლექტივი დიდი მიღწევებით შეხვდა საბჭოთა ხალხის სახელოვან დღესასწაულს—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების მე-60 წლისთავს. აბრეშუმის ფაბრიკა, რომელსაც ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს, კვლავაც ღირსეულ წვლილს შეიტანს საქართველოს აბრეშუმის მრეწველობის შემდგომი განვითარების საქმეში.

ପ୍ରାଚୀନ ତଥା ପ୍ରକାଶିତ

ବେଳାପ୍ରକାଶ କୁଟିଲାଙ୍କାନି ଗ୍ରେମିସ ଫାର୍ମିଂସର  
ଶ୍ରେଣୀଲ୍ୟକ୍ଷମିତି ବାହ୍ୟବିନ୍ଦୁକ୍ଷମିତି

# ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

მაჩვენებლები	ზომის ერთეული	1966 წ.	1968 წ.	1970 წ.	სულ 5 წელს
რეალიზაცია	ათ. მან.	7322	7406	8748	38301
საერთო პროდუქცია	"	6282	7385	8878	37769
ხამი ძაფი	ტონა	63,8	67,3	73,0	336,8
ნაგრეხი ძაფი	"	50,2	65,0	64,9	313,7
შრომის ნაყოფიერება	მან.	7998	8840	9513	43300
წახალისების ფონდიდან გაცემული პრემიები	ათ. მ.	—	21,8	57,6	118,6
გამოშვებული პირველი ხარისხის პროდუქცია	%	—			
ა) ხამი ძაფი	"	575	62,0	65,6	62,3
ბ) ნაგრეხი ძაფი	"	84,6	89,4	87,4	87,2
მოგება	"	140,6	236	291	343,6

მაჩვენებლები	ზომის ერთულები	1926 წ.	1932 წ.	პირველი სულ ხათულება	1937 წ.	დიდი სულ გვილება	1640 წ.	სულ 1938 1940 წ. ტ.
საერთო პროდუქცია (1955 წლის ფასებში)	ათ.გან.	112,0	2511	12976	3398	14999	2409	8256
ხანი აბრეშუნის ძაფი	ტონა	1,9	38,6	200,7	52,5	230,9	49,4	142,0
ნაგრეხი აბრეშუმის ძაფი	"	—	18,3	86,5	37,6	142,6	32,5	105,8
სასაქონლო ხაზი აბრე- შუმის ძაფი	"	1,9	20,3	114,2	14,9	88,3	16,9	36,2
მუშა-მოსამსახურეთი								
რიცხვი		95	796	908	1145	935	786	890
მათ შორის მუშები		50	654	818	997	816	678	758
შრომის ნაყოფიერება								
პროდუქციის გამოშვე- ბა ერთ მომუშავეზე	გან.	1180	3154	14288	2967	16042	3065	927

ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର ଶାହଙ୍କରାଜାର ଲେଖଣି

ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର ଶାହଙ୍କରାଜା ବ୍ୟାଙ୍ଗନ	୧୯୫୦ ମୁହଁ	୧୯୫୫ ମୁହଁ	୧୯୫୮ ମୁହଁ	୧୯୫୬— ୧୯୫୮ ମୁହଁ	୧୯୬୫ ମୁହଁ	ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର ଶାହଙ୍କରାଜା ବ୍ୟାଙ୍ଗନ		
1236 3	4219	17282	5748	26797	5177	16620	<b>6117</b>	56669
209,7	71,1	290,1	84,5	404,5	74,8	239,2	65,2	518,4
151,6	58,8	209,3	95,7	439,0	85,8	264,2	34,5	453,2
58,1	12,3	80,8	—	5,4	58,1	186,3	—	—
562	952	778	934	973	1003	992	848	—
478	789	638	849	862	881	879	—	—
22478	4432	22213	6154	27448	5161	16754	7213	56095

## მეცნიერებელთა სუთშლიანი გეგმის შესრულების მაჩვენებლები

მაჩვენებლები	ზომის ერთ- შლი-	მეცნიერებლები			1975 წელი			1970 წელი		
		გეგმა	ფაქტ.	%	გეგმა	ფაქტ.	%	გეგმა	ფაქტ.	
რეალიზაცია	მთას მან.	50970	52465	104,9	10718	11312	105,6	9848	10 25	
სასაქონლო პრო- დუქცია	"	—	—	—	10718	11 85	104,3	—	—	
საერთო პრო- დუქცია	"	41680	43236	103,7	8797	9005	102,4	7730	8248	
ხაზი ძაფი	კგ-ში	365000	379500	104,0	74500	76940	103,3	70000	73028	
ნაგრეში ძაფი	"	314950	327031	103,8	72200	71190	89,2	60400	64876	
შრომი ნაყოფიე-										
რება	მან.	49425	50253	101,7	10313	10416	101,0	8916	9513	
მოგება	მან.	3857	3546	-311	728	730	+2,0	297	297	

## მეათე სუთშლიანი გეგმა

მაჩვენებლები	ზომის ერთ- შლები	შლები		
		1976	1978	1980
რეალიზაცია	თ. მან.	10,5	10,6	11,0
საერთო და სასაქონლო პროდუქცია	*	10,6	10,7	11,0
ხაზი ძაფი	თ. კგ.	72,5	73,0	75,0
ნადრეში ძაფი	"	74,7	74,7	78,0



ଓଡ଼ିଆରୁଦ୍ଧ

მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საცრეხის ფაბრიკა 1926-1941 წლებში	5
მახარაძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხის ფაბრიკა დიდი სამამულო ომის პერი-	
ოდში (1941—1945 წწ.)	28
აბრეშუმის ფაბრიკა ომისშემდგომ პერიოდში	40
ფაბრიკის ხელმძღვანელი კადრები	46
მახარაძის აბრეშუმის ფაბრიკა განვითარებული სოციალისტური საზოგადოე-	
ბის პერიოდში	52
ა) აბრეშუმის ფაბრიკა შეიძლება	52
ბ) ფაბრიკა მეცნევე და მეცნევე ხუთწლედის მანძილზე	64
ფაბრიკის კოლექტივი სკეპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა-	
თვის ბრძოლაში	87

3-2r

nf 05/54

МАХАРАДЗЕВСКАЯ ШЕЛКОМОТАЛЬНО-ПРЯДИЛЬНАЯ  
ФАБРИКА



Зинаида Георгиевна Хинтибидзе

Махадзевская шелкомотально-  
прядильная фабрика

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишивили, 5

1978

გამომცემლობის რედაქტორი ლია ჭულელი  
მხატვრული რედაქტორი აკაკი ტუხაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ნანა აფხაზავა  
კორექტორები: ლ. არჩუაძე, ლ. გულიაშვილი  
გმომშვები გიული ბენიძე

გაღიერა წარმოებას 13/VI-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/VII-78 წ.  
საბეჭდი ქაღალდი № 2. 60×84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 6,05 +  
ჩაკვრა 0,47. სააღრ.-საგამომც. თაბაზი 5,71. უე 06937. ტირაჟი 1000. შეკვ. № 171.  
ფასი 20 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო  
კომიტეტის თბილისი № 12 სტამბა  
უშ. ჩხეიძის ქ. № 8

Тбилисская типография № 12 Государственного комитета  
Совета Министров Грузинской ССР по делам издательств,  
полиграфии и книжной торговли. Ул. Уш. Чхеидзе № 8.

ඡ්‍රේපලුගම්පෙදිං දාස් ප්‍රතිචාරයා

කිහිපය	ස්‍රී ලංකා මූල්‍ය ප්‍රතිචාරය		ංගිරිස්	ඉන්දා තියුණ්
	ඇඟිලුව	ස්වීඩොන්		
83. 4	11		ඒකසේදී	සැමැලුම්බන්ද
83. 5		3	ඉරුෂාපිඛාන්ද	ඉප්‍රාපිඛාන්ද
83. 9		5	යාරුගාංඡුවිලුදී	යාරුගාංඡුවිලුදී
83. 11	9		මිශ්චේලිංඡුවිලුදී	මිශ්චේලිංඡුවිලුදී
83. 58		8	6. අංගිලියිංඡු	6. අංගිලියිංඡු
83. 77		15	116 මාන්‍යතා	116 පාතාසි මාන්‍යතා

K276.270

۳

54764

中原农民报  
2023年1月1日